სპეციალური განათლების პედაგოგის როლი ბაგა-ბაღში

თბილისი 2018

სპეციალური განათლების პედაგოგის როლი ბაგა-ბაღში
2018 წ.

გზამკვლევი მომზადებულია ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის ბავშვის განვითარების ინსტიტუტში, თბილისის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ინიციატივის ფარგლებში.

გზავკვლევის შედგენაზე მუშაობდნენ: ნინო ცინცაძე

ხათუნა დულაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა: ლელა მაჭარაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო
ILIA STATE UNIVERSITY PRESS
3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

სარჩევი

სპეციალური განათლების პედაგოგის როლი ბაგა-ბაღში 5

ინკლუზიური განათლების განმაპირობებლები 6

ინკლუზიური განათლების არსი 8

ინკლუზიური განათლების პრინციპები – უნივერსალური დიზაინი 9

მუშაობა ოჯახთან 13

თამაშის მნიშვნელობა ბავშვის განვითარებაში 26

დაკვირვება და შეფასება 28

ჯგუფური მუშაობა, შეფასების შედეგების გააზრება,

ინდივიდუალური გეგმა, ინდივიდუალიზაცია 35

ბავშვის განვითარების ინდივიდუალური გეგმა.....37

ბავშვის ქცევა და უფროსები 50

ხშირად დასმული კითხვები: 59

ბავშვის განვითარების ცხრილი ორიდან- ხუთ წლამდე.....63

სპეციალური განათლების პედაგოგის როლი ბაგა-ბაღში

სპეციალური განათლების პედაგოგის როლი, ამოცანები და კომპეტენციები

სპეციალური განათლების პედაგოგის ფუნქციები და კომპეტენციები ბაგა-ბაღის გარემოში:

ამოცანა 1: ინკლუზიური გარემოს შექმნის ხელშეწყობა და ცნობიერების ამაღლება ბაგა-ბაღში

სტრატეგიები: ინდივიდუალური საუბრები და გაწევა ბაგა-ბაღში მომუშავე ყველა პირის კონსულტირება მათთვის შეხვედრებისა და სემინარების ორგანიზება; ბაგა-ბაღში ინკლუზიური განათლების პოლიტიკის შემუშავება ყველა თანამშრომლის მონაწილეობით და მისი დანერგვის ხელშეწყობა; ინკლუზიური გარემოს დამადასტურებელი ვიზუალური მინიშნებების გამოფენა; ყველა დაინტერესებული მშობლის კონსულტირება და ცნობიერების ამაღლება; ბავშვებისათვის ინფორმაციის მიწოდება, მათი ასაკის შესაბამისი აქტივობების გამოყენებით.

საჭირო უნარები და კომპეტენციები: ინკლუზიური განათლების ფილოსოფიისა და პრინციპების ცოდნა, სკოლამდელი დაწესებულებების ინკლუზიური პოლიტიკის დოკუმენტების ცოდნა, პრეზენტაციებისა და სემინარების ორგანიზების უნარი, პოზიტიური კომუნიკაციური უნარები, ბავშვებისათვის სხვადასხვა აქტივობებისა და საუბრების დაგეგმვა-განხორციელების უნარი.

ამოცანა 2: ბავშვზე დაკვირვება და ბავშვის შეფასება ბაღის გარემოში

სტრატეგიები: ბავშვის შეფასების ინსტრუმენტებისა და დაკვირვება-შეფასების სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებით ბავშვის შეფასება.

საჭირო უნარები და კომპეტენციები: ბავშვის განვითარების კანონზომიერების ცოდნა, დაკვირვებისა და შეფასების ინსტრუმენტების გამოყენების ცოდნა.

ამოცანა 3: ბავშვის საჭიროებებზე გუნდური მუშაობა

სტრატეგიები: მშობლების კონსულტირება და მათი ჩართვა გუნდის მუშაობაში; აღმზრდელის დახმარება ბავშვის საჭიროებების გაცნობიერებასა და ინდივიდუალიზაციის სტრატეგიების განხორციელებაში; აღმზრდელთან, ბაგა-ბაღის ფსიქოლოგთან, ლოგოპედთან და ბავშვთან მომუშავე გარე სპეციალისტთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ბავშვის ბაღის გარემოში ჩართვასთან დაკავშირებულ გრძელვადიან და მოკლევადიან მიზნებსა და სტრატეგიებზე შეთანხმება; გუნდური შეხვედრების ოქმების წარმოება, ინდივიდუალური გეგმის შექმნა ყველა ჩართული მხარის მონაწილეობით და მისი შესრულების მონიტორინგი. გეგმის გადაფასება.

საჭირო უნარები და კომპეტენციები: მშობლების კონსულტირებისა და მასთან პოზიტიური ურთიერთობის სტრატეგიების ცოდნა, სხვადასხვა მდგომარეობებისა და დარღვევებისათვის დამახასიათებელი ნიშნების ცოდნა, ინდივიდუალიზაციის სტრატეგიების ცოდნა, ინდივიდუალური გეგმის შექმნისა და მისი მონიტორინგის უნარი

ამოცანა 4: რთული ქცევის მართვასა და პოზიტიურ გაძღოლაში აღმზრდელთან და ფსიქოლოგთან თანამშრომლობა

სტრატეგიები: ფსიქოლოგთან ერთად რთული ქცევის მართვისა და პოზიტიური გაძღოლის პოლიტიკის შემუშავება ბაღისათვის და ფსიქოლოგთან თანამშრომლობით ამ პოლიტიკის დანერგვის ხელშეწყობა.

საჭირო უნარები და კომპეტენციები: პოზიტიური აღზრდისა და რთული ქცევის მართვის პრინციპების ცოდნა.

ინკლუზიური განათლების განმაპირობებლები

მიუხედავად იმისა, რომ განმანათლებლობის ეპოქიდან მოყოლებული, დროთა განმავლობაში, საყოველთაო და თანასწორობის იდეაზე აღმოცენებული განათლების თეორიები სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენდა, უშუალოდ ადამიანის უფლებათა პრინციპებზე დაფუძნებული ინკლუზიური განათლების თანამედროვე მოდელები აქტუალური მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან გახდა. მას შემდეგ, რაც კაცობრიობამ მეორე მსოფლიო ომის შედეგების გაცნობიერების საპასუხოდ „**ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია**“ და „**ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია**“[1] მიიღო.

ადამიანის უფლებათა ეს აქტები იყო პასუხი იმის გაცნობიერებაზე, თუ რამდენი უბედურების მოტანა შეუძლია კაცობრიობისათვის ადამიანთა ერთი ჯგუფის მიერ რაიმე ნიშნით უპირატესობის მტკიცებას სხვა ადამიანების მიმართ და ამ ნიშნით მათ მიმართ სასტიკი მოპყრობის გამართლებას. მეორე მსოფლიო ომის დროს, არიული რასის უპირატესობის მტკიცებამ და სხვადასხვა ნიშნით (ეთნიკური, რელიგიური, პოლიტიკური შეხედულებები, ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობა, სექსუალური ორიენტაცია) ადამიანების დისკრიმინაციამ 6 მილიონი ებრაელის, 2 მილიონი ბოშას, ამდენივე სამხედრო ტყვესა და განსახვავებული პოლიტიკური შეხედულების მქონე 50 ათასამდე ფიზიკური და ფსიქიკური შეზღუდვების მქონე ადამიანების, 10 ათასამდე იეჰოვას მოწმეთა და სხვათა განადგურება გამოიწვია.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის პრეამბულაში ნათქვამია, რომ „ვინაიდან ადამიანის უფლებათა უგულებელყოფამ და აბუჩად აგდებამ ბარბაროსული აქტები გამოიწვია, რაც კაცობრიობის სინდისს აღაშფოთებს, ადამიანთა მაღალი მისწრაფება გახდა ისეთი მსოფლიოს შექმნა, რომელშიც ადამიანებს ექნებათ სიტყვისა და რწმენის თავისუფლება და რომელშიც ისინი შიშისა და გაჭირვების გარეშე იცხოვრებენ“. შესაბამისად, დეკლარაციის პირველივე მუხლი ამბობს, რომ „ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი, თავისი ღირსებითა და უფლებებით; მეორე მუხლი კი „ამ დეკლარაციით გამოცხადებულ ყველა უფლებასა და თავისუფლებას ანიჭებს თითოეულ ადამიანს: რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულების, ეროვნული თუ სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი, წოდებრივი თუ სხვა მდგომარეობის განურჩევლად“; დეკლარაციის 26-ე მუხლი „განათლების უფლებას ანიჭებს ყველას“, ზემოთ ჩამოთვლილი ნიშნებისგან დამოუკიდებლად.

ადამიანის უფლებათა დეკლარაციისა და კონვენციის მიღებას თავისუფალ სამყაროში – ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დასავლეთ ევროპაში, პიროვნული, გამოხატვის თავისუფლების და სხვადასხვა ნიშნით დისკრიმინირებული ადამიანების უფლებების უზრუნველსაყოფად აქტიური ბრძოლა მოჰყვა, რამაც მოიტანა შავკანიანთა უფლებების გათანაბრება ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქალებისათვის არჩევნებში მონაწილეობის თანაბარი უფლების მინიჭება ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში, ფსიქიკური პრობლემების მქონე ადამიანებისათვის ღირსეული სერვისებისა და სამედიცინო მოდელის ნაცვლად, სოციალური მიდგომების[2] დანერგვა აშშ-სა და ევროპაში, შშმ პირთა დახურული ინსტიტუციების გახსნა და ინკლუზიური განათლებისა და სოციალური გარემოს ადვოკატირება.

---

1 ადამიანის უფლებათა დეკლარაცია გაეროს ასაბლეამ 1948 წლის 10 დეკემბერს მიიღო, ხოლო ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია 1950 წლის ნოემბერში იქნა მიღებული.

2 სამედიცინო მოდელი ქრონიკული მდგომარეობის მქონე შშმ პირებს მხოლოდ მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის თვალსაზრისით, იზოლირებულად განიხილავს და მთავარ აქცენტს ამა თუ იმ მდგომარეობისათვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებათა გაქრობა-განკურნებაზე აკეთებს. სოციალური მოდელი ადამიანის მდგომარეობის განმაპირობებლად არა მხოლოდ მის ფიზიკურ თუ მენტალურ უნარებს, არამედ გარემო ფაქტორების ზემოქმედებასაც მიიჩნევს. ამიტომ მიიჩნევა, რომ უმჯობესია, არ გამოვიყენოთ ტერმინი „უნარშეზღუდული“, სადაც აქცენტი სწორედ კონკრეტული ადამიანის უნარებზე კეთდება და გამოვიყენოთ ტერმინი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე“, რაც არა მხოლოდ ადამიანის, არამედ სოციალური გარემოს შესაძლებლობებსაც მოიაზრებს. შეზღუდული შესაძლებლობები არის არსებული ინფრასტრუქტურის (1), საზოგადოებრივი აზრის (2) და სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების (3) ისეთი ერთობლიობა, რომლის დროსაც ადამიანი, რომელსაც რაიმე სახის ფიზიკური ან მენტალური შეფერხება აქვს, სხვა ადამიანებთან თანაბარ პირობებში არ იმყოფება.

შესაბამისად, ინკლუზიური განათლების თანამედროვე მოდელები ბავშვის განვითარებისა და განათლების თანამედროვე თეორიებისა და ადამიანის უფლებათა საყოველთაო პრინციპების დანერგვის ერთობლივი შედეგია[3].

დისკრიმინაციული ბარიერების შესამცირებლად, 1993 წელს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანასწორუფლებიანობის სტანდარტული წესები ჩამოაყალიბა. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის და ამ დოკუმენტის საფუძველზე, 1994 წლის ივნისში, ესპანეთში, სალამანკაში, UNESCO-ს ეგიდით გამართულ სამიტზე, 92 ქვეყნის და 25 საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელი შეიკრიბა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთა განათლებისა პრინციპების, პოლიტიკისა და პრაქტიკის შესახებ დოკუმენტის შესაქმნელად. სალამანკას დეკლარაციის[4] საბოლოო ანგარიში 1995 წელს გამოიცა. სალამანკას დეკლარაცია სახელმწიფოებს მოუწოდებს შექმნან შესაბამისი პოლიტიკა და გამოყონ შესაბამისი რესურსები ინკლუზიური განათლების უზრუნველსაყოფად ყველა ბავშვისათვის, მათი ინდივიდუალური მახასიათებლების, ინტერესების, უნარებისა და სასწავლო საჭიროებების გათვალისწინებით.

სალამანკას დეკლარაციის 53-ე მუხლი ადრეულ განათლებას ეხება და ამბობს, რომ: „ინკლუზიური სკოლის წარმატება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ძალიან პატარა ბავშვის ადრეულ იდენტიფიკაციაზე, შეფასებასა და სტიმულირებაზე. უნდა განვითარდეს ან თავიდან მოხდეს 6 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო პროგრამების ჩამოყალიბება ადრეულ ბავშვობაში, რათა მოხდეს ფიზიკური, ინტელექტუალური და სოციალური განვითარებისა და სკოლისათვის მზაობის ხელშეწყობა". სალამანკას დეკლარაცია დღემდე რჩება ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის მთავარ ოფიციალურ დოკუმენტად.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ 2006 წლის 13 დეკემბერს „**შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია**" მიიღო. კონვენციის 24-ე მუხლის თანახმად, „მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებას განათლებაზე. პიროვნებისათვის ამ უფლების დისკრიმინაციის გარეშე და თანაბარ პირობებში რეალიზებისათვის, მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ ინკლუზიური განათლების სისტემის დანერგვასა და მთელი ცხოვრების მანძილზე განათლების მიღების მისაწვდომობას". შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციას საქართველო 2014 წლის აპრილში შეუერთდა.

2016 წლის ზაფხულში საქართველოს პარლამენტმა მიიღო **კანონი სკოლამდელი განათლების შესახებ**[5]. კანონის მე-8 მუხლი ამბობს, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, „ინკლუზიური განათლების პრინციპების გათვალისწინებით, ამზადებს საგანმანათლებლო რესურსების სიასა და მეთოდოლოგიურ რესურსებს და უზრუნველყოფს ამ რესურსების მუნიციპალიტეტებისათვის ხელმისაწვდომობას (დ პუნქტი) და ხელს უწყობს ინკლუზიური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ საზოგადოების ინფორმირებას (ზ პუნქტი)", ხოლო კანონის მე-10 მუხლის თანახმად, მუნიციპალიტეტები უზრუნველყოფენ „თანაბრად ხელმისაწვდომი და ინკლუზიური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიწოდებას". ამავე კანონის მე-17 მუხლის შესაბამისად, ადრეული და სკოლამდელი განათლების დაწესებულებები (ბაგა-ბაღები) შეიმუშავებენ და განახორციელებენ დაწესებულების სტრატეგიას „ინკლუზიურ განათლებასთან, ძალადობისგან ბავშვის დაცვასთან, უსაფრთხოებასთან, სანიტარიასა და ჰიგიენასთან დაკავშირებული სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისად". სკოლამდელი განათლების კანონის 23-ე მუხლის თანახმად, „დაწესებულება უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების მიწოდებას ბავშვებისთვის, მიუხედავად მათი ფიზიკური, შემეცნებითი, სენსორული, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური, ეთნიკური,

3 Deborah A. Ziegler, editor, Inclusion for All, (IDEBATE Press, 2010); Maya Sabatello, Marianne Schulze, Human Rights and Disability Advocacy, (University of Pennsylvania Press, 2013)

4 სალამანკას დეკლარაციის ქართული ტექსტი სრულად იხ. წიგნში: *ვისწავლოთ ერთად-ინკლუზიური განათლება*, რედაქტორი თათია პაჭკორია (განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ეროვნული სასწავლო გეგმების და შეფასების ცენტრი, 2008)

5 http://ssa.gov.ge/files/01_GEO/KANONMDEBLOBA/Sakanonmdeblo/42.pdf

რასობრივი, რელიგიური, გენდერული თუ სხვა მახასიათებლებისა“[6]. შესაბამისად, დღეს უკვე საქართველოში არსებულ ადრეული განათლების დაწესებულებებს არა მხოლოდ საერთაშორისო კონვენციები და დეკლარაციები ავალდებულებს შექმნას ინკლუზიური საგანმანათლებლო გარემო, არამედ ამას ადგილობრივი კანონმდებლობაც მკაფიოდ მოითხოვს.

ინკლუზიური განათლების არსი

ინკლუზიური საგანმანათლებლო გარემოს შექმნა, პირველ რიგში, ამ პროცესში ჩართული ადამიანების ღირებულებებიდან და იმის გააზრებიდან იწყება, რომ ყველა ბავშვს განვითარების ინდივიდუალური ტემპი, ასევე ინდივიდუალურად გამოხატული ძლიერი მხარეები და საჭიროებები აქვს რომ ინდივიდუალური მიდგომა და ინდივიდუალიზაცია მნიშვნელოვანია *ყველა ბავშვისათვის*, რომ სოციალურ-ემოციური კომპეტენციის სწავლება და ემპათია ღირებულია *ყველა ბავშვისათვის*, რომ ბაგა-ბაღის ჯგუფი ირეკლავს და ასახავს იმ გარემოსა და კულტურას, რომელშიც *ყველა ბავშვი* იზრდება და ცხოვრობს.

ინკლუზიური განათლება ბევრად უფრო ფართო კონტექსტის მომცველი ცნებაა, ვიდრე მხოლოდ განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვის/მოსწავლის ბაგა-ბაღის ჯგუფში ან კლასში ყოფნა, ან თუნდაც წარმატებული ჩართვა. ინკლუზიური საგანმანათლებლო გარემო გულისხმობს, რომ ამ გარემოს თოთოეული წევრი მიღებული და დაფასებულია ისეთად, როგორიც ის არის. დღეს ინკლუზიური გარემოს შეფასებისას კითხვებს სვამენ არა იმის შესახებ, თუ რამდენი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვია ჯგუფში ან კლასში, ან რამდენს აქვს განვითარების ინდივიდუალური გეგმა, არამედ იმის შესახებ, თუ რამდენად ხვდებიან და იღებენ საგანმანათლებლო გარემოში *ყველას* კეთილგანწყობილად; ეხმარებიან თუ არა ბავშვები ერთმანეთს; ეპყრობიან თუ არა პედაგოგები და ბავშვები ერთმანეთს პატივისცემით; ამყარებენ თუ არა აღმზრდელები კავშირს ბავშვის ბაღის ცხოვრებასა და ბავშვის ოჯახში ყოველდღიურ ცხოვრებას შორის; რამდენად იზიარებს ბაღში დასაქმებული ყველა ადამიანი ინკლუზიურ ღირებულებებს; არის თუ არა ყველა ბავშვის მიმართ მაღალი მოლოდინი; არის თუ არა ყველა ბავშვი ერთნაირად მნიშვნელოვანი; რამდენად ეხმარება ბაღი ბავშვებს, იგრძნონ თავი თავდაჯერებულად და რამდენად უწყობს ხელს ბაღი ბავშვებს თვითრწმენის ამაღლებაში; ეძლევათ თუ არა აღმზრდელებსა და აღმზრდელ-პედაგოგებს განვითარებისა და წინსვლის საშუალება; ეხმარებიან თუ არა ყველა ახალმოსულს - ბავშვსა თუ უფროსს, მოსწავლესა თუ მასწავლებელს გარემოსთან შეგუებაში; რამდენად გამოიყენება ბავშვებს შორის არსებული განსხვავებები რესურსად თამაშის, სწავლების და ჩართულობისთვის; რამდენად ქმნიან უფროსები ბაღში მშვიდ ატმოსფეროს, რომელიც ერთმანეთის პატივისცემას ეფუძნება; არის თუ არა აქტივობების დაგეგმვისას ყველა ბავშვი გათვალისწინებული[7].

ინკლუზიური განათლების უახლესი გაგება გულისხმობს საგანმანათლებლო სივრცეში შემავალი ყველა ადამიანის - ბავშვების, მათი აღმზრდელებისა და პედაგოგების, მათი მშობლების, დაწესებულების ადმინისტრაციის და ტექნიკური პერსონალის საერთო ძალისხმევას იმისათვის, რომ ამ სივრცეში ჩართულად, დაფასებულად და ღირსეულად გრძნობდეს თავს ყველა - ის, ვინც უფრო მოძრავი და აქტიურია და ის, ვისაც სიმშვიდე და ნაკლები მოძრაობა ურჩევნია; ის, ვინც მეტ სინათლეს ირჩევს და ის, ვისაც კაშკაშა სინათლე თვალს ჭრის; ის, ვინც ძალიან სწრაფად სწავლობს და ის, ვისაც ახალი ინფორმაციის ასათვისებლად მეტი დრო სჭირდება; ის, ვინც მოსმენით უკეთ იგებს და ის, ვისაც თვალით დანახულის აღქმა ურჩევნია; ის, ვინც საკუთარ თავს ჟესტებითა და მიმიკით უკეთ გამოხატავს და ისიც, ვისთვისაც საკუთარი თავის გამოხატვის საშუალება ნახატები ან იმიტაციური მოძრაობებია; ის, ვისაც ყურადღების ცენტრში ყოფნა უყვარს და ისიც, ვისაც დროდადრო განმარტოება ურჩევნია;

6 კანონი ასევე ამბობს, რომ დაწესებულება ვალდებულია გააგრძელოს ინკლუზიური განათლების პროგრამაში ჩართული ბავშვისთვის განათლების მიწოდება, თუ ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე ჯერ კიდევ არ არის მიზანშეწონილი მისი სკოლაში შესვლა, მიუხედავად შესაბამისი ასაკისა. ამ შემთხვევაში, გადაწყვეტილებას იღებს ბავშვის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი, აღმზრდელ-პედაგოგებთან და შესაბამის სპეციალისტებთან კონსულტაციის საფუძველზე.“

7 Tony Booth, Index of Inclusion, 2002

ის, ვისი მშობლიური ენა და კულტურული ტრადიციები განსხვავებულია და ისიც, ვინც უმრავლესობის ენასა და კულტურას იზიარებს. განათლება ინკლუზიურია ანუ *უნივერსალურია*, როდესაც მასში ჩართულ ყველა ადამიანს აქვს განცდა, რომ მისი და მისი ემოციების ესმით, მის თავისებურებებს ითვალისწინებენ, აზრს ეკითხებიან და ამ აზრის გამოსახატად მრავალფეროვან საშუალებებს სთავაზობენ.

ინკლუზიური განათლების პრინციპები – უნივერსალური დიზაინი[8]

სწავლების უნივერსალური დიზაინი პრინციპების ისეთი ერთობლიობაა, რომელიც ყველა მოსწავლეს სწავლის თანაბარ შესაძლებლობას სთავაზობს.

მიუხედავად იმისა, რომ სწავლების უნივერსალური დიზაინის პრინციპებით შემოთავაზებული სტრატეგიები შექმნილია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა დასახმარებლად, ეს არის მიდგომა, რომელიც უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო შესაძლებლობებს *ყველა* მოსწავლისათვის.

სწავლების უნივერსალური დიზაინი სამი ძირითადი მიდგომით ხასიათდება:

• <u>სწავლების (რეპრეზენტაციის) მრავლობითი საშუალებები (ინფორმაციისა და შინაარსის სხვადასხვა გზებით მიწოდება)</u>

• <u>გამოხატვის მრავლობითი საშუალებები (იმ გზების გამრავალფეროვნება, რომლითაც მოსწავლეებს თავიანთი ცოდნის წარმოჩენა შეუძლიათ)</u>

• <u>ჩართულობის უზრუნველყოფის მრავალფეროვანი საშუალებები (მოსწავლეთა ინტერესებისა და მოტივაციის სტიმულირება)</u>

სწავლების უნივერსალური დიზაინის ფესვები არქიტექტურის სფეროშია. ტერმინი უნივერსალური დიზაინი პირველად ეტლით მოსარგებლე ინგლისელმა არქიტექტორმა რომ მეისმა ისეთი შენობის სტრუქტურის აღსაწერად შემოიტანა, რომელიც ხელმისაწვდომია ყველასთვის. მეისის კონცეფციის მიხედვით, გარკვეული პრინციპებით აშენებული შენობა სარგებლის მომტანია ფიზიკური შეზღუდვების მქონე ადამიანებისათვის, მაგრამ, ამავე დროს, სასარგებლოა შეზღუდული შესაძლებლობის არმქონე პირებისთვისაც. მისი იდეები ყოველდღიურ ცხოვრებაში დასტურდება:

• საფეხმავლო გზების დახრილი ნაწილები და პანდუსები გადაადგილებაში ეხმარება ეტლით მოსარგებლე ადამიანებს, მაგრამ, ამავდროულად, მათი არსებობა მნიშვნელოვანია ბავშვის ეტლით მოსიარულე მშობლებისა და ბორბლებიანი ჩემოდნებით ან სუპერმარკეტების კალათებით მოსიარულე პირთათვის.

• კარის იმგვარი სახელურები, რომლებიც იდაყვის ზეწოლით იღება, საჭიროა როგორც იმ ადამიანებისათვის, ვისაც ხელის ჩაჭიდების სირთულე აქვს, ასევე მათთვისაც, ვისაც ხელში ნივთები უჭირავს.

• დიდი შრიფტით ნაწერი ეხმარება მხედველობის სირთულეების მქონე ადამიანებსაც და იმ ბავშვებსაც, რომლებიც კითხვას სწავლობენ.

• უნივერსალური მინიშნებები (ნიშნები სიტყვების გარეშე) ეხმარება სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე ადამიანებს და მათ, ვინც კითხვა არ იცის/კითხვის სირთულეები აქვს.

სწავლების უნივერსალური დიზაინის პრინციპებს აქვს პოტენცია შექმნას და შეინარჩუნოს ისეთი სასწავლო გარემო, სადაც ყველა მოსწავლე მიღებული და დაფასებულია, სადაც ყველას შეუძლია აკადემიური წარმატების გამოცდილების მიღება.

როდესაც პედაგოგი სწავლების უნივერსალურ დიზაინს ითვალისწინებს, ის ითვალისწინებს სხვადასხვა მდგომარეობისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს და, ასევე, დასწავლის სხვადასხვაგვარ სტილს, რომელიც მის მოსწავლეებს შესაძლოა ჰქონდეთ და შემდეგ,

---

8 უნივერსალური დიზაინის შესახებ მეტი ინფორმაცია იხ: www.cast.org

თავი მომზადებულია UNICEF-ის ვებინარის მიხედვით: Access tschool and learning environment II – Universal Design for learners, ავტორი: კრის ჯონსტონი file:///C:/Users/UNAG/Downloads/IE_Webinar_Booklet_11.pdf

მრავალფეროვანი პედაგოგიური სტრატეგიების გამოყენებით,ამ განსხვავებულობებთან მუშაობის გზებს პოულობს.

როდესაც პედაგოგი აქტივობას სწავლების უნივერსალური დიზაინის პრინციპებით გეგმავს, უკეთესი შედეგის მისაღწევად, ითვალისწინებს მოსწავლეების შესაძლო განსხვავებულ საჭიროებებს ენის დაუფლების სფეროში, დასწავლის სტილში, სენსორულ გადამუშავებაში, პერცეფციაში (გარემოს აღქმის თავისებურებაში), კულტურულ მახასიათებლებში, ცოდნის დონეში. ის ასევე ითვალისწინებს ბავშვს, რომელსაც აკლია თვითდაჯერებულობა, ხმამაღლა გამოთქვას საკუთარი აზრი და ასევე იმ მოსწავლეებს, რომლებსაც უკვე აქვთ საკმაოდ დიდი ცოდნა ამა თუ იმ ტიპის თემატიკასთან დაკავშირებით.

სწავლების - ინფორმაციის მიწოდების მრავალფეროვნება

როგორც ზემოთ ითქვა, სწავლების უნივერსალური დიზაინის ჩარჩოს მიხედვით, სამიდან პირველი პრინციპი სწავლების-ინფორმაციის მიწოდების მრავალფეროვანი საშუალებებია:

სწავლის სტილი ან სწავლასთან დაკავშირებული გამოწვევა	მასწავლებლის სტრატეგია
ვიზუალური (მათ შორის სმენის დარღვევების მქონე ბავშვები)	საგნები და სურათები (ფოტოები, გრაფიკული გამოსახულებები ან სიმბოლური მანიშნებლები); სხვადასხვა ფერების მიხედვით კოდირებული ინფორმაცია, ვიზუალური ცხრილები და მიმანიშნებლები
სმენითი (აუდიალური) (მხედველობის დარღვევების მქონე ბავშვების ჩათვლით)	თხრობასა და დიალოგზე დაფუძნებული სწავლება, აქტივობები წყვილში, აუდიო-წიგნები და გამახმოვანებლები
ყურადღების დეფიციტისა და დასწავლის სირთულეების მქონე ბავშვები	ინფორმაციის მცირე ნაწილებად მიწოდება, ხშირი გამეორება, მრავალფეროვანი მაგალითები, კონკრეტული და უშუალო გამოცდილებების გზით შესწავლა
დასწავლის კინესთეტური სტილის მქონე მოსწავლეები და აქტიური (მოუსვენარი) ბავშვები	ხელით კეთება, საგნების შეხება, ტაქტილური ანბანი, ხშირი მოძრაობა, პროექტებზე დაფუძნებული სწავლება
კულტურულად განსხვავებული მოსწავლეები	მათი კულტურისათვის შესაბამისი სასწავლო მასალების გამოყენება
ბავშვები ცოდნის სხვადასხვა დონით	შესაძლოა, საბაზისო მასალა გამეორებას ან თავიდან სწავლებას საჭიროებდეს

წარმოიდგინეთ, რომ სკოლისთვის მზაობის ჯგუფში კვირის თემა მდინარეები, ტბები, ზღვები, ოკეანეები და ტალღებია. პროგრამის მოთხოვნებიდან გამომდინარე აღმზრდელ-პედაგოგი ბავშვებს გააცნობს ისეთ საკვანძო სიტყვებს როგორებიცაა: მდინარე, ტბა, ზღვა, ოკეანე, ტალღა, ტალღის შემაჩერებელი (გამტეხი) ჯებირები, ცუნამი. ესაუბრება რა განსხვავებაა მდინარეებს, ტბებსა და ოკეანეებს შორის, დიდ და პატარა ტალღებსა და ცუნამს შორის. აქტივობების დაგეგმვისას და მასალის შერჩევის დროს, აღმზრდელ-პედაგოგი უნდა ითვალისწინებდეს იმ მახასიათებლებს, რითაც მის ჯგუფში მყოფი ბავშვები განსხვავდებიან სასწავლო საჭიროებების თვალსაზრისით. მან უნდა გაითვალისწინოს პოტენციური ბარიერები და მათი გადაჭრის გზები. სწავლების მოქნილი მეთოდების გამოყენებით უნდა გაარკვიოს, მაგალითად: არიან თუ არა ჯგუფში ბავშვები, რომლებიც უმრავლესობის ენაზე კარგად არ საუბრობენ. იგი ამ ბავშვებისათვის საკვანძო სიტყვების მარტივ და მათთვის გასაგებ ლექსიკონს შეადგენს; მაგალითად, სიტყვის შესაბამის სურათებს გამოიყენებს. ეს სტრატეგია დაეხმარება ყველა დანარჩენ ბავშვსაც კითხვის წინარე უნარების დაუფლებაში, – როდესაც

სურათის ქვეშ შესაბამის სიტყვას დაინახავენ.

თუ მოსწავლეთა გარკვეული ნაწილის ძლიერი მხარე და პრეფერენცია ვიზუალურია, აღმზრდელ-პედაგოგი სურათების ჩვენებისა და სხვადასხვაგვარი ტალღების ამსახველი ვიდეო-მასალის ჩვენების სტრატეგიას გამოიყენებს. თუ ვინმეს ჯგუფში მხედველობის სირთულეები აქვს, ზღვის ტალღების, ქვიშის მიმოქცევის, თოლიების ყვირილის, გემის საყვირის ხმის ჩანაწერები მოვასმენინოთ. ან ამგვარი ხმების გამომცემი სათამაშოები და აუდიო წიგნები გამოვიყენოთ.

ბავშვებს, რომლებსაც ზემგრძნობელობა[9] აქვთ ხმაურის მიმართ, აღმზრდელ-პედაგოგი, ტალღების ხმაურის შემცველი ვიდეო-მასალის ჩართვისას, წინასწარ შეამზადებს მათ და საჭიროების შემთხვევაში ყურსაცობებსაც შესთავაზებს. ხმაურის მიმართ ქვე-მგრძნობიარე ბავშვების დაინტერესება შესაძლებელია, თუ მათთან ახლოს დავსხდებით და მათთვის ქვიშის მიმოქცევის ხმის იმიტაციის მქონე სათამაშოებს მოვასმენინებთ.

იმ ბავშვებისათვის, რომელთაც ყურადღების დეფიციტისა და დასწავლის სირთულეები აქვთ, აღმზრდელ-პედაგოგი ვიზუალურ და აუდიალურ მასალას კვირის მანძილზე სხვადასხვა დროსა და სიტუაციაში გამოიყენებს და ბავშვებს წყლის თემატიკაზე ბევრ კინესთეტურ და მოძრაობით აქტივობებს შესთავაზებს.

საბავშვო ბაღის გარემო ისეა მოწყობილი (უნდა იყოს), რომ ბავშვებს სამყაროს შემეცნებისა და დასწავლის სხვადასხვა მოდალობებს სთავაზობს. ბევრი ბავშვი მიიღებს სარგებელს დრამის ცენტრში მეზღვაურობანას თამაშისას. ამ დროს თემასთან დაკავშირებულ ცნებებს ბავშვები მათთვის უფრო მოსახერხებელი არხების საშუალებებით შეიმეცნებენ. ბავშვს, რომელსაც თამაშში ჩართვის სირთულეები აქვს, ბავშვები აღმზრდელ-პედაგოგის დახმარებით ისეთ როლს ანიჭებენ, რომელიც მის შესაძლებლობებს შეესაბამება.

ბევრი ბავშვი დასწავლის კინესთეტური სტილით უკეთ შეიმეცნებს. ტალღების მოძრაობის და ცურვის იმიტაცია ამ და ყველა სხვა ბავშვისთვისაც ფიზიკური ვარჯიშის და მოძრაობის საშუალებას იძლევა.

თემატიკასთან დაკავშირებული მარტივი სიმღერის სახალისო გზით (მოძრაობების გამოყენებით) დასწავლა სასარგებლო იქნება ყველა ბავშვისათვის, მათ შორის მათთვისაც, ვისაც მეტყველების სირთულეები აქვთ; მეტყველების სირთულეების მქონე ბავშვები სიმღერის გზით უკეთ სწავლობენ.[10]

გამოხატვის მრავლობითი საშუალებები

სწავლების უნივერსალური დიზაინის ჩარჩოს მიხედვით, სამიდან მეორე პრინციპი – გამოხატვი, ცოდნის დემონსტრირების მრავლობითი საშუალებებია, მაგალითად:

სწავლის სტილი ან სწავლის სირთულეები	მასწავლებლის სტრატეგია
ბავშვები, რომლებსაც საკუთარი თავის გამოხატვა დაწერილი/დაბეჭდილი სიტყვებით ან შესაბამისი სიმბოლური ბარათებით ურჩევნიათ (მეტყველების სირთულეების მქონე ბავშვები)	ცოდნის გამოსახატად და/ან შესამოწმებლად გამოიყენება წერითი და/ან შემოსახაზი დავალებები, მოსწავლის შესაძლებლობების შესაბამისად
ბავშვებ, რომლებსაც ზეპირად გამოხატვა ურჩევნიათ (წერასთან დაკავშირებული სირთულეების მქონე ბავშვები)	დიალოგებისა და დისკუსიების სტრატეგია, კითხვა-პასუხის სტრატეგია გამოიყენება

9 ხმაურის მიმართ ზემგრძნობიარე ბავშვებმა, მოულოდნელი ხმაურის დროს, შესაძლოა, დისკომფორტი მაგიდის ქვეშ შეძრომით, ყურებზე ხელების აფარებით, ჯგუფიდან გაქცევის სურვილით, იატაკზე გაგორებით ან სხვაგვარად გამოხატონ. დამატებით იხ. თავი „აუტიზმის მართვა ბაღში“

10 სიმღერების სწავლებისას, ბავშვების მუსიკასთან ზიარებისას, მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ბავშვებმა ამ პროცესისგან სიამოვნება უნდა მიიღონ.

მოსწავლეები, რომლებიც კომუნიკაციაში ხატვის, ძერწვის ან დიაგრამების შექმნის გზით უკეთ შემოდიან (მათ შორის მეტყველებისა და/ან წერის სირთულეების მქონე ბავშვები)	შესაძლებლობა, რომ ცოდნა ვიზუალური და/ან ხელოვნებასთან დაკავშირებული გზით გამოხატონ
კინესთეტური მოსწავლეები და აქტიური (მოძრავი) ბავშვები	შესაძლებლობა, ჩაერთონ დრამატულ აქტივობებში, სხეულის მოძრაობასთან დაკავშირებულ და მუსიკალურ აქტივობებში, საკუთარი ცოდნისა და შესაძლებლობების დემონსტრირებისათვის
მოსწავლეები, რომლებსაც სჭირდებათ მეტი დრო დასაფიქრებლად, ვიდრე პასუხს გასცემენ (მათ შორის უცხოენოვანი მოსწავლეები)	ბავშვებისათვის საკმარისი დროის მიცემა პასუხის მოსაფიქრებლად და გასაზიარებლად.[11]

წარმოიდგინეთ, რომ აღმზრდელ-პედაგოგის მიზანია, ბავშვებმა შეძლონ სწორი თანმიმდევრობით გადმოსცენ ჯგუფში წაკითხული მოკლე, მარტივი მოთხრობა. პედაგოგმა იცის, რომ ამ მიზნის მისაღწევად მნიშვნელოვანია მოვლენათა თანმიმდევრობის გააზრების უნარების გავარჯიშება. მან იცის, რომ ჯგუფში ჰყავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვები, რომლებსაც მონათხრობის თანმიმდევრულად დალაგების სირთულეები ექნებათ, რადგან მათ ჯერ კიდევ სჭირდებათ დახმარება, რაიმე ამოცანის დაწყებ-დასასრულებლად და ჯერ-შემდეგ ცნების გასააზრებლად. ამიტომ პედაგოგი მოკლევადიან მიზნად არა თხრობითი სიუჟეტის თანმიმდევრულად გადმოცემას იღებს, არამედ „ჯერ-შემდეგ“ უნარების გავარჯიშებაზე იწყებს მუშაობას.

აღმზრდელი ბავშვებს თანმიმდევრობის, დაწყება-დასრულების და ჯერ-შემდეგ ცნებების კარგად გააზრებაში და ვიზუალიზებაში რომ დაეხმაროს, შემდეგი ტიპის აქტივობებსაც გეგმავს: ბავშვებს პატარა ჯგუფებად ყოფს და თითოეული ჯგუფისთვის, დღის სხვადასხვა მონაკვეთში, მათთვის ნაცნობ,ხელის დაბანის აქტივობის დემონსტრირებას აკეთებს, ოღონდ ამჯერად თითოეულ ნაბიჯს თანმიმდევრობით განიხილავს: „ჯერ ვუშვებ წყალს, შემდეგ ვისველებ ხელებს, შემდეგ ვიღებ საპონს...“ მასწავლებელს ასევე მზად აქვს ხელის დაბანის აქტივობის ამსახველი თანმიმდევრული ბარათები. ხელის დაბანის დემონსტრირების შემდეგ, აღმზრდელი ეხმარება ბავშვების მცირე ჯგუფს, ბარათები განიხილონ და თანმიმდევრობით დაალაგონ. ამ დროს, ბავშვებთან საუბრისას, ხშირად იყენებს სიტყვებს: დაწყება, ჯერ, შემდეგ, დასრულება. ამავდროულად, აღმზრდელი საშუალებას აძლევს ბავშვებს, ნასწავლი მათთვის უფრო ხელსაყრელი გამოხატვის საშუალებით გადმოსცენ: ზოგიერთი ამ თანმიმდევრობას ჰყვება, ზოგიერთი ბარათებს თანმიმდევრობით ალაგებს, ზოგი კი პირდაპირ ონკანთან მიუთითებს, რა ხდება ჯერ და რა ხდება მერე.

გარდა ამისა, აღმზრდელი ბავშვებს დავალებად აძლევს, ჩამოაყალიბონ მათთვის კარგად ნაცნობი აქტივობების თანმიმდევრობა. მაგალითად: მულტფილმის ყურება, კბილების გამოხეხვა, წიგნის დათვალიერება, დაძინება ან რაიმე სხვა. შემდეგ, წყვილებში მუშაობისას, ბავშვები თავად ირჩევენ გამოხატვის რა ფორმა აირჩიონ: მოყოლა, დრამატულად განსახიერება, ბარათები თუ ხატვა.

ბავშვებთან, რომლებსაც განსაკუთრებული სირთულები აქვთ აქტივობების დაწყებასა და <u>დასრულებასთ</u>ან დაკავშირებით, იგი აქტივობის დასრულების სპეციფიკურ მიმანიშნებლებს

11 ბავშვებთან ურთიერთობის დროს, მათთან თამაშისას ან მათი სწავლებისას, მათი კვებისას ან ტუალეტსა და აბაზანაში დახმარებისას, ერთ-ერთი ხშირი ფრაზა, რასაც უფროსისგან მოვისმენთ არის - „ჩქარა-ჩქარა“. უფროსებს, სამწუხაროდ, ხშირად გვავიწყდება, რომ ბავშვებს ჩვენგან და ერთმანეთისგან განსხვავებული ინდივიდუალური ტემპი აქვთ და ამ ტემპის მუდმივი გაუთვალისწინებლობა მათ გაღიზიანებასა და იმედგაცრუებას იწვევს. „ჯადოსნური ათის“ პრინციპი გვეუბნება, რომ ხანდახან საჭიროა, ბავშვის პასუხს მანამდე ველოდოთ, სანამ გულში ნელა ათამდე არ დავითვლით. ჩვენ მიჩვეულები ვართ და ვფიქრობთ, რომ თუ ბავშვმა პასუხი იცის, ის შეკითხვაზე დაუყოვნებლივ გპასუხობს, თუმცა, ყველა ბავშვის შემთხვევაში, ეს ასე არ არის. ზოგიერთ ბავშვს, რომელმაც დასმულ კითხვაზე პასუხი იცის, ბევრად მეტი დრო სჭირდება იმისათვის, რომ პასუხი დააბრუნოს. ჩაატარეთ ექსპერიმენტი: კითხეთ თქვენს კოლეგას ან ოჯახის წევრს, რა ჰქვია, ან რამდენი წლისაა და სთხოვეთ, პასუხი მანამდე არ გაგცეთ, სანამ გულში ნელა ათამდე არ დათვლით და ნახეთ, რა დროა ეს.

იყენებს. მაგალითად: ქვიშის საათი, ვიზუალური ბარათებიანი საათი, დღის განრიგის ვიზუალური ცხრილი, რაიმე სიმღერა და ა.შ.

აღმზრდელი ამჩნევს ჯგუფში ისეთი ბავშვების არსებობას, რომელთაც უჭირთ მონათხრობის აღქმა და გაგება. ამ მოსწავლეების დასახმარებლად, იგი მოთხრობის თანმიმდევრობის შესაბამის ბარათებს ამზადებს და შემდეგ ბავშვებს აძლევს საშუალებას, მოთხრობა ამ ბარათების მიხედვით აღიდგინონ და ისე მოყვნენ. შემდეგ, მასწავლებელი იგივე სტრატეგიით ახალისებს წაკითხული მოთხრობის მოყოლას. ის მოუწოდებს ბავშვებს, წარმოიდგინონ, რა ხდება მოთხრობაში, შექმნან გონებაში მოთხრობის ვიზუალური სურათები. კითხვის დასრულებისას, ბავშვებს საშუალებას აძლევს, სხვადასხვა გზით მოყვნენ ამბავი: დახატონ,მოგვითხრონ, ბარათები დაალაგონ,წაკითხული მოთხრობის გადმოსაცემად შესაბამისი საგნები და სათამაშოები გამოიყენონ; ამბავი გადმოსცენ სხეულის მოძრაობით, ემოციების გამოხატვით განასახიერონ მომხდარი და ა.შ.

ჩართულობის მრავალფეროვანი საშუალებები

სწავლების უნივერსალური დიზაინის ჩარჩოს მიხედვით, მესამე პრინციპი ჩართულობის მრავლობითი საშუალებებია. ეს კი ბავშვის ინტერესებსა და მოტივატორებზე ყურადღების ფოკუსირებით და მისი შესაძლებლობების შესაბამისი ამოცანების მიწოდებით მიიღწევა.

ბაღის გარემოში ყველა ბავშვის ჩართულობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია, პროგრამა და აქტივობები ითვალისწინებდეს ბავშვის განვითარების ყველა სფეროს – შემეცნებით, მოტორულ, ენობრივ, სოციალურ-ემოციურს და თვითმოვლას. ბავშვის დასწავლის სტილს – ვიზუალურ, ვერბალურ, კინესთეტურ, ბავშვების სენსორულ პროფილს და სხვა სპეციფიურ საგანმანათლებლო საჭიროებებს. ამასთან, აქტივობები ისე იყოს აგებული, რომ მასში ჩართვა ყველამ თავისი შესაძლებლობებისა და ინტერესების შესაბამისად მოახერხოს. მასალა ხელმისაწვდომი და მრავალფეროვანი უნდა იყოს ყველასათვის. უნდა იყოს გათვალისწინებული მასალის ფორმა, ზომა, ფერი და ტაქტილური მრავალფეროვნება.

სოციალური გარემო უნდა უზრუნველყოფდეს განსხვავებულობის აღიარებას. უნდა იყოს კეთილმოსურნე ყველა ბავშვისა და მშობლის მიმართ. ხელი უნდა ეწყობოდეს კულტურული მრავალფეროვნების სწავლების წახალისებას და ჯგუფში არსებული კულტურული მრავალფეროვნებისთვის დამახასიათებელი ნიშნები პროგრამის აქტივობებში უნდა იყოს გათვალისწინებული. ნებისმიერი ბავშვისათვის პერსონალური ასისტირება-დახმარება ფრთხილად, მოზომილად უნდა განისაზღვროს და შემცირდეს თანდათანობით, უნარის გაუმჯობესების შესაბამისად. ინდივიდუალურად განსაზღვრული მიზნები და აქტივობები საჭიროებს რეგულარულ შეფასებას, რადგან ბავშვების საჭიროებები და უნარები ცვლადია. მაგალითად, თუ ბავშვი კომუნიკაციისთვის იყენებს ბარათების დაფას, ეს დაფა შეიძლება საჭიროებდეს განახლებას, ან საერთოდ შეიძლება აღარ იყოს საჭირო. თანმიმდევრული დაკვირვება და რეგულარული შეფასება კარგი და წარმატებული ადრეული და ინკლუზიური განათლების პრაქტიკის ერთ-ერთი ქვაკუთხედია.

მუშაობა ოჯახთან[12]

მაშინაც კი, როცა ბავშვის პრობლემური ქცევის მიზეზები ცნობილია და,სავარაუდოდ, სხვადასხვა ფაქტორების ერთობლიობითაა გამოწვეული, ხანდახან მაინც, ოჯახის დადანაშაულება გვინდება. სულ უნდა გვახსოვდეს, რომ ოჯახის წევრები მტრები არ არიან, პირიქით, თქვენ ერთ მხარეს ხართ. მათ უყვართ თავიანთი შვილები და მათი დახმარება სურთ. რაც არ უნდა წარმოუდგენლად გეჩვენებოდეთ ოჯახთან თანამშრომლობა, ეს მაინც საუკეთესო სტრატეგიაა. მნიშვნელოვანია, კავშირი მანამდე დამყარდეს, სანამ სირთულეები წარმოიქმნება. მით უმეტეს მაშინ, თუ ბავშვს წარსულშიც ჰქონდა პრობლემები. თუ ოჯახს პირველივე კონტაქტის დროს მხოლოდ პრობლემის შესახებ ამცნობთ, მისი გადაჭრის გზების მოძებნა უფრო გართულდება.

12 *წიგნიდან „რთული ქცევა პატარა ბავშვებში - გაგება პრევენცია, ეფექტური მართვა“, ბარბარა კაიზერი,* 2007

ოჯახთან შესახვედრად მომზადება

სანამ ოჯახს ბავშვის პრობლემური ქცევის გამო მიმართავთ, მნიშვნელოვანია, რჩევა თქვენს კოლეგებს ჰკითხოთ. საუბრის შედეგად მეტ შესაძლებლობას მისცემთ საკუთარ თავს, ბავშვსა და ოჯახს გაუგოთ და დაეხმაროთ. შეგიძლიათ მიმართოთ უფრო გამოცდილ მასწავლებლებს, ვინც პრობლემური ქცევის ბევრ ბავშვს შეხვედრია და ვინც ადრე მუშაობდა კიდეც კონკრეტულ ბავშვთან ან ოჯახთან. კიდევ ერთი შესაძლებლობაა საერთო კრებაზე საკითხის განხილვა. ყველაფერი, რასაც გრძნობთ (დაბნეული ხართ თუ გაბრაზებული) და რასაც ბავშვი აკეთებს (არ ერთვება აქტივობებში, თუ ვინმეს წიგნს ურტყამს თავში), საკმარისი მიზეზია, ეძებოთ რჩევა და თანაგრძნობა. თუ თქვენ დახმარების თხოვნას მეორე დღისთვის გადადებთ, როცა ისევ ჯგუფის წინაშე უნდა წარსდგეთ, ძალიან დიდ დროს დაკარგავთ. ხანდახან ბაღში მომუშავე ადამიანები არ ითხოვენ დახმარებას. მათ ეშინიათ, რომ არაკომპეტენტურად ჩათვლიან, ან მიაჩნიათ, რომ პრობლემას თავად მოაგვარებენ. ეს შეცდომაა. ზოგიერთი ბავშვის აღზრდა-განათლება უფრო რთულია და ყველას სჭირდება ემოციების გაზიარება, დახმარება და დროდადრო რჩევების მიღება. როცა საქმე გაქვთ პრობლემურ ქცევასთან, გუნდურად მუშაობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ადამიანებს, რომლებსაც განსხვავებული ხედვა და უნარ-ჩვევები აქვთ, შეუძლიათ, ერთმანეთს კრეატიული და ეფექტური გადაწყვეტილების მიღებაში დაეხმარონ. (როცა კოლეგასთან ლაპარაკობთ, დაიცავით ბავშვისა და ოჯახის კონფიდენციალობა. თქვენი ეთიკური ვალია, თავდაჭერილი იყოთ პროფესიულ და პირად ცხოვრებაში. არ ისაუბროთ საზოგადოებრივ ადგილებში, არ ახსენოთ გვარები. არავინ იცის, ვინ ზის თქვენ უკან ხალხმრავალ კაფეში ან კინოთეატრში).

მშობლებს უკეთესად შეუძლიათ დაეხმარონ საკუთარ შვილებს, ისინი ყველაზე კარგად იცნობენ ბავშვს. მათ შეუძლიათ, ყველაფერი გითხრან ბავშვის ცხოვრების, კულტურული წარმომავლობისა (ოჯახის როლის, წარმოშობის, ავტორიტეტების) და სტრესების (დაავადების, განქორწინების, ფინანსური პრობლემების) შესახებ. ასევე, მოგაწოდონ ინფორმაცია ბავშვის განვითარებისა და სახლში მისი პრობლემური ქცევის ხასიათის, სიხშირისა და სერიოზულობის შესახებ. აგრეთვე, როგორ უმკლავდებიან მას. რამდენადაც კარგად გაარკვევთ, როგორი გარემოდან მოდის ბავშვი, იმდენად კარგად იქნებით აღჭურვილი მის ქცევაზე რეაგირებისათვის. ოჯახთან ურთიერთობისას, სცადეთ, გარემოებები მათი თვალთახედვით დაინახოთ და დააკვირდით, რა ძლიერი მხარეები, ცოდნა-უნარები და რესურსები აქვთ. თუ ფიქრობთ, რომ მშობლებს დახმარების უნარი შესწევთ, უფრო მეტად სავარაუდოა, რომ ისინი თქვენს იმედებს გაამართლებენ და ერთად სხვადასხვა პრობლემებს გადაჭრით.

როგორ რეაგირებენ ოჯახები პრობლემურ ქცევაზე?

მშობლებს, ცხადია, ძლიერი ემოციები აქვთ თავიანთი შვილების მიმართ და თუმცა მათ ხშირად ზუსტად იციან არსებული პრობლემების შესახებ, რეალურად, არასდროს არ არიან მზად ამაზე სასაუბროდ. შეიძლება ყოველდღე პრობლემები შეექმნათ ჭამის, ბანაობის და ძილის დროს. ეშინიათ სუპერმარკეტში გასვლის, ეშინიათ მისი ეზოში ჩაყვანა, სხვა ბავშვებს რაიმე ზიანი არ მიაყენოს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი მზად არიან, მათ ბავშვს სხვამაც რთული უწოდოს. ოჯახი, რომელიც პრობლემურ ბავშვთან ცხოვრობს, შესაძლოა, გაუსაძლის სტრესს განიცდიდეს (Fox, Vaughen, Waytte & Dunlap, 2002). შესაძლოა, მშობლებმა ერთმანეთიც დაადანაშაულონ ბავშვის საქციელის გამო და თავი გარიყულად, მსხვერპლად, დაუცველად, გაბრაზებულად, უმართავად, დამნაშავედ, დათრგუნულად და/ან სრულიად უუფლებოდ იგრძნონ (Webster-Statton & Herbert, 1994). მათი აზრით, პრობლემური ბავშვის ყოლა მათ ცუდ მშობლობაზე მიანიშნებს და მათ განსჯიან და გარიყავენ არა მარტო სხვა მშობლები (ვისი ბავშვებიც საუკეთესოები არიან), არამედ მთელი სანათესაოც. როცა მათ ელაპარაკებით, ისინი საუბრობენ დანაშაულის გრძნობაზე, იმედგაცრუებასა და თავდაცვაზე, რაც წლების მანძილზე აწუხებთ.

მართალია, ამ საკითხს ოჯახთან პირველად განიხილავთ, მაგრამ მშობლებმა, შესაძლოა, სხვისგან უკვე იციან ბავშვის პრობლემების შესახებ . თუ მათ უკვე აქვთ უხეშ, არაგულითად

მასწავლებლებთან საუბრის გამოცდილება, ყოველი ახალი შეხვედრა უფრო საშიშად ეჩვენებათ. მეორე მხრივ, თუ ბავშვის პრობლემების შესახებ პირველად ესმით, შეიძლება განადგურებულად იგრძნონ თავი და იფიქრონ, რომ პრობლემების მიზეზი თქვენ ხართ. ასე რომ, ყველა მშობელს თავიდანვე არ ექნება პრობლემური ქცევის მოგვარების სტრატეგიაზე თქვენთან მუშაობის სურვილი. ზოგი შეიძლება სწრაფად შემოგიერთდეთ და ერთად დასახოთ ახალი ტაქტიკა ბავშვთან მუშაობაში, მაგრამ ზოგი შეიძლება ვერ დაითანხმოთ; არსებობს ოჯახები, რომლებიც რომელიმე ბაღიდან მიღებული გამოცდილების გამო არ ენდობიან მასწავლებლებსა და ბაღს, ან ეშინიათ მათი, ან კიდევ სჯერათ, რომ სახლი და ბაღი ძალიან შორის დგანან ერთმანეთისგან(Lareau & Shumar, 1996). ზოგიერთები კი, რომლებსაც არ შეუძლიათ თავიანთი ბავშვების პრობლემებზე საუბარი, შეიძლება აგრესიულად განეწყონ , ან საერთოდ არ დაინტერესდნენ (Martin & Hagan-Burke, 2002). ბევრს საერთოდ არ აქვს დრო, ენერგია ან ფული თქვენთან რომ ითანამშრომლოს, რადგან პრობლემური ქცევის ბავშვი ოჯახის რესურსებს შთანთქავს.

იმის მიუხედავად, როგორი რეაქცია ექნება ოჯახს, თქვენ თავდაცვითი პოზიცია არ უნდა დაიჭიროთ. თუ ოჯახმა გაწყენინათ ან მათი ბავშვი არ მოგწონთ, მათ შეიძლება არ მოგისმინონ, არ გაგიზიარონ საკუთარი აზრები და შემდგომი თანამშრომლობა თითქმის შეუძლებელი გახდება. საქმის არსი ნათელია: **ამ საქმეში წარმატებაზე პასუხისმგებელი ხართ თქვენ**.

როგორ გრძნობთ თავს?

თქვენც ღელავთ იმის გამო, რომ არ იცით, როგორი რეაქცია ექნება მშობელს თქვენს ნათქვამზე და შეიძლება კიდეც შეშინდეთ, რომ ისინი ბავშვის პრობლემებზე პასუხისმგებლობას თქვენ დაგაკისრებენ, ან უბრალოდ არ დაგიჯერებენ. მშობლებმა, რომლებიც სახლში მკაცრ ან ფიზიკურ დისციპლინას იყენებენ, შეიძლება იფიქრონ, რომ თქვენ საკმარისად მკაცრი ან პირდაპირი არ იყავით და, ბავშვის კულტურული წარმომავლობიდან გამომდინარე, შეიძლება მართლებიც იყვნენ (Delpit, 2006) (იხილეთ თავი 6 და 9). თუ ბავშვზე გაბრაზებული ან განაწყენებული ხართ, ეს გრძნობები ოჯახთან თქვენს ურთიერთობაზეც შეიძლება აისახოს(Kay, Fitzgerald, & McConaughy, 2002). მნიშვნელოვანია, გააცნობიეროთ და გააკონტროლოთ თქვენი ემოციები.

ოჯახთან შეხვედრა

შეხვედრის მოწყობა

პირველი შეხვედრა პრობლემური ქცევის მქონე ბავშვის ოჯახთან, თქვენს ურთიერთობებს ახალ ელფერს შესძენს. შეხვედრის შედეგები ოჯახის მოკავშირედ ან მტრად გაქცევთ, და ცხადია, ეს იარლიყი გავლენას მოახდენს მომავალზეც. მნიშვნელოვანია, არ წარმოვაჩინოთ თავი ექსპერტად ან ავტორიტეტად. როცა თქვენ და ოჯახი ერთმანეთს თანასწორად მიიჩნევთ, აღიარებთ ერთმანეთის ცოდნას და გააცნობიერებთ, რომ აზრთა სხვადასხვაობა ნორმალურია, შეგიძლიათ ერთობლივი ძალით დასახოთ მიზნები, შეადგინოთ გეგმები და გადაწყვიტოთ პრობლემები.

საუბარი აუცილებლად დადებითი შეფასებით დაიწყეთ. წინასწარ მოამზადეთ რამდენიმე გამამხნევებელი კომენტარი, გაიხსენეთ წინა დღეები, ჩაინიშნეთ პოზიტიური შენიშვნები. თუ ბლანკის შევსების პრაქტიკა გაქვთ, დაძებნეთ პოზიტიური ქცევის მაგალითები. როცა მშობლებმა იციან, რომ აღიარებთ, აფასებთ ბავშვის მონაცემებს, მეტად სავარაუდოა, რომ თქვენთან ურთიერთობასაც და ბავშვის პრობლემასაც უფრო კონსტრუქციულად მიუდგებიან.

თავდაპირველად გააცანით საკუთარი თავი, შემდეგ – შეხვედრის მიზეზი. ეცადეთ, ნათქვამი ბუნდოვანი არ იყოს. მაგალითად: „მე მინდა მარის შესახებ გესაუბროთ." მშობლები ამ შემთხვევაში ცუდს ფიქრობენ. ამის ნაცვლად, აღწერეთ ზუსტად ის ფაქტები, რაც შენიშნეთ: ცემს სხვა ბავშვებს და უფუჭებს ნამუშევრებს. უთხარით, რაც სათქმელი გაქვთ, რას აკეთებთ ჯგუფში და ჰკითხეთ რჩევა. იყავით ფრთხილად, არ დაადანაშაულოთ და არ განსაჯოთ ისინი (Dunst, 2002).

ზოგი მშობელი ღელავს და ელოდება თქვენგან შეტყობინებას, ზოგისთვის კი- მოულოდნელია. დანაშაულის, გაბრაზების, იმედგაცრუების, შეცბუნების გრძნობა აუცილებლად ძლიერდება და მათ რეაქციებზე ახდენს გავლენას. მშობლებმა შეიძლება უარყონ, გაამართლონ, ლოგიკური ახსნა მოუძებნონ ბავშვის ქცევას, ან კიდევ უარი თქვან პასუხისმგებლობაზე: „სახლში ასეთი არ არის", „იქნებ მოწყენილია," „სამეზობლოში ბევრი მეგობარი ჰყავს", „ჩვენ ახლა გავქორწინდით", „ არასდროს გვიჯერებს, ცემაც არ შველის". იმ მშობლებმაც კი, რომლებიც თითქოს თანამშრომლობენ, შეიძლება უმწეოდ და დაუცველად იგრძნონ თავი (Losen & Diament, 1978). გამოხატეთ თანაგრძნობა და ყურადღებით მოუსმინეთ. ესაუბრეთ მანამდე, სანამ არ დაარწმუნებთ, რომ ბავშვზე ზრუნავთ და მზად ხართ მასთან სამუშაოდ.

როცა მასწავლებელი მშობლებს ბავშვის რთული ქცევის შესახებ სასაუბროდ იწვევს, ისინი ხშირად თავდაცვით პოზიციას იკავებენ. ასეთი რეაქციების მიზეზი შეიძლება გახდეს

- ვარაუდი, რომ ეს შეიძლება მასწავლებლისა და სხვა ბავშვების ბრალი იყოს.
- სხვა ბაღში ან სხვა სიტუაციაში მიღებული ადრინდელი ნეგატიური გამოცდილება.
- ძლიერი სტრესის პირობებში ცხოვრება (Losen & Diament, 1978).

რა უნდა მოხდეს შეხვედრაზე?

პირველ რიგში, მოემზადეთ. გადაწყვიტეთ, რა უნდა თქვათ და შეადგინეთ ჩამონათვალი იმ მიზნებისა და მთავარი საკითხებისა, რაც უნდა განიხილოთ. დააჯგუფეთ თქვენი ანგარიში, შენიშვნები და დაკვირვებები ისე, რომ არ დაგჭირდეთ საკითხების მოძიება შეხვედრის დროს. ბაღის მხრიდან პირველ შეხვედრას მხოლოდ თქვენ დაესწარით. სხვების ჩართვა ოჯახს შეაშინებს. ისინი იფიქრებენ, რომ მათი ბავშვის საკითხს მათ ზურგს უკან განიხილავთ. თუ თქვენ სასარგებლოდ მიიჩნევთ, შეგიძლიათ, მომდევნო შეხვედრაზე სხვა ადამიანიც დაასწროთ. თუ ერთმანეთს ბაღში ხვდებით, შეარჩიეთ მყუდრო ადგილი. ხელი რომ არავინ შეგიშალოთ, კარზე ჩამოკიდეთ ნიშანი „მიმდინარეობს შეხვედრა". დადგით უფროსებისთვის განკუთვნილი სკამები, თქვენსა და ოჯახს შორის არავითარი ფიზიკური ბარიერი არ უნდა არსებობდეს (მაგალითად, თქვენი სამუშაო მაგიდა). თუ შეხვედრას ბავშვიც ესწრება, იზრუნეთ, რომ ბავშვი უყურადღებოდ არ დარჩეს.

მშობლებს გულისხმიერად და ყურადღებით მოუსმინეთ. სიმშვიდის შესანარჩუნებლად, ისუნთქეთ ღრმად. დაიმახსოვრეთ, რომ თანამშრომლობაში დიდი წვლილი უნდა შეიტანოთ. კარგად უნდა იცნობდეთ ბავშვს, განსჯის გარეშე მოუსმინეთ და პატივი ეცით ოჯახის შეხედულებებსა და გრძნობებს.

ოჯახს ღიმილით შეხვდით. სანამ პრობლემებზე ისაუბრებთ, აცნობეთ მათ, თუ რა წარმატებებს აღწევს მათი შვილი: რას აკეთებს კარგად, ვინ არიან მისი მეგობრები და რა მოსწონს. შემდეგ კი ისაუბრეთ პრობლემური ქცევის შესახებ, რასაც ამჩნევთ და რაში გჭირდებათ ოჯახის დახმარება. როცა მშობლებს ბავშვის ქცევებს, თქვენს მოლოდინებსა და თქვენ მიერ გამოცდილ სტრატეგიებს აცნობთ, ისაუბრეთ წყნარად, ფაქტებზე დაყრდნობით და კონკრეტულად. ესაუბრეთ ოჯახს იმაზე, თუ რას ხედავთ და არა იმაზე, თუ რას ფიქრობთ. შესაძლებელია, მშობელს აჩვენოთ თქვენს მიერ შევსებული ბავშვის განვითარების „ჩეკლისტი" და რაშიც დარწმუნებული არ ხართ, ის არეები ერთად შეავსოთ. შესაძლებელია, რომ ბავშვი სხვა უნარებსა და ქცევას ავლენდეს სახლში და სხვას – ბაღში. კითხეთ მშობელს ამის შესახებ და გაითვალისწინეთ მისი აზრი.

ყოველთვის შეეცადეთ, რომ ბავშვი და მისი ქცევა ერთმანეთისაგან გამიჯნოთ. დააკონკრეტეთ, რატომ ღელავთ ასე ძლიერ. გაიხსენეთ, რა სტრატეგიები სცადეთ და ახსენით, რომ ბავშვის შემდგომი განვითარებისათვის მნიშვნელოვანია მისი დახმარება. ისევ გაუმეორეთ, თუ როგორ აფასებთ მათთან თანამშრომლობას.

როცა მკვლევარებმა (Blue-Banning, Summers, Frankland, Nelson & Beegle, 2004) მშობლებსა და პროფესიონალებს ჰკითხეს, რას აფასებდნენ თანამშრომლობაში, ექვსი თემა წამოიჭრა:

- *კომუნიკაცია.* მშობლებს სურთ, რომ პროფესიონალებთან კომუნიკაცია იყოს ხშირი,

გულღია და გულწრფელი, ყოველგვარი პირფერობისა და ინფორმაციის დამალვის გარეშე. ამავე დროს, მათ მოსწონთ ორმხრივი კომუნიკაცია და ტაქტის გრძნობა. პროფესიონალები, რომლებსაც პოზიტიური საუბრის მანერა ახასიათებთ, მათ პირადულ სივრცეს პატივს სცემენ და არ განსჯიან.

- *ერთგულება.* პროფესიონალები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ მათი საქმიანობა უფრო მეტია ვიდრე სამუშაო, მშობლების მოწონებას იმსახურებენ. მშობლები აფასებენ, როდესაც მასწავლებლები მზად არიან, ხანდახან მათ სამუშაო საათების შემდეგაც შეხვდნენ ან ბავშვის დაბადების დღე ახსოვთ.
- *თანასწორობა.* მშობლებს სურთ, პროფესიონალებმა მათი თვალსაზრისის საფუძვლიანობა გააცნობიერონ და ურთიერთობებში ჰარმონიისა და უფლებამოსილების გრძნობას აფასებენ.
- *უნარ-ჩვევები.* მშობლებს მოსწონთ პროფესიონალები, რომლებიც მათი შვილებისთვის რაღაცის გაკეთებას ცდილობენ და აფასებენ მათ, ვინც აღიარებს, რომ რაღაც არ იცის და ცდილობს გაიგოს.
- *ნდობა.* პირველ რიგში, ნდობა გულისხმობს საიმედოობას; რომ პროფესიონალი რასაც ამბობს, იმას აკეთებს. მეორე-უსაფრთხოებაა; იმის უზრუნველყოფას, რომ ბავშვს პატივისცემით მოეპყრობიან და ტკივილისაგან დაიცავენ.
- *პატივისცემა.* პროფესიონალები პატივისცემას ამჟღავნებენ, როცა ისინი ბავშვს, როგორც პიროვნებას ისე აფასებენ, ზრდილობიანად იქცევიან, ოჯახის წევრებს თქვენობით მიმართავენ, შეხვედრაზე დროზე ცხადდებიან და აცნობიერებენ ოჯახის წვლილს ბავშვის კეთილდღეობაში.

გუნდის შექმნა

თუ მშობელთან შეთანხმდებით, რომ ბავშვთან გუნდურად მუშაობა და მისთვის ინდივიდუალური გეგმის შედგენა სასარგებლო იქნება, ჩართეთ ამ პროცესში ბაღში მომუშავე სხვა სპეციალისტებიც. თუ ბავშვი რაიმე სახის ადრეული ჩარევის პროგრამაშია ჩართული, ჩართეთ პროცესში ბაღს გარეთ მომუშავე სპეციალისტიც. გახსოვდეთ, რომ დახმარების თხოვნა სისუსტის ნიშანი არ არის, მეტიც, ეს სიბრძნის ნიშანია. შესაძლებელია, რომ ოჯახმა უარი თქვას გარეშე ჩარევის გეგმაზე. ეს მათი უფლებაა და არ ნიშნავს, რომ ბავშვი არ უყვართ - ისინი არ არიან მზად მათი თვალსაზრისი – არსებული მდგომარეობის შესახებ – თქვენი შეხედულებისაგან განსხვავდება. განაგრძეთ ბავშვთან მუშაობა მშობლებთან შეთანხმებული სტრატეგიების მიხედვით და შესაძლოა, გუნდის შექმნაზე მოგვიანებით დაითანხმოთ, ან რამდენიმე თვის შემდეგ აღარც იყოს აუცილებელი.

თუ შეთანხმდებით, მოიწვიეთ მშობლები და გაიზიარეთ მათი მოსაზრებები, ბავშვთან მიღწეული ადრინდელი წარმატებები და ნებისმიერი ინფორმაცია ბავშვის ქცევის ან დიაგნოზის შესახებ. რა არის მიზეზი? მის ყოველდღიურ ცხოვრებაში იყო რაიმე ცვლილება ან სტრესი? როგორ იქცევა შინ? ადრეც ასე იქცეოდა და როგორ რეაგირებდნენ მის ქცევაზე? რა მიზნებს სახავენ ბავშვთან დაკავშირებით? ეს მიზნები პრობლემის რაიმე გადაწყვეტას გვთავაზობენ? ზოგიერთი მშობელი შესაძლოა, უკვე მუშაობდა სპეციალისტთან ან მშობლების ჯგუფთან და იცის პრობლემების მოგვარების სათანადო მეთოდები. შეუძლიათ რაიმე რჩევის შემოთავაზება? თუ მშობლები აღნიშნავენ, რომ შინ ბავშვის ქცევა პრობლემური არ არის, დაუჯერეთ მათ. შესაძლოა, ამ ქცევას ისინი პრობლემად არ აღიქვამენ, პრობლემური ქცევის ყველა ბავშვს არ აქვს პრობლემები ჯგუფს გარეთ, განსაკუთრებით დედისერთა ბავშვებს. მნიშვნელოვანია, ფრთხილად უთხრათ, რომ მათი ბავშვის ქცევა პრობლემას ქმნის თქვენს ჯგუფში, სადაც მან სხვა ბავშვებთან უნდა გაიზიაროს სივრცე, სათამაშოები და ყურადღება. რომ თუ ბავშვს უჭირს ბაღში, უფრო მეტად გაუჭირდება სკოლაში, სადაც ცოტა მასწავლებელი, მეტი ბავშვი და მეტი მოთხოვნებია.

ნებისმიერმა არადელიკატურმა, ბავშვისკენ მიმართულმა კრიტიკამ, შეიძლება, მშობლებს

ძალიან ატკინოს გული. ისინი თავს არ ზოგავენ მისთვის და ამიტომ შეიძლება განაწყენდნენ, გაბრაზდნენ ან დაუცველად იგრძნონ თავი. ნება მიეცით, გამოხატონ გრძნობები და მიეცით დრო, რომ შეეგუონ სიტუაციას. მოუსმინეთ ყურადღებით, აქტიური მოსმენა საშუალებას მოგცემთ, გაუგოთ და მათ მიმართ პატივისცემა და თანაგრძნობა გამოხატოთ. ყურადღება მიაქციეთ ზედაპირულ და სიღრმისეულ შეტყობინებებს და მათ გრძნობებს შემდეგი ფრაზით უპასუხეთ: „რთულია, არა?“ მათი ნათქვამის მნიშვნელობის უკეთ გასაგებად, ფრაზა გაიმეორეთ და ამით დაადასტურეთ, რომ გაიგეთ, რისი თქმაც უნდოდათ.

საუბრის დროს, აკონტროლეთ სხეულის ენა. ხელებს ნუ გადააჯვარედინებთ, გაიმეორეთ მშობლების შეტყობინებები. თუ ისინი საუბარისას წინ იხრებიან, ასევე მოიქეცით თქვენ. გააკონტროლეთ თვალით კონტაქტიც. გახსოვდეთ, რომ ეს შეიძლება კულტურული მიკუთვნებულობის საკითხი იყოს და მნიშვნელოვანია, რომ საუბრისას მათ მიმართ პატივისცემა გამოხატოთ. ყურადღება მიაქციეთ საუბრის ტემპს და ტონს. მათი საუბარი, გამომეტყველება და ჟესტები მათივე ემოციების გასაღებს გაძლევენ.

ზოგჯერ მასწავლებლები შიშობენ, რომ ოჯახი ბავშვს დასჯის. მართალია, თქვენი და ოჯახის სტრატეგიების შეთანხმება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს ემსახურება, თქვენი საქმე მაინც არ არის მშობლებისათვის რჩევის მიცემა. არ აქვს მნიშვნელობა, რამდენად სასარგებლო რჩევაა. შესაძლოა მოეჩვენოთ, რომ უტევენ. ამის ნაცვლად, უთხარით თქვენ როგორ გაუმკლავდით სიტუაციას. თუ ისინი წამოჭრიან საკითხს, ჰკითხეთ, მათი აზრით, როგორ უნდა მოიქცნენ შინ.

შეხვედრისას:

- პირველ რიგში, აღწერეთ კონკრეტული სიტუაცია. თავი აარიდეთ დადანაშაულებას ან მინიშნებას, რომ პრობლემის არსი მშობლემის პიროვნებაში ან ბავშვშია.
- წარმოადგინეთ პრობლემის გადაწყვეტის სხვადასხვა ვარიანტები. წვლილი ორივე მხარემ – მშობლებმა და პროფესიონალებმა – უნდა შეიტანოს. არავის წინადადება არ უნდა იყოს უგულებელყოფილი ან უარყოფილი.
- განიხილეთ თითოეული რჩევის დადებითი და უარყოფითი მხარეები.
- მიდით კონსენსუსამდე, თუ რომელი გადაწყვეტა უნდა სცადოთ.
- განიხილეთ გადაწყვეტილების განხორციელების გზები.
- შეთანხმდით შემდეგ შეხვედრაზე იმის შესაფასებლდ, თუ რა შედეგი გამოიღო ამ გადაწყვეტილებებმა და, თუ საჭიროა, შეცვალეთ თქვენი მიდგომა.

იმსჯელეთ ყველა შესაძლებელ იდეაზე, ტაქტიკაზე, მიდგომაზე და შეიმუშავეთ გეგმა. დაგეგმეთ მომდევნო თათბირი ბავშვის პროგრესის შესაფასებლად. იზრუნეთ, რომ მშობელმა თავი გარიყულად არ იგრძნოს: „ჩვენი შეხვედრა დასრულდა. მინდა შევაჯამოთ რაზეც ვიმსჯელეთ და რაც სამომავლოდ დავსახეთ“. მადლობა გადაუხადეთ მშობლებს პრობლემის გადაწყვეტაში შეტანილი წვლილისთვის. მათთვის მნიშვნელოვანია, გრძნობდნენ, რომ ბავშვიცა და მისი პრობლემებიც მათ ეკუთვნით, მათზეა დამოკიდებული ამ პრობლემის გადაწყვეტა და ბავშვის პოტენციური წარმატების მიღწევა.

მშობლების წასვლის შემდეგ, შეაფასეთ და ჩაინიშნეთ, როგორ ჩატარდა შეხვედრა. თქვით, რისი თქმაც გინდოდათ? რა რეაქცია ჰქონდათ მშობლებს? რა ვალდებულებები შესრულდა ყველას მხრიდან? არის თუ არა გარკვეული, რა მოხდება შემდეგში?

მშობლებთან ურთიერთობის მაგალითი[13]

გმადლობ, ღმერთო, სარა რომ გამომიგზავნე!

სარას უყვარს თავისი სამუშაო და სჯერა, რომ შეუძლია ბავშვების ცხოვრება უკეთესი გახადოს. სარა დიდი პროფესიონალიზმითა და პასუხისმგებლობით უძღვება ბავშვთა ზრუნვის პროგრამას და ამაყობს ამით.

13 წიგნიდან: **ბავშვის პოზიტიური გაძღოლა, დარლა ფერის მილერი**, 2004

რობერტი სამი წლის იყო. სარა მასზე რამდენიმე თვე ზრუნავდა და მისი ქცევით ძალიან შეწუხებული იყო. რობერტი მუდამ კონფლიქტში იყო სხვა ბავშვებთან, არ უსმენდა სარას და არ ასრულებდა მის არც ერთ მითითებას. სარა დაინტერესდა, რობერტის ასეთი ქცევა რაიმე პრობლემით ხომ არ იყო გამოწვეული. ყურადღებით აკვირდებოდა და ბავშვის საქციელის შესახებ ჩანაწერებს აწარმოებდა.

სარამ ივარაუდა, რომ რობერტს კარგად არ ესმოდა. მან შენიშნა, რომ ყოველ დილით, როცა ბავშვები გაიგონებდნენ ნაგვის მანქანის ხმას და ფანჯარასთან მიცვივდებოდნენ ხოლმე, რობერტი ან არ რეაგირებდა, ან ყველაზე ბოლოს მიირბენდა ფანჯარასთან. ერთ დღეს სარა ჩუმად დადგა რობერტის უკან და ხმადაბლა უთხრა: „რობერტ, ლანჩის დროა." სხვა ბავშვებს სწრაფი რეაქცია ჰქონდათ, რობერტს კი თავიც არ აუღია თავსატეხიდან.

სარამ რამდენჯერმე აცნობა რობერტის მშობლებს ბავშვის პრობლემის შესახებ. ერთხელ ჰკითხა: „მე არა ვარ ამის ექსპერტი, მაგრამ მაინტერესებს, აქვს თუ არა რობერტს სმენითი პრობლემები. ოდესმე შეუმოწმებია თუ არა ექიმს მისი სმენა?" რობერტის მამამ უპასუხა: „ეს სასაცილოა, მას ესმის, რაც უნდა, რომ გაიგონოს, მაგრამ უფრო ხშირად იგნორირებას არჩევს"; დედამ კი თქვა: „მის ექიმს არასდროს შეუნიშნავს ეს პრობლემა. ჩემი აზრით, ყველაფერი კარგადაა."

სარამ გააგრძელა რობერტთან მუშაობა, მაგრამ არ ასვენებდა ფიქრი, რომ მართალი არ იყო რობერტთან, რომელიც სხვა მხრივ ძალიან გონებაგახსნილი ბავშვი იყო. მან შეამჩნია, რომ ბავშვს გაუფუჭდა ურთიერთობა მშობლებთან და ვეღარც უფროსებთან და ვეღარც ბავშვებთან ურთიერთობას ვეღარ აწყობდა. ბოლოს გადაწყვიტა, შეხვედროდა და ცალკე დალაპარაკებოდა რობერტის მშობლებს.

სარამ კეთილმოსურნე ტონით და თავაზიანად უთხრა მათ: „ვიცი, რომ ყველაფერს აკეთებთ რობერტისთვის, მაგრამ მე ისე უნდა მოვიქცე, რომ მართალი ვიყო რობერტთან და სხვა ბავშვებთანაც. ძალიან შემიყვარდა რობერტი. ის შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ბავშვია, მაგრამ უფრო ხშირად მის ქცევას ვერ ვაკონტროლებ და არ ვიცი, რა მოვუხერხო. იმაზე ვნერვიულობ, რომ შეიძლება არ ესმის და მაინტერესებს, იქნებ ეს არის მისი პრობლემა. ვფიქრობ, რომ უნდა შევამოწმოთ, თუნდაც იმისთვის, რომ სმენის პრობლემა გამოვრიცხოთ."

რობერტის მამამ დაუფიქრებლად წამოიძახა: „კარგი, ჩვენ ვიპოვით სხვა ვინმეს, ვინც მასზე იზრუნებს, იმიტომ, რომ არ ვაპირებთ იმ პრობლემის ძიებას, რაც რეალურად არ არსებობს." სარამ უპასუხა: „გასაგებია, თქვენ უფლება გაქვთ, გააკეთოთ ის, რასაც თვლით, რომ საუკეთესოა თქვენი შვილისთვის. მეც ასე მოვიქცეოდი. მინდა, რომ კარგად გამიგოთ, პრობლემები მაქვს რობერტთან და დამნაშავედ ვიგრძნობ თავს, თუ არ გავაკეთებ იმას, რასაც საჭიროდ ვთვლი მისთვისაც და სხვა ბავშვებისთვისაც. პატივს ვცემ თქვენს გადაწყვეტილებას, ყველაფერს გავაკეთებ, რომ დაგეხმაროთ რობერტისთვის სხვა ბავშვთა ზრუნვის ცენტრის მოძებნაში. თითოეული ჩვენგანისთვის მნიშვნელოვანია, რომ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ თავი კარგად ვიგრძნოთ."

რობერტის დედას არ სურდა რობერტის გადაყვანა ახალ ბავშვთა ზრუნვის ცენტრში. მას მოსწონდა სარა, მისი ურთიერთობა ბავშვებთან. რობერტის დედას რამდენჯერმე ჰქონდა ხანგრძლივი საუბარი როგორც ბავშვის ექიმთან, ასევე თავის ქმართან და საბოლოოდ დაარწმუნა ქმარი, რომ სპეციალურ კლინიკაში რობერტის სმენა შეემოწმებინათ.

რამდენიმე კვირის შემდეგ რობერტის მამა მივიდა სარასთან და უთხრა: „დარწმუნებული ვიყავი, რომ რობერტს სმენის პრობლემა არ ჰქონდა და როცა თქვენ სმენის შემოწმებას ითხოვდით, ძალიან გაგანაწყენეთ. ვერ ვიჯერებ, ექიმმა მითხრა, რომ მას სამოცდათხუთმეტი პროცენტით აქვს სმენა დაქვეითებული ერთ ყურში და მეორეშიც სუსტად ესმის. მე ამას ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი."

სარამ უპასუხა: „მე შეიძლება ერთნაირი ალბათობით ვყოფილიყავი მართალიც და მტყუანიც, მე ხომ არა ვარ სმენის ექსპერტი, მაგრამ მე უფრო მეტი ვიცი. მე ვიცი, რომ როცა ბავშვს ასეთი რთული პერიოდი უდგება, ამას აქვს თავისი მიზეზები. დიდი მადლობა, რომ ასე გულისხმიერად მოექეცით ჩემს კითხვებსა და სადარდებელს. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ, ყველა ერთად,

გაცილებით ეფექტურად შევძლებთ დავეხმაროთ რობერტს მიზნების მიღწევაში."

რობერტის მამა მიბრუნდა, გასვლამდე რობერტს თავზე ხელი გადაუსვა და წყნარად წარმოთქვა: „გმადლობ, ღმერთო, სარა რომ გამომიგზავნე!"

ბავშვის განვითარების ასაკობრივი თავისებურებები

ადამიანის თავის ტვინი დაბადების პირველ წლებში საოცარი სისწრაფით ვითარდება. დაბადებისას ჩვილის ტვინი მოზრდილი ადამიანის ტვინის 25%-ის მოცულობისაა, თუმცა სამი წლის ასაკისათვის ბავშვის ტვინი მოზრდილი ადამიანის ტვინის 90%-ის მოცულობას აღწევს[14]. ჩვილობისა და ადრეული ბავშვობის ასაკში ბავშვის თავის ტვინის განვითარებაზე უზარმაზარ გავლენას ახდენს გარე სამყაროდან მიღებული გამოცდილება. ბავშვის ცხოვრების პირველი წლები ყველაზე ნაყოფიერ შესაძლებლობას იძლევა ბავშვის ჯანმრთელი, ჯანსაღი და ჰარმონიული განვითარებისათვის.

ადამიანის განვითარებას ხშირად ყოფენ სამ ფართო სფეროდ: ფიზიკურ, კოგნიტურ (შემეცნებით) და ემოციურ-სოციალურ განვითარებად.

- **ფიზიკური განვითარების სფერო მოიცავს**: სხეულის ზომის, პროპორციების, გარეგნობის, სხეულის სისტემების მუშაობის, პერცეპტული (აღქმითი) და მოტორული შესაძლებლობებისა და ფიზიკური ჯანმრთელობის ცვლილებებს.
- **კოგნიტური განვითარების სფეროში შედის**: ინტელექტუალური შესაძლებლობების ცვლილებები, ყურადღება, მეხსიერება, ზოგადი და ყოველდღიური ცოდნა, პრობლემების გადაჭრის, წარმოსახვის, შემოქმედებისა და ასევე კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების უნარები.
- **ემოციური და სოციალური განვითარებაა** ცვლილებები ემოციურ ურთიერთობებში, თვითშემეცნებაში, სხვა ადამიანთა შესახებ ცოდნაში, სოციალურ- ემოციური განვითარება ასევე მოიცავს ინტერპერსონალურ ურთიერთობებს, მორალურ მსჯელობასა და ქცევას.

ადრეული განვითარების სპეციალისტები **ფიზიკური** განვითარების სფეროდან ძირითადად მსხვილ და ნატიფ მოტორიკას გამოყოფენ (მსხვილი მოტორიკა - როგორ ვითარდება ბავშვის მსხვილი კუნთები და კოორდინაციის უნარი, შეუძლია თუ არა მას დროულად დაჯდომა, სიარული, სირბილი, ხტუნვა და ა.შ; ნატიფი მოტორიკა - ხელის თითების წვრილი კუნთების კოორდინირებული გამოყენება); **კოგნიტური** (შემეცნების სფეროდან) ცალკე გამოარჩევენ **ენისა და მეტყველების** განვითარებას; ბავშვის განვითარების შეფასება და ინტერვენციის დაგეგმვა უფრო ფუნქციური რომ იყოს, ასევე ცალკე გამოყოფენ **თვით-მოვლის** სფეროსა და უნარებსაც.

შესაბამისად, განვითარების შეფასების ინსტრუმენტები, რომელსაც ადრეული ჩარევისა და განათლების სპეციალისტები გამოიყენებენ, უფრო ხშირად, შემდეგ სფეროებადაა დაყოფილი:

- **კოგნიტური (შემეცნებითი)**
- **მოტორული (მსხვილი და ნატიფი)**
- **სოციალურ-ემოციური**
- **თვით-მოვლა**
- **ენობრივი განვითარება**

ყველა სფეროში განვითარებას თავისი ბუნებრივი კანონზომიერება აქვს, მაგ:

იმისათვის, რომ დამოუკიდებლად დაჯდომა შეძლოს, ჩვილმა ჯერ მუცელზე წოლისას თავის დაჭერა, იდაყვებზე, შემდეგ კი ხელებზე დაყრდნობა უნდა შეძლოს; დამოუკიდებლად ჯდომის უნარის გარეშე არ განვითარდება დამოუკიდებლად სიარულის უნარი და ა.შ.

პირველი სიტყვების წარმოთქმამდე, ჩვილმა ღუღუნისა და ტიტინის პერიოდი უნდა გაიაროს.

---

14 როგორ უწყობს ხელს ადრეული ინტერაქცია თავის ტვინის ნეირონების განვითარებას ჩვილებსა და ბავშვებში: https://www.zerotothree.org/ რა სჭირდებათ ბავშვებს ჩვილობასა და ადრეულ ბავშვობაში ჯანსაღი განვითარებისათვის: http://www2.first5kids.org/parenting/tips_10

წერის უნარების განვითარებისთვის, მნიშვნელოვანია, ბავშვი ჯღაბნის, ხატვის, ვერტიკალური და ჰორიზონტალური ხაზების გასმის და ა.შ. უნარებს დაეუფლოს.

ბავშვის განვითარების თავისებურებების ცოდნა ნებისმიერი პრაქტიკოსისთვის აუცილებელია. განვითარების ცოდნა დაკვირვების, შეფასების და დაგეგმვის საფუძველს წარმოადგენს. ადრეული განვითარების პრაქტიკოსებმა უნდა იცოდნენ, რა არის დამახასიათებელი ტიპური განვითარებისთვის, რათა მათ შეძლონ პრობლემის ამოცნობა, იმ შემთხვევაში, როდესაც ბავშვი ტიპურ განვითარებას ვერ მიჰყვება. ყველა ბავშვი განსხვავებულია და შესაბამისად, მათი განვითარებაც განსხვავებულად მიმდინარეობს. თუმცა, არსებობს ძირითადი ხაზი, რომელსაც ყველა ბავშვი გადის.

პროგრამა „Stokespeaks out“ – ის 2009 წლის გამოკითხვის შედეგად, დადგინდა, რომ ჯერ კიდევ მრავალი „მითი“ არსებობს ბავშვის განვითარებასთან დაკავშირებით. მაგალითად, ბევრ მშობელს მიაჩნდა, რომ ბავშვის ხშირად აყვანა ხელში, მას „გააფუჭებს“. ბავშვს შეუძლებელია მივცეთ „ზედმეტი“ სიყვარული, ზრუნვა ან ყურადღება. ბავშვები, რომლებთანაც რეგულარულად ამყარებენ კონტაქტს მშობლები, მეურვეები თუ სხვა მათზე მზრუნავი პირები, უფრო თავდაჯერებულები და დამოუკიდებლები ხდებიან მოზრდილობისას.

გამოკითხვიდან დადგინდა, რომ ბევრმა მშობელმა არ იცოდა, როდის უნდა ელოდეს ბავშვისგან პირველი სიტყვების წარმოთქმას, რაც ჩვეულებრივ 12 -14 თვის ასაკში ხდება. მხოლოდ მშობლების მცირე ნაწილს ჰქონდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ფონური ხმების სიხშირემ (ფონად ჩართული ტელევიზორი, მუდმივი ხმაური იმ სივრცეში, სადაც ბავშვი იმყოფება), შეესაძლოა შეაფერხოს ბავშვის მოსმენის უნარი. არა მხოლოდ მშობლები, არამედ პრაქტიკოსებიც კი ხშირად გრძნობენ თავს არაკომპეტენტურად, ზემოთ ჩამოთვლილ საკითხებთან დაკავშირებით და მიაჩნიათ, რომ სჭირდებათ ცოდნის გაღრმავება ბავშვის განვითარებასთან დაკავშირებით.

დაბადებამდე, მუცლადყოფნისას, ბავშვი ძალიან სწრაფად, სულ რაღაც რამდენიმე უჯრედიდან ჩვეულებრივი ჩვილი ბავშვის დონემდე ვითარდება (დაახლოებით 40 კვირის განმავლობაში). 24 კვირის ბავშვის ყური საბოლოოდ ჩამოყალიბებულია და ამ პერიოდიდან ის უკვე იწყებს ხმებზე რეაგირებას. მუცლადმყოფი ბავშვის დაკვირვებისას, აღმოჩნდა, რომ ის მუსიკის გაგონებაზე რეაგირებდა (დაახლოებით 27-ე კვირა). 32 კვირის ბავშვის შეგრძნებები კი უკვე სრულად ფორმულირებულია და 36 კვირისას შეუძლია ხმების, ტონალობისა და რითმის ამოცნობა. ის, რომ ბავშვს მუცლადყოფნისასაც ესმოდა ხმები, ნათელი ხდება მისი დაბადების შემდეგ, როცა ჩვილი გარკვეულწილად რეაგირებს ნაცნობ ხმებზე, მაგ. ტელევიზორი, ნაცნობი მელოდია და სხვა ხმები, რასთანაც მშობელს ორსულობის პერიოდში ჰქონდა შეხება.

დაბადების შემდეგ: დაბადებისას ბავშვებს შეუძლიათ ენის მარტივი მოძრაობა, ნაცნობი ხმების ამოცნობა და ასევე დედის სუნის ცნობა. პირველი ორი წლის განმავლობაში განსაკუთრებულ ყურადღებას ტვინის უჯრედების ძალიან სწრაფი ზრდა იქცევს. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ადრეული განვითარების მნიშვნელობას.

ბავშვის ადრეული გამოცდილება წარმოდგენს ერთგვარ საფუძველს მისი სამომავლო განვითარებისა და სწავლისათვის. დაბადებიდან 12 თვემდე ბავშვები ძალიან სწრაფად ვითარდებიან. ისინი სწავლობენ საკუთარი კიდურების კონტროლს და მათ მოძრაობას. კომუნიკაციაც სწრაფად ვითარდება, იწყება ტირილით და გრძელდება გარკვეული სიტყვების გაგებით, მათი წარმოთქმით, ჟესტებისა და მიმიკის გააზრებით.

პირველი 4 თვის განმავლობაში ბავშვების რეფლექსები თვალსაჩინოა. რეფლექსები ემსახურება თვითგადარჩენას, მაგრამ გარდა ამისა, მათ „გავარჯიშების“ ფუნქციაც აქვთ. ადრეულ რეფლექსებში შედის: მოძრავ ობიექტებზე დაკვირვება და სახის ფორმით დაინტერესება. ეს რეფლექსები ბავშვებს უფროს ადამიანებთან სოციალური კავშირის დამყარებაში ეხმარება.

4-დან 11 თვემდე პერიოდის განმავლობაში, ბავშვები სულ უფრო და უფრო მოძრავები ხდებიან და უკეთ აკონტროლებენ თავიან მოძრაობებს. ისინი იწყებენ გარემოთი მანიპულირებას, სწავლობენ ყურადღების მიქცევას. ამ ასაკის ბავშვებს უვითარდებათ რუტინის შეგრძნება და უფრო ეფექტურად შეუძლიათ თავიანთი საჭიროებების გამოხატვა. მშობელმა

(აღმზრდელმა) სათანადო რეაგირება უნდა მოახდინოს ამ პერიოდში, უნდა შეძლოს ბავშვის ქცევაზე დაკვირვება. როდის არის საჭირო განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა: ბავშვი დიდად არ ინტერესდება ადამიანებით; ბავშვი არ „ტიტინებს“ და არ გამოხატავს ინტერესს ხმებისა თუ გარემოს მიმართ.

დაახლოებით 12 თვიდან 2 წლამდე პერიოდში, ბავშვები ბევრად უფრო მოქნილები ხდებიან და ადვილად ამყარებენ კომუნიკაციას გარემოსთან. ისინი უკვე გამოდიან „რეფლექსების ფაზიდან“ და უკეთ აკონტროლებენ საკუთარ მოძრაობებს. იწყებენ სიტყვების მნიშვნელობის გაგებას და მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენებას. ამ პერიოდის დასასრულს, ისინი მოკლე, მარტივ ფრაზებს ამბობენ. მნიშვნელოვანია უფროსის (მთავარი მზრუნველის) როლი ამ პერიოდში, რომ მან სათანადო რეაგირება მოახდინოს ბავშვის კომუნიკაციის მცდელობებზე, რადგან ამაზეა დამოკიდებული ბავშვის საკომუნიკაციო უნარის განვითარების ტემპი.

30 თვიდან 5 წლამდე პერიოდისთვის, ბავშვები აფართოვებენ თავიანთ სამეტყველო უნარებს. სიტყვებს, რომლებიც უკვე იციან, იყენებენ პასუხის გასაცემად, შეკითხვისა და ურთიერთობისთვის თავიანთ თანატოლებთან ან უფროსებთან. ბავშვები სწავლობენ ენით მანიპულირებას. ისინი იწყებენ იმის გაგებას, რომ კომუნიკაციის საშუალებით არა მხოლოდ საკუთარი საჭიროებების გამოხატვაა შესაძლებელი, არამედ ემოციების, გრძნობების გადმოცემაც. რამდენად სწრაფად ხდება საკომუნიკაციო უნარის განვითარება, დამოკიდებულია იმ გარემოსა და ადამიანებზე, სადაც ბავშვი იზრდება. დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ხშირად ეძლევათ საშუალება (გამოწვევა), შეისწავლონ ენა თამაშისა და ინტერაქციის საშუალებით.

თუ ჩვეულებრივ, ერთი წლის ასაკში ბავშვები სულ რამდენიმე (2-3) სიტყვას ამბობენ, 2 წლის ასაკისათვის მათი მარაგი დაახლოებით 100 სიტყვამდე, ხოლო ხუთი წლის ასაკისათვის 5000 სიტყვის გამოთქმამდე და 10000 სიტყვის გაგებამდე იზრდება. თუ 2-3 წლის ასაკში ბავშვებისათვის უფრო 2 სიტყვიანი წინადადებებით მეტყველებაა დამახასიათებელი, 4 წლიდან უკვე გრძელი და რთული წინადადებების თქმას ეუფლებიან.

ბავშვი იბადება **კომუნიკაციის და ენობრივი განვითარების შინაგანი მექანიზმით**. ბავშვის ცხოვრების პირველ თვეებში, მასა და უფროსს შორის ღიმილის გაცვლით, ბავშვის ღუღუნზე თუ ტირილზე უფროსის რეაგირებით, მათ შორის **ინტერაქცია** მყარდება. ეს მომავალი **გამიზნული კომუნიკაციური უნარების** განვითარების უმნიშვნელოვანესი საფუძველია.

უკვე 6-7 თვის ასაკიდან, ბავშვები ნაცნობებისა და უცნობების გარჩევას სწავლობენ. 6 თვიდან 2 წლის ასაკამდე მიჯაჭვულობა ყალიბდება და ვითარდება. არსებობს ასეთი ცნობილი ექსპერიმენტი. 14 თვის ბავშვი ოთახში ხოხავს, ხან მაგიდასთან მივა, წამოდგება, სათამაშოს იღებს, აკაკუნებს, მერე მის ყურადღებას სხვა ნივთი მიიქცევს, ამ ნივთით იქვე ოთახში მჯდომ დედასთან მიდის და მას უჩვენებს. შემდეგ იქვე ჩაცუცქდება და თამაშს განაგრძობს, ისევ წამოდგება და ოთახის სხვა კუთხეში მიხოხავს. რას შვება ამ დროს ბავშვი? ის თამაშობს, სამყაროს იმეცნებს და ვითარდება. ამ პროცესში ჩართულია მისი ყველა უნარი - მოტორიკა (ხოხვა, წამოდგომა, დაჯდომა, საგნების აღება, ხელიდან ხელში გადატანა), შემეცნება (საგნებით დაინტერესება, საგნებით მანიპულირება), კომუნიკაცია (უფროსისთვის საგნის ჩვენება, ვოკალიზაცია და სხვა). ამ პროცესის დროს, დედა, რომელიც ბავშვთან უშუალოდ არ თამაშობდა, დგება და ოთახიდან გადის. როგორც კი ბავშვი ამჩნევს, რომ დედა ოთახში აღარ არის, ის მაშინვე წყვეტს თამაშს (სამყაროს შემეცნების პროცესს) და დედის ძებნას იწყებს, მიდის კართან და ტირის. როგორც კი დედა ბრუნდება, ბავშვი მშვიდდება და თამაშს განაგრძობს. ეს ექსპერიმენტი მიჯაჭვულობის ცნების საილუსტრაციოდ ჩატარდა. იმის საჩვენებლად, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ახლობელი ადამიანისგან უსაფრთხოების, „ზურგის გამაგრების“ განცდა, რომ ისწავლო, შექმნა და განვითარდე. მიჯაჭვულობის განცდა ადამიანებს ამ ასაკში უყალიბდებათ, მაგრამ ეს განცდა მათ მთელი ცხოვრების მანძილზე გაყვებათ და მთელი ცხოვრება სჭირდებათ, რომ თავი მშვიდად იგრძნონ და ადამიანური ურთიერთობების ჩამოყალიბების, შემეცნების, ექსპერიმენტირების, გართობის, სწავლის, ახლის შექმნის და გაზიარების სურვილი და უნარი ჰქონდეთ. ბავშვებს, რომლებსაც სხვადასხვა მიზეზების გამო, უჭირთ ამ დამოკიდებულების განვითარება ან ამის საშუალება არ ეძლევათ, სირთულეები აქვთ სხვებ-

თან ინტერაქციასა და სწავლაში. ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ ყურადღებიანი უფროსი ამ კავშირებს გულისყურით ეკიდებოდეს და ბავშვს განვითარებაში ეხმარებოდეს. დაახლოებით 9-10 თვის ასაკიდან, ბავშვს უკვე შეუძლია გამიზნულ კომუნიკაციაში უფროსთან შესვლა (რაიმეს მოთხოვნა კონკრეტულად), თუმცა, მის კომუნიკაციას ჯერ კიდევ არა აქვს ლინგვისტური ფორმები. დაახლოებით ამ ასაკიდან ეყრება საფუძველი კიდევ ერთ უმნიშვნელოვანეს უნარს, რასაც გაზიარებული ყურადღება ეწოდება. ეს არის ბავშვის უნარი, გადაანაწილოს ყურადღება საგანსა და ადამიანზე. რაიმე (ნებისმიერი) საგნით მანიპულირების დროს, შეძლოს ყურადღება მიაქციოს იმასაც, რას ამბობს, ან რას აკეთებს სხვა ამ საგანთან მიმართებაში და ჰქონდეს ამაზე რეაქცია. მაგალითად, 1 წლის ბავშვი ზის აბაზანაში და თამაშობს აბაზანის ქაფით. შემდეგ ქაფიან ხელებს მაღლა სწევს და დედას უჩვენებს - ეს ნიშნავს, რომ მას ყურადღების დედაზე გადატანაც შეუძლია ისე, რომ ქაფი არ დაივიწყოს და პირიქით, ამ თემაზე ჰქონდეს კომუნიკაცია დედასთან. გაზიარებული ყურადღება კომუნიკაციის განვითარების ფუნდამენტური საფუძველია. ბაგა-ბაღის პრაქტიკაში შესაძლებელია შეგვხვდეს 2 წლის, 3 წლის ან უფროსი ბავშვი, რომელსაც ყურადღების გაზიარება უჭირს. ამ შემთხვევაში, უპირველესი მიზანი სწორედ კომუნიკაციური ჩართულობის, გაზიარებული ყურადღების განვითარება უნდა იყოს და არა, მაგალითად, რამდენიმე სიტყვის თქმის, კონკრეტული თამაშის წესის, ან ჯერის დაცვის სწავლება. გაზიარებული ყურადღების უნარის განვითარება შესაძლებელია იმ აქტივობაზე დაკვირვებით, რაც ბავშვს ყველაზე მეტად მოსწონს, მაგალითად: სათამაშოს კაკუნი, მზის ათინათების დაკვირვება, ბორბლის ტრიალი და ა.შ; მისი ინტერესის მიდევნებით, ამ აქტივობებში „შეწყობით“ და გაზიარებით. როგორც კი ბავშვის „ინტერეს აქტივობაზე“ აწყობას და მისი ყურადღების მიქცევას შეძლებთ ისე, რომ ბავშვი საგანს ყურადღებას არ მოაკლებს და ამ საგნის შესახებ ინფორმაციას ან ემოციას თქვენც გაგიზიარებთ, ეს ნიშნავს, რომ გაზიარებული ყურადღება და კომუნიკაციური კავშირი შედგა და თქვენ უკვე სხვა კომუნიკაციური და ენობრივი უნარების დაშენებას შეძლებთ. ამ პროცესისათვის ძალიან მნიშვნელოვანია ემოციური შეწყობაც. დააკვირდით, თუ ასეთ დროს ბავშვის ყურადღებას უფრო თეატრალური მეტყველების მანერით ან სიმღერის გამოყენებით მიიქცევთ, გამოიყენეთ ეს ხერხი, მაგრამ იცოდეთ, რომ სხვა ბავშვს, შესაძლოა უფრო მშვიდი, დელიკატური და ხმადაბლა მოსაუბრე პარტნიორი ერჩიოს. ემოციურ შეწყობას და ყურადღების გაზიარებას, ორმხრივი გაცვლა-გამოცვლაც უნდა მოჰყვეს და ბავშვმა თანდათან კომუნიკაციის ინიციატივაც უნდა გამოიჩინოს. მაგალითად, ბავშვი ზის უფროსთან ერთად მაგიდასთან და სათამაშო ავტობუსში სათამაშო კაცუნებს სვამს ისე, რომ დროდადრო უფროსის მიწოდებულ სათამაშოსაც იყენებს, მაგრამ ამ დროს უფროსს საერთოდ არ უყურებს, მას არ იმჩნევს და მისი არსებობის მიმართ არანაირ მიმიკურ ან ემოციურ კავშირს არ გამოხატავს. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვიც და უფროსიც ერთ მაგიდასთან სხედან და ორივე ერთი და იგივე სათამაშო კაცუნებით მანიპულირებენ, წარმატებული კომუნიკაციის, გაზიარებული ყურადღების ნიმუშად ვერ ჩაითვლება. თუ ბავშვი შეხედავს უფროსს, როდესაც ის მორიგ კაცუნას მიაწოდებს, უფროსის მიმართ ყურადღებას ღიმილით, რაიმე მიმიკით გამოხატავს, ეს უკვე გაზიარებული ყურადღებაა. შემდეგ, თუ უფროსის შეკითხვაზე ან მინიშნებაზე, ჭირდება თუ არა კიდევ კაცუნები, თავის დაქნევით ან – „კიდე“- ს თქმით რეაგირებს, უფროსი კი – მორიგ კაცუნას მიაწოდებს, უკვე ორმხრივი გაცვლა-გამოცვლა იქნება. ხოლო, თუ შევსებულ ავტობუსს უფროსს აჩვენებს და თხოვს, რომ ერთად გადაინაცვლონ იატაკზე და ამ ავტობუსით ითამაშონ,ეს უკვე ყურადღების გაზიარებაც, გაცვლა-გამოცვლაც და კომუნიკაციის ინიციატივაც ერთობლივადაა, რაც შეიძლება ერთი სახელით-ჩართულობით (engagement) აღვწეროთ.

ემოციური განვითარება: ჩვილობისა და ადრეული ბავშვობის ასაკში, 2-დან 6 წლამდე, გასაოცარი სისწრაფით ვითარდება აზროვნება და მეტყველების უნარები. ბავშვი ეტაპობრივად სწავლობს დამოუკიდებლობას, ვითარდება წარმოსახვისა და შემოქმედების უნარები, საფუძველი ეყრება სხვებთან ეფექტური ურთიერთობების და საკუთარი თავის განსჯის უნარს, ასევე ემოციურ ინტელექტს – ადამიანის უნარს – გაიგოს და გაიაზროს ემოცია, ესმოდეს სხვების გრძნობები და შეძლოს საკუთარი ემოციების რეგულირება სხვებთან მიმართებაში. ემოციური კომპეტენცია ებმის ისეთ ცნებებს, როგორიცაა თვითშემეცნება, ემპათია, იმპულსების კონტ-

როლი, სხვისი მოსმენა, გადაწყვეტილების მიღება და ბრაზის მართვა. რაც უფრო მაღალია ზემოთ ჩამოთვლილი კომპეტენციები ადამიანებში, მით უფრო მაღალგანვითარებული და კეთილდღეობაზე ორიენტირებულია საზოგადოება. თავისთავად ცხადია, რომ ასაკი, როდესაც ამდენ მნიშვნელოვან უნარს ეყრება საფუძველი, პრინციპული მნიშვნელობის მქონე და განმსაზღვრელია ადამიანის მომავალი ცხოვრებისათვის. გენეტიკურ განმაპირობებლებთან ერთად, სწორედ ამ ასაკში ჩადებულ საფუძვლებზეა დამოკიდებული, როგორი თვითრწმენა და თვითშეფასება ექნება ბავშვს, როგორ შეძლებს სოციალურ გარემოში ორიენტაციას, რა დამოკიდებულება და ღირებულებები ჩამოუყალიბდება მის გარშემო მყოფი ადამიანებისა და მოვლენების მიმართ, რამდენად შეძლებს იყოს თვით-რეალიზებული და ბედნიერი.

შესაბამისად, უაღრესად მნიშვნელოვანია, რაც შეიძლება ადრეული ასაკიდან შევუქმნათ ბავშვებს მასტიმულირებელი და მხარდამჭერი გარემო. ადრეული ინტერაქცია გადამწყვეტ გავლენას ახდენს თავის ტვინის ნეირონების განვითარებასა და ჯანსაღ ზრდაზე. მნიშვნელოვანია, რომ ყველა ბავშვს ეძლეოდეს გარე სამყაროსთან მდიდარი და უსაფრთხო ურთიერთობის შესაძლებლობა; შესაძლებლობა, იზრდებოდეს სიყვარულით აღსავსე, უსაფრთხო და სტაბილურ გარემოში, სადაც მისი პიროვნული ღირსებისა და თვითრწმენის განვითარებას პატივისცემით ეპყრობიან. სადაც მის გვერდით არიან ადამიანები, ვისაც ბავშვი ენდობა და ვინც ბავშვის საჭიროებებსა და ემოციებს ადეკვატურად პასუხობს.

ისეთი ემოციები, როგორიცაა ბედნიერების შეგრძნება, მოწყენილობა, სიბრაზე და შიში ადრეულ ბავშვობაში წამოიშობა იმ ემოციური გარემოსა და გარემო ფაქტორებისა და კონტექსტის შესაბამისად, რომელშიც ბავშვი იზრდება. ექსპერტები თანხმდებიან, რომ ადრეულ ასაკში ბავშვების თავდაპირველი საჭიროება ემოციური კავშირების დამყარებაა. ამ ასაკში უსაფრთხო და ემოციურად პოზიტიური კავშირების დამყარება გადამწყვეტი მნიშვნელობისაა ბავშვის განვითარებისათვის. ემოციური განვითარების საფუძველმდებარე ასპექტი თვითრეგულირების უნარების წარმოშობა და განვითარებაა. როცა მზრუნველი უფროსი ბავშვის ემოციურ სტრესს თანმიმდევრულად და ადეკვატურად პასუხობს, დამშვიდებაში და ემოციური რეგულირების აღდგენაში ეხმარება, ამგვარი ინტერაქციები თვითრეგულირების სწავლის ფუნდამენტი ხდება.

ემოციური რეგულირებისა და ემოციური კომპეტენციების სწავლა შესაძლებელია გარემოში, სადაც:

- ბავშვი თავს დაცულად და უსაფრთხოდ გრძნობს
- მრავლადაა სენსორული სტიმულირების შესაძლებლობა
- ბავშვების დასწავლის სტილის განსხვავებულობას აღიარებენ და ითვალისწინებენ
- ბავშვს არჩევანის გაკეთებისა და გადაწყვეტილების მიღების საშუალებას აძლევენ და დამოუკიდებლობას ახალისებენ
- პოზიტიური ურთიერთობები წახალისებულია
- გრძნობების, ემოციების გამოხატვისას, მოლოდინია, რომ მას გაუგებენ და ადეკვატური რეაქცია ექნებათ
- არ არის სტრესი, ნეგატიური უკუკავშირი
- მიღწევებსა და წარმატებებს ხედავენ და აფასებენ
- ღირსების გრძნობა ღირებულია

ადრეული განათლება,თანამედროვე გაგებით, **ჰოლისტური და ბავშვზე ორიენტირებულია**. ჰოლისტური მიდგომა ფილოსოფიური ღირებულებაა, რაც გულისხმობს განვითარების მთლიანობით ბუნებას და შესაბამისი პრაქტიკის უზრუნველყოფას, ანუ ბავშვის ფიზიკური, კოგნიტური, სოციალური და ემოციური განვითარების ინტეგრირებას. Whole ნიშნავს მთლიანს, ხოლო ჰოლისტური- მთლიანობითს. განვითარების შესაბამისი პრაქტიკის მქონე ყველა ეს პროგრამა ბავშვს ჰოლისტურად ხედავს და საგანმანათლებლო საქმიანობის საფუძვლად ასეთ მიდგომას მიიჩნევს.

ამ იდეის თანახმად, ბავშვის კეთილდღეობისთვის სოციალური, ემოციური და კოგნიტური კომპეტენციები თანაბრად მნიშვნელოვანია და განვითარების ყველა სფერო ურთიერთდამოკიდებული და დაკავშირებულია. შესაბამისად, განსაკუთრებით ადრეულ ასაკში, თითოეული სფეროს განვითარების სტიმულირებას თანაბარი ყურადღება უნდა ეთმობოდეს.

ბავშვის განვითარების თავისებურებების ცოდნასთან ერთად, მნიშვნელოვანია, სპეციალისტს კარგად ესმოდეს ბავშვის განვითარებაზე მოქმედი ფაქტორებისა და განვითარების მასტიმულირებელი გარემოსა და აქტივობების მნიშვნელობა.

ადრეული ჩარევისა და განვითარების პროგრამები მსგავს თეორიულ საფუძველზე დგანან და აღიარებენ:

რომ ბავშვი ცოდნას ქმედებისა და კვლევის გზით აგროვებს და რომ განვითარების სხვადასხვა საფეხურზე, მისი აზროვნება განსხვავებულია (**კოგნიტური თეორია, პიაჟე**). პიაჟეს თეორია გვეხმარება, გავიაზროთ სენსომოტორული პერიოდის მნიშვნელობა,როდესაც 0-2 წლამდე ჩვილები თვალებით, ყურებით, ხელებითა და პირით "ფიქრობენ" და დავეხმაროთ მშობლებს იმის გააზრებაში, თუ რამდენად მრავალფეროვან ცოდნას დააგროვებენ მათი პატარები, თუ მათ სენსომოტორული გამოცდილების შეძენის მრავალფეროვნებას არ შევუზღუდავთ. ეს თეორია გვასწავლის, რომ ბავშვები სხვადასხვა ასაკში მიღებულ გამოცდილებას მათი კოგნიტური განვითარების საფეხურიდან გამომდინარე იაზრებენ (ასიმილაცია) და რომ ბავშვი ახალ სტიმულებსა და მოვლენებს აზროვნების არსებული ხერხის ცვლილებით პასუხობს (აკომოდაცია).

ბავშვის განვითარებისათვის მასტიმულირებელ გარემოს, მისი განვითარების უახლოეს ზონას და მზრუნველ მასწავლებელს (ფასილიტატორს) უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს (**სოციალური თეორია, ვიგოტსკი**). ბავშვი სწავლობს მოქმედებაში, როცა მასზე გამოცდილ ადამიანთან ერთად აქტიურად არის ჩართული რაიმე მნიშვნელოვან საქმიანობაში. ამ დროს ის აქტიურად შედის დიალოგში გარშემო მყოფ ადამიანებთან. დიალოგის საშუალებით ხდება იდეების გაცვლა და ბავშვის განვითარებაც წინ მიიწევს.

დღეს ადრეული ჩარევისა თუ განვითარების ყველა პროგრამა თანხმდება, რომ ბავშვის განვითარების ფაქტორებს, თავად ბავშვის გარდა, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მისი **ოჯახი**, **საგანმანათლებლო გარემო** და **თემი**, (**ეკოლოგიური თეორია**).

დასკვნა:

ადრეულ ასაკში ბავშვს მოძრაობისა და ფიზიკური განვითარების შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს. საშუალება უნდა მივცეთ, სამყარო თამაშისა და „გამოკვლევის" გზით შეიმეცნოს. უნდა ეძლეოდეს საკუთარი ემოციებისა და აზრების გაცემისა და სხვისი ემოციებისა და აზრების მიღების შესაძლებლობა.შესაძლებლობა, ეზიაროს მუსიკასა და ხელოვნებას. სწორედ ამიტომ, ადრეული განვითარებისა და განათლების დარგის სპეციალისტები მშობლებს ურჩევენ, ადრეული და სკოლამდელი განათლების დაწესებულების შერჩევისას, გაითვალისწინონ:

- არის თუ არა ბაღში, ფიზიკური და ემოციური განვითარების თვალსაზრისით, უსაფრთხო და მხარდამჭერი გარემო?
- ღებულობენ თუ არა აღმზრდელები, ბავშვებთან ურთიერთობისას, სიამოვნებას?
- რა თანაფარდობაა აღმზრდელებსა და ბავშვებს შორის?
- ესაუბრებიან თუ არა აღმზრდელები ბავშვებს პატივისცემით და ახალისებენ თუ არა ბავშვებს, გამოთქვან თავიანთი გრძნობები და აზრები?
- სხდებიან თუ არა უფროსები ბავშვებთან სათამაშოდ იატაკზე?
- ხელს უწყობს თუ არა ბაღი მშობლების ჩართულობას?
- გრძნობენ თუ არა ბავშვები თავს ბედნიერად?

თამაშის მნიშვნელობა ბავშვის განვითარებაში

ბავშვი ინტერაქციას თამაშით იწყებს.თამაში აძლევს მას სამყაროს კვლევის და სხვადასხვა ტიპის გამოცდილების მიღების შესაძლებლობას. თამაშს განვითარების თავისი ეტაპები აქვს და სხვადასხვა ასაკში ბავშვები სხვადასხვა ტიპის თამაშებს ანიჭებენ უპირატესობასას, თუმცა, ზოგიერთი ბავშვის შემთხვევაში, თამაშის ტიპი დამოკიდებულია მის განვითარებასა და ხელშემწყობ თუ დამაბრკოლებელ გარემო ფაქტორებზე.

სანამ ბავშვები წარმოსახვით თამაშის უნარს განივითარებენ, ისინი სწავლობენ კვლევას, მიზეზ-შედეგობრიობის გააზრებას. ბავშვები არ ასხვავებენ ერთმანეთისგან თამაშსა და მუშაობას. უფროსებმა უნდა გააცნობიერონ ცოდნის მიღების ის უსაზღვრო შესაძლებლობები, რომელიც ბავშვს მრავალფეროვან სიტუაციებში კვლევისა და თამაშის დროს ეძლევა. თამაში არსებითია ყველა ბავშვის პოტენციის გამოსავლენად.

თამაშის დროს, ბავშვები საკუთარ საჭიროებებში ერკვევიან და შეიგრძნობენ თავანთ სამყაროს. თამაში მოიცავს შეგრძნებების, იდეების, მასალის, ურთიერთობების თუ როლების აღმოჩენას. თამაში, აგრეთვე, ეხმარება ბავშვებს გამოცდილების, იდეების, საგნებისა და გარემოს ერთმანეთთან დაკავშირებაში. უფროსებმა უნდა წაახალისონ თამაში, აკვირდებოდნენ ბავშვებს თამაშის დროს და აკეთებდნენ ჩანაწერებს თამაშის იმ ტიპების შესახებ, რითიც ბავშვები არიან დაკავებული. ასევე, იმის შესახებ, როგორ ამყარებენ იტერაქციას თამაშის დროს.

თამაში არის ქმედება, რომლის მეშვეობითაც ბავშვი სამყაროს გაგებას, მის შემეცნებას სწავლობს. ყველაფერს, რაც მის გარშემო ხდება, თამაშში გადაამუშავებს; თამაშის მეშვეობით გამოცდის, თუ რას ნიშნავს იყო „დიდი“: დედა და მამა, მეხანძრე, ექიმი და ა.შ. თამაშში სწავლობს სხვა ადამიანთან ურთიერთობას, ივითარებს ფანტაზიას.

თამაშის ტიპები სხვადასხვა ასაკში:

0-24 თვე -სენსომოტორული პერიოდი, შეიმეცნებს შეგრძნებებით: პირში ჩადება, ხმების მოსმენა, კონტრასტული საგნების დანახვა
10 თვის - „ჭი-ტა“ (სოციალური თამაში☺)
1-2 წლის - უფროსების მიბაძვა. ფუნქციური თამაშები: ბურთის/მანქანის გაგორება
2 წლიდან - პარალელური თამაში - ერთ სივრცეში თამაშობენ, არ ეკონტაქტებიან ერთმანეთს, შესაძლოა მიბაძონ. შესაძლებელია მინიმალური ვერბალური ინტერაქციაც
2 -3 სიმბოლური თამაშები: მანქანა დაფრინავს, კოვზი მანქანაა, ჭიქა სკამია და ა.შ>
3 წლიდან - (გარდატეხის პერიოდი) აშენებს კოშკებს, ატარებს მანქანებს, აკეთებს პლასტელინით სხვადასხვა ნივთებს, ირგებს როლებს: მძღოლი, სილქნეტის თანამშრომელი, მეხანძრე, პატრული. სურს სხვების ჩართვა, გაზიარება, მაგრამ უჭირს „პირველობის“ დათმობა, პარალელური თამაში
4 წლიდან - სიმბოლური და როლური თამაშები, ირგებენ სხვადასხვა პერსონაჟების როლებს, კოოპერატიული, ერთობლივი თამაში, ჩნდება სხვისი გაგების უნარი: ემპათია
5 წლიდან - ყველა წინა ეტაპის გაერთიანება- თანხმდებიან თამაშის წესებზე

ამ ასაკში თამაში ბავშვის ცხოვრების უმთავრესი ფორმაა, რომლის საშუალებითაც ის სამყაროს შეიმეცნებს. თამაშის დროს, და არა მარტო, ბავშვის ემოციური მხარდაჭერა ძალიან მნიშვნელოვანია. ინგლისელი თეორეტიკოსი სუზან ისააკსის აზრით, უფროსები არასდროს

უნდა იყვნენ სარკასტულები ბავშვების მიმართ, არ უნდა დასცინონ მათ და არ უნდა დაურღვიონ მიცემული პირობა, უფროსების თვალსაზრისით თუნდაც ძალიან უმნიშვნელო. ბავშვების ფანტაზიის უგულვებელყოფა არ შეიძლება და მათ შეკითხვებს ყოველთვის სერიოზულად და პატივისცემით უნდა ვუპასუხოთ. დააკვირდით, ბავშვი თამაშის განვითარების რა ეტაპზეა და თამაშის რა ფორმებს იყენებს. ზოგჯერ რაიმე სირთულის გამო, ასაკით შედარებით უფროსი ბავშვები თამაშის განვითარების უფრო დაბალ ეტაპზე შეიძლება იყვნენ. შეეცადეთ, შეეწყოთ მას ამ ეტაპში და ნელ-ნელა დაეხმარეთ თამაშის ახალი ეტაპების დაუფლებაში. ეს თავისთავად მისი ზოგადი განვითარების ხელშეწყობაც იქნება.

თამაშის ფორმები:

მანიპულაციური/კვლევითი თამაშები: თამაშობს საგნებით, მაგრამ არ იყენებს დანიშნულებისამებრ. მაგალითად: ხელის დაქნევა, თოჯინის ტრიალი. აკვირდება/იკვლევს სათამაშოს ან რაიმე სხვა საგანს. თამაშობს საგნებით დანიშნულებისამებრ. მაგალითად აქნევს საჩხარუნოს.

ორგანიზებული თამაშები: სისტემატიურად აწყვილებს ობიექტებს, მაგ. ალაგებს კუბიკებს ერთად (უმნიშვნელოვანესი უნარი, რომელიც ადამიანს მთელი ცხოვრების მანძილზე დაგეგმვასა და ორგანიზებაში ეხმარება).

კონსტრუქციული თამაშები: აწყობს მარტივ თავსატეხს („პაზლი“); აკვირდება და ალაგებს ფიგურებს შესაბამის ფორმებში (უმნიშვნელოვანესი უნარი, რომელიც სივრცითი აღქმის, ორიენტაციის, შენებისა და დაგეგმვის თვალსაზრისით ეხმარება).

შედეგის ან ეფექტის თამაშები: სწავლობს მექანიკური სათამაშოს ჩართვას; აჭერს ხელს ღილაკს, რომ გაიხსნას ყუთი; უკავშირებს ერთ ნივთს მეორეს, მაგალითად აგორებს ბურთს, რომ დაანგრიოს კოშკი (მიზეზ-შედეგობრიობის გააზრება ადამიანის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კოგნიტური ფუნქციაა).

ინტერაქტიული თამაში: უფროსს თამაშში ჩარევის უფლებას აძლევს; აწვდის რაიმე ნივთს თამაშის დროს; იგონებს თამაშის წესებს; იცავს რიგს (უდავოა, რომ სხვებთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის გარეშე, ადამიანის ცხოვრება ძნელი წარმოსადგენია).

ფუნქციური თამაშები: იყენებს საგნებს ფუნქციურად; მაგალითად: ცარიელი ჭიქა მიაქვს პირთან, ან თოჯინას „ასმევს“; შეყავს მანქანა ფარეხში (საგნების ფუნქციის ცოდნა და მათი დანიშნულებისამებრ გამოყენება, ასევე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უნარია, რომელიც ადამიანს მთელი ცხოვრება სჭირდება).

სიმბოლური თამაშები და ფანტაზია: იყენებს ნივთს არადანიშნულებისამებრ, მაგალითად ვითომ კბილის ჯაგრისი მიკროფონია; თამაშობს წარმოსახვით თამაშებს, მაგალითად აჭმევს თოჯინას წარმოსახვით საკვებს, ახორციელებს თანმიმდევრულ წარმოსახვით ქმედებებს, მაგალითად, მიყავს თოჯინა პარკში, შემდეგ სახლში, შემდეგ დასაძინებლად; არგებს თოჯინას სხვადასხვა როლებს, მაგალითად დედა ან პოლიციელი; მიაწერს თოჯინას გარკვეულ ემოციებს, მაგალითად ამბობს რომ ტირის, გაბრაზებულია და ა.შ. წარმოადგენს თავს სხვა ადამიანად; ირგებს სხვადასხვა როლებს (წარმოსახვა კაცობრიობის შემოქმედებითი განვითარების საფუძველია).

სოციალური თამაშები: ჩართულია პარალელურ თამაშში; აკვირდება თანატოლების თამაშს; ამყარებს მცირე კონტაქტს თანატოლებთან; თამაშის დროს ცვლის საგნებს თანატოლთან; შეუძლია ერთ რამეზე კონცენტრირება თამაშის დროს; მონაწილეობას იღებს როლურ თამაშებში.

დასკვნა:

თამაში ბავშვს უვითარებს ყველა იმ ფუნდამენტურ უნარს, რაც მას მთელი ცხოვრების მანძილზე სჭირდება, ამიტომ ადრეულ ასაკში ბავშვის განვითარების სტიმულირების მთავარი გარემო თამაში უნდა იყოს.

დაკვირვება და შეფასება

დაკვირვება და მონაცემთა შეგროვების მნიშვნელობა

სასწავლო-სააღმზრდელო პროცესზე უწყვეტი დაკვირვება და მონაცემთა შეგროვება ადრეული განათლების პრაქტიკის ერთ- ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია. დაკვირვება და მონაცემთა შეგროვება აღმზრდელსა და სხვა სპეციალისტს მდიდარ მასალას აძლევს თითოეული ბავშვის, ბავშვების ჯგუფის, მათი პროგრესის, აღმზრდელის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობების, სტრატეგიების და ზოგადად, პროგრამის შესახებ. ეს ინფორმაცია ასევე ღირებულია მშობლებთან კომუნიკაციისას.

აღმზრდელს მუდმივად ესაჭიროება სხვადასხვა სახის ინფორმაცია, რომ მისი პრაქტიკა თითოეული ბავშვის საჭიროებებზე იყოს მორგებული. მხოლოდ ამ მონაცემებზე დაყრდნობით არის შესაძლებელი განვითარების შესაბამისი პროგრამის განხორციელება. მონაცემები უნდა იძლეოდეს ინფორმაციას თითოეული ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების, ძლიერი მხარეების და ინტერესების შესახებ. აღმზრდელი ასევე უნდა სწავლობდეს ჯგუფის საჭიროებებს, მიდრეკილებებს, ინტერესებს და შესაძლებლობებს. სპეციალისტის სწორი, საუკეთესო გადაწყვეტილებები სასწავლო-სააღმზრდელო პროცესთან მიმართებაში დიდწილად მისი დაკვირვებისა და მონაცემთა შეგროვების უნარებზეა დამოკიდებული. რომელიმე სპეციფიკურ ქცევაზე დაკვირვება, მონაცემთა შეგროვება და ამ მონაცემების ჩაწერა უფრო ნათელს ხდის ქცევის მახასიათებლებს. შესაბამისად, უადვილებს უფროსს პასუხს კითხვაზე – რატომ აღინიშნება ესა თუ ის ქცევა. იგივეა ჯგუფის შემთხვევაშიც, როდესაც ობიექტური დაკვირვების საფუძველზე ხდება პრობლემის აღმოჩენა, უფროსი უფრო მარტივად გეგმავს და ახორციელებს პრობლემის პრევენციის შესაბამის სტრატეგიებს. მაგალითად, თუ თქვენ აკვირდებით დრამატულ ცენტრში ხელის კვრის ხშირ ინციდენტს, ამით შეიძლება დაასკვნათ, რომ არასაკმარისი სივრცეა დრამატული ცენტრისთვის და არასასურველი ქცევის და კონფლიქტის თავიდან ასარიდებლად, შესაძლებელია ან სივრცე გაზარდოთ, ან ბავშვების რაოდენობა შეამციროთ (ბეტი, 2006).

მონაცემების შეგროვება და დაკვირვება აღმზრდელ-პედაგოგსა და სხვა სპეციალისტებს სპეციალური საჭიროებების იდენტიფიცირებაშიც ეხმარება. მაგალითად, აქვს თუ არა ბავშვს სმენის ან მხედველობის დეფიციტი, ქცევის ან ემოციური სირთულეები, რაც თავის მხრივ პროფესიონალის კონსულტაციას საჭიროებს. მხოლოდ ამ საჭიროებების აღმოჩენის შემდეგ არის შესაძლებელი სათანადო მომსახურებისათვის მიმართვა. მონაცემების შეგროვება, დაკვირვება და რეგულარული ინტერვალებით ჩანაწერების წარმოება საშუალებას მოგცემთ შეაფასოთ თითოეული ბავშვის განვითარება და პროგრესი. ამ ინფორმაციის საფუძველზე დაგეგმოთ და შეადგინოთ უკეთესი პროგრამა, გადაწყვიტოთ როგორ მოაწყოთ გარემო და უზრუნველყოთ პირობები თითოეული ბავშვის განვითარებისთვის.

როდესაც ვსაუბრობთ სააღმზრდელო პრაქტიკაში დაკვირვებასა და მონაცემთა შეგროვებაზე, მნიშვნელოვანია განვასხვაოთ ორი პროცესი: ა) **მონაცემთა შეგროვება** და ბ) **მონაცემთა შეფასება**. მონაცემთა შეგროვება ეს არის ობიექტური დაკვირვების გზით შეგროვებული და დოკუმენტირებული ინფორმაცია ბავშვზე, ბავშვებზე, სასწავლო-სააღმზრდელო პროცესზე, რომელიც არის ფაქტობრივი, აღწერითი და არ შეიცავს ვარაუდს, დასკვნებს, სუბიექტურ შთაბეჭდილებებს. მონაცემთა **შეფასების** პროცესი მოიცავს შეგროვებული მონაცემების სინთეზს, ინტერპრეტაციას, ანალიზს და შესაბამის დასკვნებს, რომელიც გამოიყენება ან შემდგომი დაკვირვების ან პრაქტიკული საქმიანობის დასაგეგმად. ამ პროცესში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია - დაკვირვების და მონაცემთა შეგროვების **დაგეგმვა**, რომლის დროსაც აღმზრდელი განსაზღვრავს დასაკვირვებელ საკითხს და შესაბამის მეთოდებს არჩევს. თუმცა, ყოველდღიურ პრაქტიკაში დაუგეგმავადაც აწყდება აღმზრდელი მრავალ ფაქტს, რომელთა

დაფიქსირებაც მნიშვნელოვანია.

ინფორმაციის შეგორვების და დაკვირვების ორი, *ფორმალური* და *არაფორმალური* მეთოდი არსებობს. ეს ორი მეთოდი ერთმანეთისგან იმით განსხვავდება, თუ რამდენად ხდება პირობების კონტროლი მათი გამოყენებისას. ფორმალური მეთოდებია სტანდარტიზებული ტესტები და კვლევის ინსტრუმენტები. ფორმალური მეთოდები მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაძლევს, მაგრამ ამ მეთოდების გამოყენება საჭიროებს სპეციალიზებულ ტრენინგს და გაწაფვას, რათა მონაცემთა აღება წინასწარ შემუშავებული ფორმით ხდებოდეს. ასეთივე სპეციალიზება სჭირდება ფორმალური მეთოდებით შეგროვებული მონაცემების ანალიზს და ინტერპრეტაციას.

ადრეული განათლების სპეციალისტები **არაფორმალური** დაკვირვებისა და მონაცემების შეგროვების მეთოდებს იყენებენ. ასეთი მეთოდები შედარებით მარტივი გამოსაყენებელია და უფრო მეტად შეესაბამება პროგრამის დაგეგმვას. არაფორმალური მეთოდებია: კითხვარები, ცხრილები, ჯგუფში ბავშვებზე დაკვირვება, ჩანაწერების წარმოება, ბავშვების ნამუშევრების ნიმუშების შეგროვება, მშობლებთან ინტერვიუ, ბავშვებთან საუბარი, აუდიო-ვიდეო ჩანაწერები, ფოტოები.

დაკვირვებისა და მონაცემთა შეგროვების მეთოდის შერჩევა: არსებობს მეთოდის შერჩევის სამი მოსაზრება. პირველი, მეთოდის შერჩევა დამოკიდებულია ქცევის, საკითხის ტიპზე, რა გაინტერესებს, რისი დაკვირვება გსურს და რამდენად დეტალური ინფორმაცია გჭირდება. მეორე, ერთ ბავშვზე იღებ მონაცემებს თუ მთელ ჯგუფზე. მესამე, რა ოდენობის ყურადღებას საჭიროებს დასაკვირვებელი საკითხი. მაგალითად, თუ გაინტერესებს განვითარების ერთ-ერთ სფეროზე დაკვირვება, მაშინ შესაძლებელია კითხვარი უფრო მისაღები იყოს, სადაც დეტალურად იქნება ამ სფეროს განვითარების ინდიკატორები და მისი შემადგენელი ქცევები მოცემული. თუ ერთ კონკრეტულ ქცევაზე ან უნარზე გეგმავ დაკვირვებას, მაშინ უფრო ფოკუსირებული დაკვირვება გამოგადგება და მეტი თვისობრივი ინფორმაციის ჩაწერა იქნება პროდუქტიული. თუ ბავშვების ჯგუფზე გეგმავ ინფორმაციის შეგროვებას, ჟურნალი ან კითხვარი უფრო მოსახერხებელია. ყურადღების და რესურსების საჭიროების თვალსაზრისით, ზოგიერთი მეთოდი დამკვირვებლისგან უფრო მეტ ძალისხმევას საჭიროებს. მაგალითად, ბავშვებთან ურთიერთობა ძნელდება, როდესაც ჩანაწერებს აკეთებ, რადგან დეტალურად ხდება ქცევის აღწერა. კითხვარები, ვიდეო ჩანაწერები და ცხრილები უფრო ადვილი გამოსაყენებელია ბავშვებთან მუშაობის დროს.

მონაცემების შეგროვება შეგიძლიათ სააღმზრდელო პროცესის ნებისმიერ დროს. დააკვირდით ბავშვებს, როდესაც მუშაობენ სხვადასხვა პროექტებზე, თამაშობენ. მოუსმინეთ, როდესაც ყვებიან ამბებს. დააკვირდით, როდესაც აწყობენ თავსატეხს, ან აშენებენ კუბებით. უსმინეთ ბაშვების საუბარს. ყურადღებით იყავით თავისუფალი თამაშის დროს. გააკეთეთ ინდივიდუალური ჩანაწერები ბავშვებზე. ბავშვები თავიანთ პიროვნულ და განვითარების თავისებურებებს განსაკუთრებით თავისუფალი თამაშის დროს ავლენენ.

ჩეკლისტები: გამოიყენება სპეციფიკური ქცევის, თვისების არსებობის ან არარსებობის ჩასაწერად. ჩეკლისტები ადვილი შესავსებია და განსაკუთრებით კარგი გამოსაყენებელია, როდესაც საჭიროა სხვადასხვა ქცევაზე, უნარზე და სფეროზე დაკვირვება. ჩვეულებრივ, ჩეკლისტი მოიცავს სპეციფიკური ქცევების ნუსხას, რომელსაც უყურებ დაკვირვების დროს და აღნიშნავ მხოლოდ დასაკვირვებელი ქცევის თუ თვისების არსებობა/არ არსებობას. იმის მიხედვით, თუ რა ფუნქცია აქვს, ჩეკლისტები შეიძლება იყოს სხვადასხვა ზომის და სირთულის.

ბავშვის უნარების ჩეკლისტი[15]

სახელი ---------- დამკვირვებელი ----------

აღნიშნეთ ნიშნით - V ის უნარი, რომელსაც რეგულარულად ამჩნევთ. დასვით N ნიშანი, თუ ამ უნარზე დაკვირვების შესაძლებლობა არ მოგეცათ.

უნარი, აღწერა, რიცხვი

1. თვითშეფასება

--- მასწავლებელთან თვალით კონტაქტს ამყარებს

--- გამოხატავს ემოციურ მიჯაჭვულობას მასწავლებელის მიმართ

…

2. ემოციური განვითარება

--ბრაზს მეტად გამოხატავს სიტყვებით, ვიდრე ნეგატიური მოქმედებებით

--- რთულ და სახიფათო სიტუაციებში ინარჩუნებს სიმშვიდეს

--- მოწყენილობას ადეკვატურად უმკლავდება

--- სიყვარულს გამოხატავს სხვების მიმართ

…

3. სოციალური თამაში

--- პარალელურად თამაშობს

--- ჯგუფურ თამაშებს თამაშობს

---თამაშში პოზიტიურად ერთვება

…

4. პროსოციალური ქცევა

--- კონფლიქტის დროს, შეუძლია თქვას, რას განიცდის სხვა

--- შეუძლია გაზიარება

--- აღელვების გარეშე იცავს ჯერს

…

5. მსხვილი მოტორიკა

--- სირბილის დროს სიჩქარის და მიმართულების ცვლას აკონტროლებს

--- ორივე ფეხით ხტება

--- შეუძლია აძრომა, ჩამოძრომა, გაძრომა ეზოში მოწყობილ გასართობებზე

--- ისვრის, იჭერს და ფეხს ურტყამს ბურთს

…

6. ნატიფი მოტორიკა

--- ადვილად ხსნის სხვადასხვა გასახსნელ ნივთებს, ხუფიან ქილებს და ა.შ ...

--- სითხეს ასხამს ჭიქაში ისე, რომ არ ეღვრება

--- ხსნის და კრავს (ელვა, ღილები, ფხრიწი)

--- თავისუფლად იღებს და სვამს საგნებს (მაგ.თავსატეხის ნაწილებს)

…

7. კოგნიტური განვითარება

--- აჯგუფებს/ახარისხებს საგნებს ფორმის, ფერის მიხედვით

15 წიგნიდან Observing Development of the Young Child. J. Beaty, 2006.

--- კლასიფიცირებას ახდენს ზომის მიხედვით

--- აჯგუფებს, თანმიმდევრულად ალაგებს საგნებს

…

8. სასაუბრო ენა

--- მოკლე წინადადებებით მეტყველებს

--- საუბრისას იცავს ჯერს

--- საუბრობს გრძელი წინადადებებით

--- სვამს კითხვებს

…

9. წიგნიერება

--- ჯღაბნის ჰორიზონტალურად

--- გამოყავს ასოების მსგავსი ფორმები

--- ვითომ კითხულობს და ყვება მოთხრობას სურათების მიხედვით

--- წიგნიდან დეტალურად ყვება მოთხრობას

…

10. შემოქმედება

--- ჯღაბნა კონტროლს ექვემდებარება

--- ხატავს ძირითად ფორმებს

--- კომბინირებულად იყენებს ძირითად ფორმებს (წრე, სამკუთხედი, კვადრატი)

--- ხატავს ცხოველს, ხეს, ყვავილს

…

11. წარმოსახვა

--- ანაწილებს როლებს ან ასრულებს სხვის მიერ განაწილებულ როლს

--- მოქმედებს როლის შესაბამისად

--- შეუძლია წარმოსახვითი საგნებით "ვითომ" თამაში

ჩეკლისტების გამოყენების დადებითი და უარყოფითი მხერეები

ჩეკლისტის უპირატესობაა: მონაცემთა შეგროვება არ არის დროში შეზღუდული; ინფორმაციას სწრაფად ვინიშნავთ და შესაძლებელია მისი ნებისმიერ დროს და ბევრნაირ სიტუაციაში გამოყენება; ჩეკლისტის მონაცემების ინტერპრეტაცია ადვილია.

ნაკლი - არ მოიცავს დეტალურ ინფორმაციას; ნარატიულისგან განსხვავებით, არ არის ინფორმაციულად მდიდარი. მაგალითად, როგორ ხორციელდება ქცევა, რა ხნის განმავლობაში; მოცემულია მხოლოდ ქცევის არსებობა ან არარსებობა. ფორმატის გამო, კონკრეტულ ქცევებზე ხდება დაკვირვება და ქცევის მნიშვნელოვანი ასპექტები შეიძლება გამოგვრჩეს.

რეიტინგული სკალები: ჩეკლისტების მსგავსია, რომლის მიზანი სპეციფიკური ქცევის აღნუსხვაა. რეიტინგული სკალები გამოიყენება დასაკვირვებელი ქცევის გამოვლენის ხარისხის ჩასაწერად. თუმცა, ობიექტურობა შეიძლება დამკვირვებლის შეხედულებისამებრ დაირღვეს.

უპირატესობა: ადვილი გამოსაყენებელია და ნაკლებ დროს საჭიროებს. ზოგიერთი სკალა მოიცავს რიცხობრივ სკალას, სხვა სკალები უფრო სპეციფიკურად განსაზღვრავენ ქცევას.

ნაკლი: ქცევის ფრაგმენტებს მოიცავს. რეიტინგული სკალის არჩევისას, დამკვირვებელი კარგად უნდა იცნობდეს დასაკვირვებელ ქცევას, რომლის ხარისხობრივ შეფასებასაც აკეთებს. ტიპიური რეიტინგული სკალა მოცემულია ქვემოთ.

რეიტინგული სკალა[16]

16 ნიმუშად გამოყენებულია სკოლამდელი ასაკის ბავშვთა შეფასების ფორმა (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2011).

ფიზიკური განვითრება

აქტივობა	ყოველთვის სწორად ასრულებს	ცდილობს/ნაწილობრივ ასრულებს	საერთოდ ვერ ასრულებს
1. დგას ცალ ფეხზე 2-3 წამის განმავლობაში			
2. 20 სმ სიმაღლიდან ხტება			
3. შეუძლია თითისწვერებზე სიარული			
4. კიბეებზე ფეხის მონაცვლეობით ადის			

თვითმოსახურება

აქტივობა	ყოველთვის სწორად ასრულებს	ცდილობს/ნაწილობრივ ასრულებს	საერთოდ ვერ ასრულებს
1. დალევის დროს ჭიქა უჭირავს ყურით			
2. ცხვირსახოცით იწმენდს ცხვირს			
3. აღებს და კეტავს ონკანს			
4. იმშრალებს ხელ-პირს			

შემეცნების სფერო

აქტივობა	ყოველთვის სწორად ასრულებს	ცდილობს/ნაწილობრივ ასრულებს	საერთოდ ვერ ასრულებს
1. ახარისხებს ორ სხვადასხვა ფერის ნივთს (მაგ. წითელ დამწვანე კუბურებს)			
2. ცნობს და ასახელებს სამ ფერს			
3. ცნობს გეომეტრიულ ფიგურებს			
4. თხოვნის შედეგად გვიჩვენებს სხეულის 10 ნაწილს			

ენობრივი განვითრება

აქტივობა	ყოველთვის სწორად ასრულებს	ცდილობს/ნაწილობრივ ასრულებს	საერთოდ ვერ ასრულებს
1. ასრულებს მარტივ ორსაფეხურიან ინსტრუქციას (მაგ. მოიტანე ფერადი ფანქრების ყუთი და სახატავი რვეული)			

2. მეტყველებს მარტივი და მარტივი გავრცობილი წინადადებებით

3. სვამს კითხვას უცნობი სიტყვის მნიშვნელობის დასადგენად

4. მოყოლის დროს შეუძლია რამდენიმე წინადადება დააკავშიროს ერთმანეთთან

მზაობა წერისთვის

აქტივობა	ყოველთვის სწორად ასრულებს	ცდილობს/ნაწილობრივ ასრულებს	საერთოდ ვერ ასრულებს
1. ხატავს თითებით მთელი ხელის მოძრაობით			
2. სწორად უჭირავს ფანქარი საჩვენებელი და ცერა თითით			
3. იხატავს წრეს, ოთხკუთხედს			
4. შეუძლია განასხვაოს ნაწერი და ნაბეჭდი			

სოციალურ-ემოციური სფერო

აქტივობა	ყოველთვის სწორად ასრულებს	ცდილობს/ნაწილობრივ ასრულებს	საერთოდ ვერ ასრულებს
1. ხვდება რა საპასუხო რეაქციას გამოიწვევს მისი ან სხვისი ქცევა			
2. ასახელებს და საუბრობს საკუთარი გრძნობებისა და განცდების შესახებ (შიში, სიხარული, წყენა)			
3. უერთდება უკვე დაწყებულ თამაშს და ეძებს საკუთარ როლს (ადგილს)			
4. როლურ თამაშებში სათამაშოს იყენებს როგორც ნამდვილ, რეალურ საგანს (მაგ. საუბრობს ტელეფონით, როგორც ნამდვილით)			

მონაცემთა ინტერპრეტაცია, შეფასების შედეგები

ობიექტურ მონაცემთა ჩაწერის და/ან კითხვარებისა (ჩეკლისტების) და რეიტინგული სკალების მონაცემების შეგროვების შემდეგ, ამ მონაცემთა ინტერპრეტაცია, მონაცემებისთვის მნიშვნელობის მინიჭება ხდება. რატომ იქცევა ბავშვი ისე, როგორც იქცევა. რა შეიძლება იყოს ბავშვის მოტივი. რამ და ვინ გამოიწვია ის, რომ ბავშვი ასე მოიქცა? ინტერპრეტაცია საჭიროებს ცოდნას და გარკვეულ უნარებს. დაკვირვებას, თავისთავად, არა აქვს აზრი ინტერპრეტაციის და მონაცემებისთვის მნიშვნელობის მინიჭების გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ დაკვირვება ფაქტობრივი და მიუკერძოებელია, ამ ფაქტების ინტერპრეტაცია შეიძლება სხვადასხვანაირად მოხდეს. როგორც არ არსებობს ორი ერთნაირი ადამიანი, ასევე შეუძლებელია, რომ ორმა ადამიანმა ერთნაირად ახსნას ეს ფაქტები. ბავშვის ქცევის ინტერპრეტაციის მოტივები, როგორც წესი, ინტერპრეტატორის პირადი გამოცდილებითაა განპირობებული. პიროვნულმა განცდებმა, ღირებულებებმა და დამოკიდებულებებმა შეიძლება გავლენა იქონიოს მათ ქცევაზეც. ინტერპრეტირებისას, აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული ბავშვის განვითარების დინამიკა. აუცილებელია, კარგად იცნობდე და გესმოდეს ბავშვის ზრდისა და განვითარების პროცესი, რომ ჩანაწერებისა და დაკვირვების მონაცემების ინტერპრეტაცია და გამოყენება შედეგიანი იყოს. განვითარების პროცესი კომპლექსურია და ბევრად მეტია ვიდრე ცვლილება. უნდა გვახსოვდეს, რომ განვითარების ყველა სფერო ურთიერთდამოკიდებულია, განვითარების პროცესი კი:

- თანმიმდევრულია და შენდება ნასწავლზე (გამომდინარეობს ნასწავლიდან)
- განსხვავებულად ვლინდება ბავშვებში და კონკრეტულ ბავშვთან- სხვადასხვა სფეროში
- განპირობებულია ადრეული გამოცდილებით
- მარტივიდან რთულზე გადადის
- სოციალური და ემოციური კონტექსტის გავლენის ქვეშ ექცევა
- გადაიცემა კულტურულად და აქტიურობით
- ბიოლოგიური და გარემო ფაქტორების ზემოქმედების ქვეშ ექცევა
- ხელშეწყობილია თამაშით
- ექვემდებარება გაწაფვას და გამოწვევებს
- წარმოდგენილია სხვადასხვა მოდალობებში (ნილსენი, 2004).

გაეცანით დამკვირვებლის ჩანაწერს ნიკაზე: „სადილის დროს, ნიკამ აიღო წყლის დოქი, გამოსწია ჭიქისკენ, მიაჯახა ჭიქას, გადმოუყირავდა და წყალი გადმოესხა." ამ ჩანაწერის განხილვისას, ნიკას ქცევა შეიძლება სხვადასხვანაირად ახსნა:

- ნიკა უყურადღებოა
- ნიკას არა აქვს საკმარისი გამოცდილება
- დაუფიქრებლად მოქმედებს
- ძალა არ ყოფნის, რომ ასწიოს დოქი
- აკლია თვალისა და ხელის კოორდინაცია, რაც აუცილებელია კონკრეტული მოქმედების შესასრულებლად.

იმის გადასაწყვეტად, თუ რომელი ახსნაა უფრო ზუსტი, საჭიროა, გარკვეული დროის განმავლობაში, ნიკას სხვადასხვა ვითარებაში დავაკვირდეთ.

დაკვირვების დროს გაკეთებული ჩანაწერები უნდა გამოიყენოთ აქტივობების და კურიკულუმის დაგეგმვაში. მაგალითად, ჯგუფური აქტივობის დასაგეგმად - „დრამატულ ცენტრში მივიტან მეტ სახვადასხვა შესაკრავიან ტანსაცემელს, რომ ყველას მიეცეს ნატიფი მოტორიკის გაწაფვის საშუალება." ან ინდივიდუალური გეგმის შესამუშავებლად - „ქეთა იწყებს სხვა ბავშვებთან სოციალურ თამაშს." სტრატეგია:,, თამაშსა და გაზიარებას უნდა შევუწყო ხელი, დავაკავშირო ქეთა ნინოსთან კოოპერატიული აქტივობის დროს. წავუკითხო წიგნი მცირე ჯგუფში, სადაც ქეთაც იქნება ჩართული და ვისაუბრებ მეგობართან ერთად თამაშზე." ჩანაწერებიდან

ამ კონკრეტული სტრატეგიების ან რეკომენდაციების შემუშავების გარდა, აღმზრდელსა და სპეციალისტს ასევე შეუძლია დაგეგმოს მეტი კვლევა და მონაცემთა შეგროვება. მაგალითად, „უფრო ყურადღებით მოვუსმენ ქეთას მეტყველებას და ვკითხავ მეტყველების თერაპევტს, თუ შეესაბამება მის ასაკს“ (ნილსენი, 2004).

წიგნის ბოლოს, დანართში მოცემულია 2-დან – 5 წლამდე ბავშვის განვითარების კითხვარი (ჩეკლისტი), რომელიც ბავშვის განვითარების შეფასების რამდენიმე ინსტრუმენტის საფუძველზეა შექმნილი და ძალიან მოსახერხებელია ბაღის გარემოში შესავსებად.

ჯგუფური მუშაობა, შეფასების შედეგების გააზრება, ინდივიდუალური გეგმა, ინდივიდუალიზაცია

შეფასების შედეგების გააზრება:

როგორც ზემოთ აღინიშნა, დაკვირვებისა და შეფასების შედეგად მიღებულ ინფორმაციას ინტერპრეტაცია და გააზრება სჭირდება.

რა უნარები განივითარა უკვე:

- კომუნიკაციასა და ენაში?
- შემეცნებაში?
- მოტორიკაში?
- სოციალური თვალსაზრისით?
- ემოციური/თვითრეგულირების თვალსაზრისით?

რა უნარები ან აქტივობები იწვევს სირთულეებს და ფრუსტრირების განცდას?

შეკითხვებზე პასუხი უკვე გაცემული უნდა გქონდეთ ბავშვზე დაკვირვება-შეფასების და მშობელთან საუბრისა და მისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე. შესაბამისად, ამ კითხვებზე პასუხები, სხვაგვარად რომ ვთქვათ, შეფასების შედეგები შეგიძლიათ გადმოიტანოთ ქვემოთ მოცემულ ცხრილში, რომელიც ბავშვის განვითარების სურათს უკეთ დაგანახებთ თქვენც და სხვა ჩართულ ადამიანებსაც.

ბავშვის შეფასების შედეგების შეჯამება:

სფეროები		ძლიერი მხარეები	საჭიროებები
კომუნიკაცია, ენა, მეტყველება - ადრეული წიგნიერება	ავლენს მოსმენის უნარს და ესმის მოსმენილის მნიშვნელობა		
	შეუძლია საკუთარი საჭიროებების გამოხატვა (მეტყველებით, ჟესტებით ა.შ)		
	ადრეული წიგნიერება - (წიგნით დაინტერესება, ფონოლოგიური ცნობიერება, რაოდენობრივი წიგნიერება)		
სოციალური-ემოციური	იმპულსის და ემოციის მართვა		
	ურთიერთობა და თამაში		
	თვითრწმენა		
შემეცნება	ცნობისმოყვარეობა და ინტერესი ყურადღების შენარჩუნება		

	შემოქმედებითობა და პრობლემის გადაჭრა		
	მიზეზ-შედეგობრიობა		
დამოუკიდებლობა და ადაპტური ქცევა	პირადი ჰიგიენა და თვითმომსახურება		
	კვება		
	უსაფრთხოების წესების დაცვა		
მოტორული სფერო	მოძრაობა		
	წონასწორობა		
	ნატიფი მოტორული უნარების (წვრილი კუნთების გამოყენება)		

ბავშვის განვითარების სურათის კარგად გააზრებასთან ერთად, ბავშვისათვის ინდივიდუალური გეგმის შედგენისას, პასუხი უნდა გასცეთ შემდეგ კითხვებსაც და ინდივიდუალური გეგმა – ინდივიდუალური მიზნები ამ საკითხების გათვალისწინებით განსაზღვროთ:

რა სახის ურთიერთობები, საგნები და ობიექტები იწვევს მის ჩართულობას? როგორ რეაგირებს საგნებსა და ადამიანებზე მის გარშემო? შეუძლია თუ არა ყურადღების გაზიარება საგანსა და ადამიანს შორის? რომელია ისეთი აქტივობა (თუნდაც უმარტივესი, მაგ.რაიმე სათამაშოს ტრიალი), რომელში ჩართულსაც აქტივობასთან დაკავშირებული იდეის ან ემოციის სხვისთვის გაზიარება შეუძლია (თუნდაც შეხედვით, გაცინებით ან მინიშნებით)?

როგორია ბავშვი მოძრაობის მიმართ? აქვს მოძრაობის განსაკუთრებული მოთხოვნილება, თუ მეტი რამის გაკეთება შეუძლია, როდესაც უსაფრთხოდ და მშვიდად ზის? რაიმე ხომ არ აშინებს, როდესაც არამყარად გრძნობს თავს?

როგორი რეაქცია აქვს ხმაურზე? რა ტიპის ინტერაქციაზე რეაგირებს მეტად? უფრო თეატრალურსა და ხმამაღალზე, თუ უფრო მშვიდსა და მოკლე საუბარზე?

ვიზუალურად უკეთ იგებს და სწავლობს თუ ვერბალურად? რა სახის დახმარება/მინიშნება უფრო მოერგება აქტივობიდან აქტივობაზე გადასვლისას? ვიზუალური თუ ვერბალური? იქნებ მისმა საყვარელმა სიმღერამ გაჭრას?

როგორ რეაგირებს შეხებაზე? თუ შეხების სირთულეები აქვს, როგორ უნდა დავგეგმოთ გარემო და აქტივობები ისე, რომ მის საჭიროებებს მოვერგოთ?

მიზანი და ამ მიზნის მიღწევის სტრატეგიები ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საკითხის გათვალისწინებითა და ჩართული მხარის მონაწილეობით უნდა განისაზღვროს.

გუნდი:

ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმა უნდა შედგეს ყველა იმ ბავშვისათვის, ვისაც ბაგა-ბაღში ჩართულობის გამოკვეთილი სირთულეები აქვს, იმისდა მიუხედავად, აქვს მას რაიმე გამოკვეთილი და დადგენილი დიაგნოზი, თუ- არა. ინდივიდუალური გეგმის შედგენა უშუალოდ დიაგნოზის არსებობა-არარსებობაზე დამოკიდებული არ უნდა იყოს, თუმცა, ბავშვებს, რომელთათვისაც ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმა დგება, ხშირად რაიმე დიაგნოზი აქვთ ხოლმე. ინდივიდუალური გეგმის შედგენა შესაძლოა, ერთ, ორ (ან არცერთ) ბავშვს დასჭირდეს. გარდა ამისა, ჯგუფში 4-6 ბავშვი აღმზრდელის, სპეციალური განათლების პედაგოგის, ფსიქოლოგისა და კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპევტის (ლოგოპედის) მომეტებულ ყურადღებას საჭიროებდეს. ასეთ შემთხვევებში, კვირისა და დღის გეგმებში გათვალისწინებული ინდივიდუალიზაციაც საკმარისია.

რომ შევაჯამოთ: გამოკვეთილი სირთულეების მქონე ბავშვებს დასჭირდებათ ინდივიდუ-

ალური გეგმაც და ასევე ინდივიდუალურ გეგმაში დასახული გრძელვადიანი მიზნის შესაბამისი აქტივობების კვირისა და დღის გეგმებში ინდივიდუალიზაციის სახით გადატანაც. ხოლო, უფრო მსუბუქი საჭიროებების მქონე ბავშვებისათვის საკმარისი იქნება.

ინდივიდუალიზაციის ჩანაწერების წარმოება და განხორციელება. ბაგა-ბაღის გარემოში ბავშვისათვის ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმისა და საგანმანათლებლო მიზნების შედგენის ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი პირი აღმზრდელი-პედაგოგია. ბავშვის ჯგუფში ჩართულობაზე ძირითადი პასუხისმგებლობა მას აკისრია. სპეციალური განათლების პედაგოგი, ფსიქოლოგი და კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპევტი (ლოგოპედი) ამ პროცესში მისი (აღმზრდელ-პედაგოგის) დამხმარეები არიან. ასევე დიდია აღმზრდელის (ახლანდელი თანაშემწის) როლიც. შესაბამისად, ძალიან სასარგებლოა, რომ ისიც ბავშვის გუნდის ნაწილი იყოს.

მშობლის როლი და ჩართულობა ინდივიდუალური გეგმის შედგენისას უმნიშვნელოვანესია. როგორც წესი, ინდივიდუალური მიზნები მშობლის პრიორიტეტებსა და სურვილებს უნდა ითვალისწინებდეს. თუ მშობლის პრიორიტეტები ბავშვის რეალურ შესაძლებლობებს არ შეესაბამება, ბაღში მომუშავე სპეციალისტების ვალია, მშობელს რეალური და ბავშვის საჭიროებაზე უკეთ მორგებული მიზნის უპირატესობა დაანახონ.

თუ ბავშვს რაიმე სახის გამოხატული სპეციალური საჭიროება აქვს, მაშინ ინდივიდუალური გეგმის ტექნიკურ შესრულებაზე – შეფასების შედეგების შეკრებაზე, გუნდის შეხვედრის თარიღის განსაზღვრასა და შეხვედრის ორგანიზებაზე, შეხვედრის ოქმის დაწერასა და შემდეგ (აუცილებლად) აღმზრდელ-პედაგოგთან ერთად ინდივიდუალური გეგმის შედგენაზე პასუხისმგებელი სპეციალური განათლების პედაგოგია. იგი ასევე პასუხისმგებელია იმაზეც, რომ გეგმის გადაფასება, გუნდის შემდეგი შეხვედრები რაციონალურ დროში (დაახლოებით 3-4 თვეში ერთხელ) მოხდეს. და იმის მონიტორინგზეც, რომ ინდივიდუალური მიზნები რეალურად სრულდებოდეს. საჭიროებიდან გამომდინარე, გუნდის წევრები ბაღში მომუშავე ფსიქოლოგი და ლოგოპედიცაა.

თუ კონკრეტული ბავშვის შემთხვევაში წამყვანი სოციალურ-ემოციური პრობლემებია, მაშინ იმავე პასუხისმგებლობას ბაღის ფსიქოლოგი იღებს და სპეც-პედაგოგი, საჭიროებიდან გამომდინარე, გუნდის წევრი ხდება (აღმზრდელ-პედაგოგი, აღმზრდელი და მშობელი გუნდში ყოველთვის არიან).

თუ კონკრეტული ბავშვის შემთხვევაში წამყვანი მხოლოდ სპეციფიკური ენობრივი დარღვევაა, მაშინ გეგმის განხორციელების ლიდერი (აღმზრდელთან ერთად) კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპევტია (ლოგოპედი). თუმცა, ამ შემთხვევაშიც, სპეციალური განათლების პედაგოგისა და ფსიქოლოგის ჩართულობა ძალიან მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს.

ყოველთვის ძალიან სასარგებლოა, თუ ბაღის ინდივიდუალური გეგმის შედგენაში ბავშვთან ბაღს გარეთ მომუშავე სპეციალისტიც უშუალოდაა ჩართული, ან თუ ბაღი მის რეკომენდაციებს ითვალისწინებს. ეს ბაღში მომუშავე ადამიანების პროფესიონალიზმზე და გუნდური მუშაობის მაღალ უნარზე მიუთითებს, თავი რომ დავანებოთ იმ სარგებელს, რაც ამან ბავშვს შეიძლება მოუტანოს.

ინდივიდუალური გეგმის ნიმუში:

ბავშვის განვითარების ინდივიდუალური გეგმა

თარიღი: --------

საკონტაქტო ინფორმაცია

ბავშვის სახელი, გვარი, ასაკი: ----------

ბაღის ჯგუფი და აღმზრდელის სახელი ----------

მშობლის სახელი, გვარი: ----------

შევსების თარიღი: ---------- სპეციალისტი: ----------

ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობა

ფორმა 100-ის ჩანაწერი	
სმენა	
მხედველობა	
დიეტა	
მედიკამენტები	
სხვა გასათვალისწინებელი ინფორმაცია	

მშობლის პრიორიტეტები: ----------

სხვა სპეციალისტები და სერვისები:

ორგანიზაცია	სპეციალისტი, სახელი და გვარი	საკონტაქტო ინფორ-მაცია	მომსახურების ხანგრ-ძლივობა	კომენტარი

ბაღის აქტივობებში ჩართულობა

დღის რუტინა	ჩართულობა	კომენტარი
მშობელთან განშორება		
აქტივობიდან აქტივობაზე გადასვლა		
მცირე ჯგუფებში თამაში		
დიდ ჯგუფებში მუშაობა		
კვება, ხელების დაბანა, ტუალეტი		
(ძილი)		
ეზო და დარბაზი		

ბავშვის ინდივიდუალური განვითარების ფუნქციური მიზნები[17]

1. ფუნქციური გრძელვადიანი მიზანი:

საჭირო რესურსები, ადაპტაციები, განხორციელების სტრატეგიები

(*იწერება ვინ, სად, როდის და როგორ შეასრულებს დასახულ რუტინულ მოქმედებას*).

---

2. ფუნქციური გრძელვადიანი მიზანი:

საჭირო რესურსები, ადაპტაციები, განხორციელების სტრატეგიები

(*იწერება ვინ, სად, როდის და როგორ შეასრულებს დასახულ რუტინულ მოქმედებას*).

---

3. ფუნქციური გრძელვადიანი მიზანი:

საჭირო რესურსები, ადაპტაციები, განხორციელების სტრატეგიები

(*იწერება ვინ, სად, როდის და როგორ შეასრულებს დასახულ რუტინულ მოქმედებას*).

გეგმის გადახედვის თარიღი: ---

17 შენიშვნა: გრძელვადიანი მიზანი უნდა შეესაბამებოდეს ქვემოთ ჩამოთვლილ 3 კატეგორიას.

1. დამოუკიდებლობის ხარისხი (ყოველდღიური რუტინული აქტივობები, თვითმოვლა, მობილობა – გადაადგილება, ფუნქციური თამაში)

2. კომუნიკაცია (საჭიროებების გამოხატვა, ურთიერთობების დამყარება, ალტერნატიული კომუნიკაცია).

3. სოციალურ – ემოციური განვითარება (ემოციური რეგულაცია, სოციალური წესების და ნორმების დაცვა, ქცევის რეგულირება)

თითოეული ძირითადი სფერო, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება მოიცავდეს 2 ან მეტ მოკლევადიან მიზანს, ანდა მხოლოდ მიზნის მიღწევის სტრატეგიებს.

ხელმოწერები:

გუნდის წევრი/ები:

მე ----------(მშობლი/მეურვის სახელი და გვარი) ვმონაწილეობდი ამ გეგმის შედგენაში და თანახმა ვარ აქტიური მონაწილეობა მივიღო მის განხორციელებაში.

მშობლის ხელმოწერა:

როგორ დგება გრძელვადიანი ფუნქციური მიზანი:

ფუნქციურ მიზნებს აქვს: 3 კომპონენტი, 4 პრინციპი და 4 კრიტერიუმი.

მიზანში ნათლად უნდა ჩანდეს, რის გაკეთებას შეძლებს/რის გაკეთებას მოველით ბავშვისგან – ანუ უნდა ასახავდეს კონკრეტულ ქცევას. ეს ქცევა უნდა იყოს ადვილად დაკვირვებადი და გაზომვადი. გახსოვდეთ, მიზნების გაწერისას მოერიდეთ ბუნდოვანი აზრის შემცველ სიტყვებს. კარგი მაგალითებია: ზის წრეში, აძლევს სათამაშოს მეგობარს, ამბობს 3-4 სიტყვიან წინადადებებს და ა.შ.

მიზანი რომ ფუნქციური იყოს, ნათლად უნდა მიუთითებდეს ბუნებრივ გარემოზე, სადაც ამ მიზნის გამოყენება იქნება შესაძლებელი. ის უნდა მიუთითებდეს აქტივობებსა და დღის რუტინაზე, რომლის დროსაც ეს ქცევაა მოსალოდნელი. მაგალითად: ალაგებს თავის ნივთებს კვების შემდეგ და აქტივობიდან აქტივობაზე გადასვლისას.

ფუნქციურ მიზანს უნდა ჰქონდეს იმის შეფასების ნათელი კრიტერიუმები, თუ რა ხარისხით გამოვლინდება სამიზნე ქცევა. პირობები უნდა იყოს ლოგიკური და ბავშვისა და გარემოს შესაძლებლობებზე დაფუძნებული.

მაგალითად: კვირაში სამჯერ 5 წუთით, 5-იდან 4 შემთხვევაში; ყოველ დღე; მითითებით/მითითების გარეშე.

მულტიგუნდის შეხვედრაზე, რომელიც სესილიას ინდივიდუალური გეგმის განსაზღვრას შეეხებოდა, მშობლებმა სესილიას *თამაშში ჩართვის უნარების გამოსწორება მოისურვეს. დედამ თქვა, რომ ის დასთან თამაშში ერთვება, მაგრამ მაშინვე ართმევს სათამაშოებს, რაც ყოველთვის ჩხუბით სრულდება. სესილიას ბაღის აღმზრდელმაც თქვა, რომ მას ბაღშიც აქვს თანატოლებთან თამაშის პრობლემა და ჩხუბის თავიდან ასაცილებლად უფროსის ჩართვაა საჭირო.*

მიზანი: უფროსის მცირედი დახმარებით, სესილია ითამაშებს თავის დასთან სადილის შემდეგ, ან მეგობართან საბავშვო ბაღში და გაუზიარებს მათ ისეთ სათამაშოებს, როგორიცაა თოჯინა და მისი ტანსაცმელი, ყველაზე ცოტა ხუთი წუთის განმავლობაში, კვირაში ორჯერ, მიზანი მიიღწევა ერთი თვის თავზე.

მკაფიო ქცევა: ითამაშებს… გაუზიარებს მათ ისეთ სათამაშოებს, როგორიცაა თოჯინა და მისი ტანსაცმელი.

ბუნებრივი კონტექსტი: სადილის შემდეგ დასთან ან ბაღში მეგობართან.

შეფასების კრიტერიუმი: ხუთი წუთის განმავლობაში, კვირაში ორჯერ, ერთი თვის თავზე.

მიზანში სტრატეგიები არ აისახება. მიზნები ასახავს იმას, თუ რა უნდა გააკეთოს ბავშვმა, ხოლო სტრატეგიებია, თუ რა უნდა გააკეთოს მშობელმა და მასწავლებელმა, ბავშვი კონკრეტულ ქცევას რომ დაეუფლოს.

ოჯახის წევრები აქტიურად უნდა იყვნენ ჩართულები ამა თუ იმ მიზნის განხორციელებაში. შესაბამისად, მათ კარგად უნდა ესმოდეთ მიზნის რაობა და ამოცანები.

ამრიგად, ფუნქციური მიზნის სამი მთავარი კომპონენტია: ქცევის მკაფიო აღწერა, ქცევის გაზომვის შესაძლებლობა და ქცევის ბუნებრივ კონტექსტში (სახლში, ბაღის ჯგუფში და არა,

მაგალითად, თერაპევტის კაბინეტში განხორციელება).

მიზნის წერის 4 პრინციპი:

ამ პრინციპებთან დაკავშირებული შეკითხვების დასმა დაგეხმარებათ იმის გააზრებაში, არის თუ არა მიზანი ნამდვილად ფუნქციური.

1. მიზანი უნდა ასახავდეს ოჯახის/ბაღის აღმზრდელ-პედაგოგის პრიორიტეტებს:

* არის მიზანი აზრიანი და გამოსადეგი ბავშვის ძირითადი მზრუნველისათვის?

* გულისხმობს თუ არა მიზანი ჩართულობას?

* გულისხმობს თუ არა მიზანი სოციალურ ინტერაქციას?

* გულისხმობს თუ არა მიზანი დამოუკიდებლობას?

2. მიზანი უნდა ასახავდეს რეალური ცხოვრების კრიტერიუმებს:

* შესაძლებელია თუ არა, რომ მიზანი დაკავშირებული/გამოყენებული იყოს იყოს სხვადასხვა ადამიანებთან/ადამიანების მიერ, სხვადასხვა დროს, დღის სხვადასხვა მონაკვეთსა და აქტივობებისას?

* შეიძლება თუ არა, მიზანი ადვილად იყოს ინტეგრირებული დღის განმავლობაში ბუნებრივად წარმოქმნილ აქტივობებთან და ურთიერთობებთან?

* არის თუ არა კონტექსტი გასაგები? არის თუ არა პრიორიტეტული ბაღის/ოჯახის რუტინა, გარემო და აქტივობები ნათლად გათვალისწინებული?

3. მიზანი უნდა იყოს ყველასთვის გასაგები:

* აქვს მიზანს მკაფიო აზრი?

* ესმით თუ არა მშობლებსა და სხვა ჩართულ მხარეებს, რა არის მოსალოდნელი?

* ხომ არ შეიცავს მიზანი გაუგებარ ტერმინებს?

* შეიცავს თუ არა მიზანი კონკრეტულ ფუნქციურ ზმნებს (ქცევა, რომელზე დაკვირვებაც ყველას ადვილად შეუძლია)?

(მიზნის წერისას უნდა მოვერიდოთ მხოლოდ პროფესიონალებისათვის გასაგებ ისეთ ფრაზებს, როგორიცაა: პინცეტური მოჭიდება, ორალურ-მოტორული უნარები, მინიმალური ფიზიკური ასისტირება და ა.შ. ამის ნაცვლად უნდა გამოვიყენოთ გასაგები სიტყვები: ცერითა და საჩვენებელის თითით აღება, კბეჩა, ღეჭვა, ყლაპვა, მცირე დახმარება. მკაფიო ზმნებია: ამბობს, კითხვას სვამს, უზიარებს/აძლევს, ზის, აწყობს და ა.შ. ბუნდოვანი ზმნებია: იუმჯობესებს, იტანს, იგებს და ა.შ.).

4. მიზანი უნდა იყოს გაზომვადი:

*ჩანს თუ არა, რა უნდა გააკეთოს ბავშვმა?

* ზედმეტად განზოგადებული, ან ზედმეტად კონკრეტული ხომ არ არის?

* ყველასთვის გასაგები იქნება, რომ მიზანი შესრულებულია (საჭიროებისა და სწორი მოლოდინების კრიტერიუმი), მითითებულია თუ არა, როდის და რა სიხშირით უნდა მოველოდეთ ამ ქცევას?

მიზნის შექმნის ოთხი კრიტერიუმი:

* დაუფლება – ბავშვს შეუძლია მიღწეული მიზნის შესაბამისი ქცევის ან უნარის დემონსტრირება.

* გენერალიზება – ბავშვი ამ ქცევას ან უნარს ავლენს სხვადასხვა სიტუაციებსა და ადგილებში, სხვადასხვა ადამიანების და განსხვავებული მასალის შემთხვევაშიც.

* ქცევა/უნარი შენარჩუნებულია – ამ უნარს ან ქცევას ხანგრძლივი დროის მანძილზე ავლენს.

* შესრულების ხარისხი – ბავშვი ქცევას ან უნარს მარტივად და კარგად ასრულებს.

ნიმუში ოკუპაციური თერაპიიდან:

გრძელვადიანი მიზანი: ბავშვი გადავა ერთსაფეხურიანი ვერბალური მითითების შესრულებიდან სამსაფეხურიანი ვერბალური მითითების შესრულებაზე დამოუკიდებლად, მცდელობათა 100 პროცენტში, რათა ყოველდღიური რუტინული ფუნქციონირებისას თანმიმდევრობისა და მეხსიერების უნარები გაიუმჯობესოს.

- *მოკლევადიანი მიზანი: • ბავშვი შეასრულებს ორსაფეხურიან მითითებას შესაბამისი ბარათების გამოყენებით - აიღოს სათამაშოები და მოათავსოს შესაბამის ყუთებში, ორი ვერბალური მითითებით, 2/3 შემთხვევაში.*
- *ბავშვი მიყვება სამსაფეხურიან ვერბალურ ინსტრუქციას, შეაგროვოს, დაახარისხოს და ყუთში ჩაყაროს სარეცხი, ერთი ვერბალური მითითებით, 3/3 შემთხვევაში.*

ინდივიდუალიზაცია:

ინდივიდუალური მიდგომის და კურიკულუმის ინდივიდუალიზაციის საფუძველი თითოეული ბავშვის განსხვავებულობაა. კურიკულუმის ინდივიდუალიზაცია, მეტი წარმატების მისაღწევად, არსებულ აქტივობებში ცვლილებების შეტანა და მოდიფიკაციაა. ცვლილებებში იგულისმხება მასალის, აქტივობების შეცვლა, ასევე დახმარების გზების დაგეგმვა. ინდივიდუალიზაციის დროს აღმზრდელი აღარ ფიქრობს აქტივობებზე ყველა ბავშვისთვის, არამედ- ამ აქტივობების ფარგლებში- ფიქრობს თოთოეულ ბავშვზე (გ. გრონლუნდი, 2015).

ინდივიდუალური ცვლილებების განხორციელება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც აღმზრდელი კარგად იცნობს ბავშვებს. სხვა შემთხვევაში გაუჭირდება აქტივობების დაგეგმვა ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და საჭიროებების შესაბამისად. გრონლუნდი გამოყოფს 10 მნიშვნელოვან საკითხს ბავშვთან დაკავშირებით, რომელთა შესახებაც აღმზრდელი ინფორმაციას უნდა ფლობდეს. ესენია:

1. კულტურა
2. ცხოვრებისეული გამოცდილება
3. ოჯახი
4. განვითარების ძლიერი მხარეები (მაგ. ნატიფი მოტორიკა)
5. განვითარებადი სფეროები (მაგ. მეტყველება)
6. ფიზიკური საჭიროებები და ჯანმრთელობის საკითხები (მაგ. ასთმური შეტევები აქვს)
7. ემოციური მდგომარეობა (მაგ. მშვიდი ბავშვია)
8. სწავლის მიმართ მიდგომები და პასუხები გამოწვევებზე (მაგ. უყვარს სიახლეების სწავლა)
9. ინტერესები (მაგ. უყვარს მშენებლობა)

ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი

10. სწავლის სტილი (მაგ. უსმენს, აკვირდება და შემდეგ ცდილობს გააკეთოს) (გ. გრონლუნდი, 2015)[18]

ინდივიდუალიზაცია ჭირდება ყველა ბავშვს, ვინც თავისებურად სწავლობს და აღიქვამს, ვისაც საკუთარი ქცევისა და გრძნობების რეგულირება უჭირს, ვისაც საკუთარი თავის გამოხატვა მოძრაობით ურჩევნია, ვინც განსხვავებული ენობრივი და რელიგიური ოჯახის წარმომადგენელია, ვინც განსაკურებით მორცხვი და მორიდებულია, ვინც საკმარის სიყვარულს ვერ იღებს, ვისაც განსაკუთრებით ბევრი ინფორმაცია ჭირდება ინტერესების დასაკმაყოფილებ-

18 გ. გრონლუნდი (2016). დაგეგმვა თამაშის, დაკვირვებისა და სწავლისთვის. რედ ლიფ პრესი.

ლად და ა.შ. შესაძლოა, ინდივიდუალური გეგმა ყველა ბავშვის შემთხვევაში არ დაიწეროს, მაგრამ ინდივიდუალიზაცია, ცხადია, საჭიროა იმ ბავშვებისთვისაც, ვისაც ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმა აქვთ და ზოგიერთი იმათგანისთვისაც, ვისაც ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმა არა აქვს. ინდივიდუალუზაციის პრინციპების კიდევ ერთხელ გასააზრებლად, გადაიკითხეთ უნივერსალური დიზაინის ქვეთავი.

მნიშვნელოვანია, აღმზრდელმა იცოდეს დღის გეგმაში ინდივიდუალიზაციის შეტანის სხვადასხვა პრინციპები, შემდეგ კი მისთვის ყველაზე მოსახერხებელი გამოიყენოს. ინდივიდუალიზაციას წერს და ახორციელებს აღმზრდელი. სპეციალური განათლების პედაგოგი ეხმარება აღმზრდელს, რომ მან კონკრეტული ბავშვის ინდივიდუალურ გეგმაში დასახული მიზნის მიღწევის სტრატეგიები ინდივიდუალიზაციაში გაიაზროს და გაწეროს. შემდეგ ასევე ეხმარება (და არა მის მაგივრად ასრულებს) ამ სტრატეგიების განხორციელებაში. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ აღმზრდელი არა მხოლოდ იმ ბავშვებს ითვალისწინებდეს ინდივიდუალიზაციის გრაფაში, კვირის გეგმების შედგენისას, რომლებსაც ინდივიდუალური გეგმა აქვთ, არამედ იმ ბავშვებსაც, ვისაც გარკვეული მოდიფიცირება და შესაბამისი ყურადღება სჭირდებათ.

კვირის, დღის გეგმები და ინდივიდუალიზაცია აღმზრდელმა მისთვის ხელსაყრელ და ბაღის ადმინისტრაციასთან შეთანხმებული ფორმით უნდა დაწეროს ისე, როგორც ეს მისთვის უფრო მოსახერხებელი და ბუნებრივი იქნება. საჭირო არ არის ბევრი წერა. მთავარია, ინფორმაცია მოკლედ, ფუნქციურად და გამოსადეგად იყოს დალაგებული. ქვემოთ მოცემულია დღის გეგმებში ინდივიდუალიზაციის სხვადასხვაგვარი ნიმუშები:

დილის წრე	**ცხოველები და მათი საცხოვრებელი ადგილები**	**რომელი ცხოველი რომელ კონტინენტზე ცხოვრობს**	**რომელი ცხოველი როგორ კლიმატში ცხოვრობს**	**ცხოველების ნაშიერები**	**რას ჭამენ ცხოველები**
წიგნიერება	ლექსები და ზღაპრები ცხოველებზე, ცხოველებზე წიგნების გაკეთება, წაკითხული მოთხრობის გაცოცხლება ფლანელის დაფაზე				
მეცნიერება სენსორული	არქეოლოგიური გათხრები ქვიშაში, ენციკლოპედია ცხოველებზე				
გარე აქტივობები	მოძრავი თამაშები: ცხოველების სახლების გაკეთება ეზოში, ექსკურსია ზოოპარკში				
ხელოვნება	სხვადასხვა სახატავი მასალით ექსპერიმენტირება ცხოველების საცხოვრებლების გაკეთება, ცხოველების გაკეთება მეორადი მასალისგან (ყუთები, რბილი მავთულები, მოძრავი თვალები) ცხოველების აპლიკაციების გამოჭრა და დაწებება				
დრამატული	დრამატულში შევიტან ცხოველების ნიღბებს				
კუბურები	კუბურებში შევიტან ცხოველების ფიგურებს, ლეგოს ფერმის დეტალებს და სხვა ბუნებრივ მასალებს				
სამაგიდო	ცხოველების ლოტო, ცხოველების თავსატეხი				
საღამოს წრე	დღის აქტივობებზე შთაბეჭდილებების გაზიარება				
ტრანზიცია	ტრანზიციის სიმღერის დასწავლა				
სტრატეგიები	მაგალითის მიცემით, წავახალისებ ბავშვებს, დაასახელონ ემოციები დრამატულში გავიმეორებთ ბრაზის მართვის ტექნიკას				
მასალები					

ნიმუში 1. კვირის გეგმა:

ერთი დღის გეგმა კვირის გეგმის საფუძველზე:

ცენტრი	აქტივობა და მასალა	მიზანი	სტრატეგია	ლექსიკური მარაგი
დილის წრე	ფანელის დაფაზე ცხოველები და მათი საცხოვრებლი ადგილების სურათებია გამოკრული. ვისაუბრებთ ვინ სად ცხოვრობს, ვის რა ცხოველი ყავს სახლში. საყვარელი ცხოველები რითი განსხვავდებიან ერთმანეთისგან, რითი არიან მსგავსები	ინტერესის გაღვივება თემის გაცნობა, საუბრის სწავლება	ღია კითხვები, წავახალისებ ერთამნეთის მოსმენას და საუბარს	
მეცნიერება სენსორული	არქეოლოგიური გათხრები ქვიშაში	კვლევა. ცხრილის გამოყენება/ჩანაწერების წარმოება, დათვლა. ჯგუფური მუშაობის ხელშეწყობა		
წიგნიერება	წავუკითხავ	ინტერესის გაღვივება, ლექსიკური მარაგის განვითარება, სხვისი პერსპექტივის გაგება	დავუსვამ კითხვებს გმირების განცდებზე და ფიქრებზე	
ეზო	ცხოველებისთვის სახლების გაკეთება	გუნდური მუშაობის ხელშეწყობა, პრობლემის გადაჭრა, კრეატულობა	მასალებს მივცემ და მივაწოდებ საწყის იდეას. ვთხოვ, დამეხმარონ პრობლემის გადაჭრაში	
ხელოვნება	თავისუფალი ხატვა	სხვადასხვა სახატავი მასალის გამოყენება. ნატიფი მოტორიკა, თვალისა და ხელის კოორდინაცია	მივცემ სხვადასხვა სახის ფურცელს და სახატავ საშუალებებს, ვესაუბრები მათ ნახატზე	
სამაგიდო	თავსატეხების აწყობა	ნატიფი მოტორიკა, პრობლემის გადაჭრა		
ინდივიდუალიზაცია მაგალითი 1	დიდი ჯგუფური აქტივობებისას, გვერდით დავისვამ, რომ თვითკონტროლში დავეხმარო. ყურადებით ვიქნები, როდის მოუნდება ბავშვებთან თამაშის დაწყება, რომ მოდელირება გავუკეთო, როგორ ჩაერთოს თამაშში არქეოლოგიური აქტივობის დროს. ნიკასთან დავაწყვილებ. ცხრილის წარმოებაში უფროსს დავახმარებ. დღის ბოლოს მასთან ერთად შევაჯამებ, რაში იყო წარმატებული (თვითკონტროლი, მეგობართან გაზიარება), დავწერთ პატარა ფურცელზე და გავატან სახლში			
ინდივიდუალიზაცია მაგალითი 2	მივყვები მის ინტერესებს. სამეცნიერო აქტივობებისას გავურთულებ მათემატიკურ წარმოდგენებთან დაკავშირებულ აქტივობებს. სამაგიდო აქტივობებისას მივცემ უფრო რთულ თავსატეხებს. ინდივიდუალიზაცია			
ინდივიდუალიზაცია მაგალითი 3	მივცემ ორსაფეხურიან ინსტრუქციებს და დავეხმარები თანმიმდევრულ შესრულებაში. ხელოვნების ცენტრში სხვადასხვა სახატავ მასალებს შევთავაზებ, რომ უფრო დაინტერესდეს მუშაობით. გავამხნევებ და გავახმოვანებ მის და სხვა ბავშვების გაკეთებულს. სხვადასხვა აქტივობების დროს დავათვლევინებ სათამაშოებს, მასალებს, ჭურჭელს. დავეხმარები სამაგიდო აქტივობის დროს თავსატეხის აწყობაში			
ინდივიდუალიზაცია მაგალითი 4	მშობლიურ ენაზე ვუთარგმნი ინსტრუქციებს. დავეხმარები ბავშვებთან კომუნიკაციაში წიგნიერების ცენტრში დავდებ მასალებს მის მშობლიურ ენაზე, მასთან საკომუნიკაციოდ ბავშვებს ვასწავლი მარტივ და ძირითად სიტყვებს. მოსვლისას მეტ ყურადღებას დავუთმობ. ვესაუბრები და წავახალისებ, გამიზიაროს შთაბეჭდილებები			
ინდივიდუალიზაცია მაგალითი 5	შევახსენებ, აქტივობის დასრულებისას მიალაგოს ნივთები. მეტ დროს მივცემ მითითებების შესასრულებლად, დაველოდები და მერე მივცემ შემდეგ ინსტრუქციას. მუსიკის დროს, წავახალისებ, მუსიკის რიტმზე იმოძრაოს			

ნიმუში 2. შედგენილია სამი ბავშვისთვის

ჯგუფი: 3-4 წწ. თემა: ბაზარი და მარკეტი თარიღი: 20.10.2017	**დილის წრე**	**აქტივობები ცენტრებში/თავისუფალი არჩევანი**	**კვება და ჰიგიენა**	**წიგნის დრო**	**სამაგიდო თამაშები**	**მუსიკა და მოძრაობა**	**საღამოს წრე**
აქტივობა	ვსაუბრობთ თემაზე, სად ვყიდულობთ პროდუქტებს	როლური თამაში: „ბაზარში“ ბაზრის დახლების აშენება		წიგნების კუთხეში დევს მაღაზიებისა და ბაზრების სხვადასხვა ფოტოები, რომლის დათვალიერების და ამ თემაზე საუბრის საშუალება აქვთ ბავშვებს	ლოტოს თამაში, გაფერადება, ხილისა და ბოსტნეულის გამოძერწვა	ეზოში თამაში	დღის შეჯამება
რესურსი	ცოცხალი ხილი, ბოსტნეული, ბაზრის ფოტოები, მათ შორის სტამბულის ბაზრის ფოტოები	ხილი და ბოსტნეული, პლასტელინი, კუბურები		შესაბამისი ფოტოები და ჟურნალები	ლოტო, ფურცლები/ფანქრები	CD, სიმღერა ხილზე	
ინდივიდუალიზაცია		გიორგისთან ერთად ვირგებ მაღაზიის მომმარაგებლის როლს და ერთად დავდივართ „მანქანით“		წინასწარ ვთხოვ დედას, გიორგისთან ერთად მაღაზიაში სურათები გადაიღოს, გამოატანოს და შემდეგ ერთად დავათვალიერებთ	ჩემი მცირედი დახმარებით ერთვება ლოტოს თამაშში		
	თანაშემწე ეთამაშებას ლუკას.ის მის დილის რუტინულ აქტივობაშია ჩართული	ყურადღების გამახვილება კონფლიქტის პრევენციისათვის	ლუკას დამოუკიდებელი კვების წახალისება/ტუალეტში გაყვანა შეთანხმებული მინიშნებით	ინდივიდუალური ან მცირე ჯგუფში მუშაობა ლუკასთან (ფსიქ, ლოგ ან სპეც)		ვარ ლუკასთან ახლოს და ვცდილობ, ჩავაბა იმიტაციურ მოძრაობებში	
	ვეხმარები ზამირას, ბავშვებს სტამბოლის ბაზრის ფოტოები დაათვალიერებინოს და ერთად ვუხსნით, რომ ეს ზამირას სამშობლოს კოლორიტული ბაზარია					საღამოს წრეზე ბავშვებს, ზამირასთან ერთად, კიდევ ერთხელ ვახსენებ, როგორი ჭრელი, დიდი და საინტერესოა სტამბოლის ბაზარი	

ნიმუში 3. შედგენილია ერთი ბავშვის მაგალითზე, საკმაოდ დეტალური და შესაძლოა, ყოველდღიურად ან ყოველკვირეულად, აღმზრდელ-პედაგოგებს ასე დეტალურად დაწერა არ სჭირდებოდეთ, მაგრამ ეს ნიმუში კარგია პროცესის გასაზრებლებლად.

თემა: უსაფრთხოება ჯგუფი: 4 – 5 წლიანები თარიღი: 20. 04. 2017

დრო	განრიგი	რესურსი	აქტივობები	ბავშვთა რაოდენობა	მასწავლებლის როლი	ინდივიდუალიზაცია
9:00	ბავშვების მიღება	ჯგუფის მასალა; უსაფრთხოების წესების ფოტოები	ბავშვები სასურველ ცენტრში სასურველი მასალით თამაშობენ	36	მისალმება, დაკვირვება.	გიორგის ვთავაზობ რამდენიმე აქტივობის ბარათს, აირჩიოს რომელ ცენტრში სურს თამაში.
10:00	საუზმე		ბავშვები მიირმევენ საუზმეს	36	საუბრის წახალისება ჭამის დროს უსაფრთხოების დაცვის წესებზე	საუზმემდე 5 წუთით ადრე გიორგის ვაჩვენებ საუზმის ამსახველ ბარათს და ვეუბნები: „გიორგი მალე საუზმის დროა“
10:30	დილის წრე	შუქნიშანი,რამდენიმე ფარნიანი სანთებელა, ფოტოები უსაფრთხოების წესებით	ბავშვებთან უსაფრთხოების წესებზე საუბრის წარმართვა	36	კითხვების დასმა, საუბრის წახალისება	საუბრის პროცესში გიორგის ვაძლევ მანათობელ ჯოხს, ასევე შუქნიშანზე საუბრისას სწრაფად ვანთებ სხვადასხვა შუქს, რომ გიორგის ციმციმის ეფექტი შევუქმნა და ყურადღება მივიქციო.
10:45 ცენტრებში თამაში		ჯგუფში არსებული მასალა	კონსტრუქციული - ბავშვების ინიცირებული თამაში	8	დაკვირვება, საჭიროების შემთხვევაში იდეების გენერირებაში დახმარება [აღმზრდელი]	გიორგის ვთხოვთ, სასურველ ცენტრში თამაშისთვის აირჩიოს შესაბამის ცენტრში ჩამოკიდებული ბარათი.
		ქვიშა, კენჭები, პატარა ზომის მანქანები და სხვადასხვა ნივთები	სენსორული - ქვიშიან და კენჭებიან გზებზე ატარებენ მანქანებს, პოულობენ უსაფრხო და საფრთხის შემცველ ნივთებს და ასახელებენ	4	ბავშვების მოქმედებების და ნივთების გახმოვანება. დისკუსიისა და არავერბალური კომუნიკაციის ხელშეწყობა [სპეც. პედაგოგი/ აღმზრდელი]	გიორგის მოქმედებების იმიტაცია
		სხვადასხვა საგნების ფოტოები	სამაგიდო - ბავშვები ახარისხებენ უსაფრთხო და საფრთხის შემცველ საგნებს	6	დისკუსიის წარმართვა „რატომ არის უსაფრთხო; საფრთხის შემცველი? „რა უსაფრთხოების წესები დავიცვათ მისი გამოყენებისას?“ [აღმზრდელი]	გასაფერადებელი მასალის შეთავაზება/ მასთან ახლოს გაფერადებას დავიწყებ
		დანართი, სუფთა ფურცლები, ფანქრები	ხელოვნება - გააფერადონ უსაფრთხოების წესებზე დანართები, ან ხატონ, მაგ. შუქნიშანი	8	დაკვირვება, საჭიროების შემთხვევაში იდეების შეთავაზება [თანაშემწე]	ბარათების დათვალიერების შეთავაზება.დაინტერესების შემთხვევაში, გამოსახულ ნივთებს ვასახელებ
		ჯგუფში არსებული მასალები	დრამატული - ბავშვების ინიცირებული თამაში	5	დაკვირვება, თამაშში ჩართვა უსაფრთხოების წესების დაცვაზე ყურადღების გამახვილების მიზნით [აღმზრდელი]	
		ფოტოები უსაფრთხოების წესებზე	წიგნიერება - უსაფრთხოების წესების დაცვის ფოტოების დათვალიერება და თითოეულის მნიშვნელობაზე საუბარი	5	კითხვების დასმა, დიალოგისა და დისკუსიის წახალისება [თანაშემწე/ლოგოპედი]	

12,30	ეზო	ბავშვები ეზოში უსაფრთხოების თვის საჭირო ნივთებს ირჩევენ	სასურველ თამაშებს ჯგუფიდან წამოღებული, თუ ეზოში არსებული, მასალით მცირე ჯგუფებში თამაშობენ	36	დაკვირვება, პრობლემურ სიტუაციაში გამოსავლის პოვნაში დახმარება	ეზოში გასვლამდე 2-3 წუთით ადრე ვიზუალურ განრიგზე გამოსახულ ეზოს ფოტოზე ვანიშნებ.
13,30	სადილი		სადილობა	36	კვების უნარ-ჩვევების მოდელირება, უსაფრთხო საკვებზე დისკუსიის ხელშეწყობა	გიორგის ვანიშნებთ, დამატებითი პურის ნაჭრის მოთხოვნისთვის შესაბამისი ბარათი გამოიყენოს. [აღმზრდელი/სპეც. პედაგოგი]
14,00	ცენტრებში თამაში	ჯგუფში არსებული მასალა	ბავშვები ირჩევენ სასურველ მასალას- სასურველ ცენტრში სათამაშოდ	მცირე ჯგუფებში თამაში	დაკვირვება, იდეების გენერირება, დისკუსიის ხელშეწყობა	გიორგის ვანიშნებ, სასურველ ცენტრში თამაშისთვის შესაბამისი ბარათი აირჩიოს [აღმზრდელი]
15,30	მუსიკა და მოძრაობა	სხვადასხვა მუსიკალური საკრავი (დოლი)	ბავშვები ირჩევენ დარბაზში სასურველ თამაშს: მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დაკვრა; ლახტის თამაში; საგზაო ბილიკების დახაზვა და უსაფრთხოებს წესების დაცვით სიარული	მცირე ჯგუფებში თამაში	მოდელირება, დაკვირვება	დარბაზში გასვლამდე 2-3 წუთით ადრე ვაჩენებ დარბაზში არსებული დოლის ფოტოს. გიორგის სასურველი მასალის მოთხოვნისთვის შესაბამისი ბარათების გამოყენებაზე მივანიშნებ (დოლი; ჩხარუნა ბოთლები) [აღმზრდელი]
16.00	სამხარი		მიირთმევენ სამხარს	36	მოდელირება, უსაფრთხო საკვებზე დისკუსიის ხელშეწყობა	სამხრის წინ ვაჩვენებ კვების ამსახველ ფოტოს
16.30	საღამოს წრე	ლობიოს კონტეინერი	დისკუსიის წარმართვა - რომელი უსაფრთხოების წესების შესახებ გაიგეს	36	კითხვების დასმა, საუბრის წახალისება	გიორგისთან ახლოს ვათავსებ ლობიოს კონტეინერს. სურვილის შემთხვევაში, თამაშის საშუალება აქვს. ბავშვებთან პარალელურად ვსაუბრობთ, რა უსაფრთხოების წესების დაცვას ვურჩევდით გიორგის, ლობიოთი თამაშის დროს
16.45	ეზო/გაცილება	ჯ გ უ ფ ი დ ა ნ მოაქვთ სასურველი მასალა	სურვილისამებრ თამაშობენ მცირე ჯგუფებში ან ინდივიდუალურად	36	დაკვირვება, თამაშის იდეების შეთავაზება	ეზოში გასვლის წინ ვაჩვენებ ეზოს ფოტოს

ნიმუში 4. ინდივიდუალიზაციის კიდევ ერთი ნიმუში, 5-6 წლიანი ჯგუფისათვის

ჯგუფი: 5-6წწ.

თემა: მოძრაობის წესები

თარიღი: 20.10.2017

	დილის წრე	კვლევა და აღმოჩენები	წიგნის დრო	საქმიანობა მცირე ჯგუფებში	მუსიკა და მოძრაობა	საღამოს წრე
აქტივობა	ბავშვები ყვებიან, ვინ რა იცის ქუჩაზე გადასვლის წესებზე. უსაფრთხოების წესების გამეორება და ერთმანეთის გაფრთხილებისა და გათვალისწინების მნიშვნელობა	სამაგიდო თამაშები; გაფერადება და ლოტო ტრანსპორტის თემატიკაზე. ტრანსპორტთან დაკავშირებული ლექსიკის გამდიდრება.	წიგნების დათვალიერება შუქნიშნებსა და ტრანსპორტზე		ეზოში ვხაზავთ მოძრაობის წესებს და ვთამაშობთ შუქნიშნობანას	გადასასვლელზე გადასვლის წესების შეჯამება
რესურსი		შუქნიშნის ფერის აღმნიშვნელი მუყაოს ქაღალდები; სათამაშო მანქანები და ავტობუსები	შესაბამისი თემის წიგნები და პლაკატები		ფერადი ცარცი	
ინდივიდუალიზაცია	მარის კიდევ ერთხელ ვეუბნები, როგორ შეეშინდება დედას, თუ ქუჩაში უცებ გაექცევა			ყურადღებით ვარ, რომ მარის, საჭიროების მიხედვით თამაშში, ჩართულობაში დავეხმარო	მარის ვაძლევ სასტვენს და ვანიშნებ, როდის უნდა ჩაბეროს	მარისთან ერთად ბავშვებს ვეთამაშები „გავიხედოთ მარცხნივ, გავიხედოთ მარჯვნივ“

ნიმუში 5. ინდივიდუალიზაციის კიდევ ერთი განსხვავებული ნიმუში

ასაკობრივი ჯგუფი - 4-5 წლიანი

თემა - მე და ჩემი ოჯახი

ქვეთემა - ოჯახის წევრები

მიზანი - ოჯახის წევრებთან ურთიერთობის მაგალითზე, ისწავლოს ბავშვებთან კონფლიქტის გარეშე ურთიერთობა (ოჯახის დახმარებით)

თარიღი - 20.07.2017

დილის წრე: წინასწარ ვთხოვთ მშობლებს, მოიტანონ ოჯახის წევრების სურათები, ესაუბრებით ბავშვებს ოჯახის შესახებ, ბავშვებს ვთხოვთ, აღწერონ, რა არის ოჯახი, ყვებიან თავიანთი ოჯახების შესახებ (გიორგის მშობელს ვიწვევთ დილის წრეზე და ვთხოვთ, ისაუბროს ოჯახის წევრების შესახებ გიორგისთან ერთად. მშობელს ვთხოვთ, საუბრის დროს აქცენტი გააკეთოს ურთიერთობებისა და თავაზიანი მიდგომის მნიშვნელობაზე).

საღამოს წრე: ვეკითხებით, რა გაიგეს ახალი ოჯახის შესახებ, რომელი აქტივობა მოეწონათ ყველაზე მეტად და რის გაკეთება სურდათ და ვერ მოახერხეს, მათი აზრით, რამ შეუშალა ხელი

ცენტრი/აქტივობა	ინდივიდუალიზება	მოსაღწევი შედეგი
წიგნიერება: წიგნიერების დანართიდან (გვ. 220) ვუკითხავ მოთხრობას ,,დედა, მამა, რვა ბავშვი და საბარგო მანქანა." ვეკითხები, რით დაეხმარნენ პატარები მშობლებს? რატომ იყო მათი ოჯახისათვის ასე მნიშვნელოვანი საბარგო მანქანა? *რესურსი:* ილუსტრირებული წიგნი „დედა, მამა, რვა ბავშვი და საბარგო მანქანა."	ვაძლევ თემასთან დაკავშირებულ ილუსტრირებულ წიგნს დასათვალიერებლად ასრულებს ერთსაფეხურიან ინსტრუქციას ჩემი დახმარებით	მოსმენა და ზეპირი მეტყველება
სამაგიდო: ვათამაშებ ოჯახის წევრების ლოტოს *რესურსი:* ოჯახის წევრების ილუსტრირებული ლოტო	ჯგუფის ბავშვებთან ერთად ვეხმარები ლოტოდან ოჯახის წევრების შერჩევასა და დახარისხებაში	კანონზომიერებების დადგენა
მეცნიერება: პატარა ზომის პლასტმასის კონტეინერებში დავათესინოთ ყვავილის თესლი (სახლში წასაღებად) *რესურსი:* პატარა ზომის პლასტმასის კონტეინერები, ყვავილის თესლი, მიწა, წყალი, პატარა ნიჩაბი, სარწყავი	ვეხმარები კონტეინერში პატარა ნიჩბის გამოყენებით მიწის გაფხვიერებასა და ყვავილის დათესვაში	
კონსტრუქციული: ბავშვებს კუბურებით ვაშენებინებ დიდ და პატარა სახლებს *რესურსი:* სხვადასხვა ზომისა და ფერის კუბები და ავტომანქანები	ვაძლევ ერთსაფეხურიან ინსტრუქციას დავალებასთან დაკავშირებით და ვაკვირდები, როგორ ერთვება აქტივობაში ბავშვებთან ერთად	შემოქმედებითობა და გამომგონებლობა
ეზო: ქვიშისა და ბუნებრივი მასალის გამოყენებით ვაშენებინებ სახლებს, ვაწყობინებ პიკნიკს *რესურსი*: ქვიშა, ბოთლები, წყალი, ნაყინის ჯოხები, ბუნებრივი რესურსები, კარავი, მაგნიტოფონი, მშრალი საკვები	ხელს ვუწყობ ჩაერთოს სახლების აშენებაში სატვირთო მანქანების გამოყენებით	
ხელოვნება: ბავშვებს ვთხოვ, დახატონ ოჯახის წევრები. ვამზადებინებ სურათის ჩარჩოებს ფერადი ქაღალდისა და ბუნებრივი მასალის გამოყენებით *რესურსი:* გუაში, ხელის საღებავები, ფერადი ფანქრები, ფლომასტერები, სახატავი ფურცლები, ფერადი ფურცლები, წებო, ფუნჯი	ვაძლევ ინსტრუქციას და ვეხმარები ნახატის შესრულებასა და სურათის ჩარჩოს დამზადებაში	ნატიფი მოტორიკა, თვალისა და ხელის კოორდინაცია, ინიციატივა და დამოუკიდებლობა

მუსიკა და მოძრაობა: ვამღერებ და ვათამაშებ თამაშს ,,ხაჭაპურო ხაჭაპურო“ (მუსიკის ჩანაწერის გამოყენებით) *<u>რესურსი:</u>* მაგნიტოფონი, მუსიკის ჩანაწერი	ვრთავ თამაშში ბავშვებთან ერთად	შემოქმედებითი თვითგამოხატვა
სენსორული/კულინარია: ოჯახის ყველაზე პატარა წევრის დაბადების დღისთვის მოვამზადოთ ტორტი ცომის გამოყენებით (მშობლების დახმარებით) *<u>რესურსი</u>*: ცომი, ბუნებრივი მასალები ტორტის გასაფორმებლად	ვთხოვ, დაგვეხმაროს ტორტის გაფორმებაში	სენსორულ-მოტორული განვითრება, სოციალურ-ემოციური უნარების განვითრება
დრამატული: ვათამაშებ სახლობანას ოჯახების წევრების როლების განაწილებითა და ფორმების გამოყენებით *<u>რესურსი</u>*: ნიღბები და ფორმები	ვაძლევ საშუალებას, შეარჩიოს და მოირგოს მისთვის სასურველი ფორმა და როლი და ჩაერთოს თამაშში	აზრის გამოხატვა და რეალობასთან კავშირი

ბავშვის ქცევა და უფროსები

ბავშვის ქცევას, როგორც წესი, მისი სოციალურ-ემოციური კომპეტენციებისა და ინტელექტის გარდა, დიდწილად მის გარშემო არსებული ფაქტორები, გარემო და ადამიანები განაპირობებენ.

იმისათვის, რომ ბავშვის ქცევა პოზიტიური და მისაღების იყოს, მის გარშემო უფროსებს უნდა ესმოდეთ, რომ, პირველ რიგში, ქცევის მაგალითები თავად არიან, რომ ბავშვების ამა თუ იმ ქცევის მიზეზი სხვადასხვა განმაპირობებლებით შეიძლება იყოს გამოწვეული და არა უბრალოდ ბავშვის სურვილით „მოიქცეს ჯინაზე“, როგორც ამას ბევრი უფროსი გრძნობს და ამბობს ხოლმე.

სანამ რომელიმე ქცევის გაქრობას ან ჩანაცვლებას მოვინდომებთ, უნდა დავფიქრდეთ, რა არის ამ ქცევის გამომწვევი მიზეზი, რას მოუტანს ამ ქცევის ჩანაცვლება ბავშვს, რას მოგვიტანს ამ ქცევის ჩანაცვლება ჩვენ. იქნებ ბავშვის გარკვეულ ქცევას – მაგალითად, გაიქცეს ჯგუფიდან, ის განაპირობებს, რომ, მისი განვითარების დონის შესაბამისად, გასაგებად ვერ აუხსნეს, როდის მოვა სახლში წასვლის დრო? ან იქნებ ნახევარი საათი ერთ ადგილას ჯდომა და რაიმეს მოსმენა იმიტომ არ შეუძლია, რომ მოძრაობის მიმართ ქვემგრძნობიარეა და მოძრაობა მისი სხეულის მოთხოვნილებაა? იქნებ მეგობარს სათამაშო იმიტომ წაართვა, რომ მისთვის ჯერის დაცვა, გაზიარება ან თხოვნა ჯერ არავის უსწავლებია?

ზოგჯერ ბავშვის ქცევას შესაძლოა განაპირობებდეს განცდა, რომ ის არასაკმარისად უყვართ და აფასებენ. ხან ამ ქცევის მიზეზი სენსორული არხებიდან შემოსული ინფორმაციების სორტირების სირთულეა, რასაც მის გარშემო მყოფები ნაკლებად ითვალისწინებენ. ქცევის მიზეზი შესაძლებელია, ბავშვისთვის კონტექსტის გააზრების და ყურადღების გაზიარების სირთულეში მდგომარეობდეს. ყველა შემთხვევაში, უფროსები უნდა დაეხმარონ ბავშვებს გარშემო არსებულ გარემოსთან ინტეგრირებაში და ემოციური რეგულირების სწავლაში.

ბავშვს თუ შია, თამაშსა და სწავლას გულს ვერ დაუდებს. მისი უპირველესი საფიქრალი საჭმელი იქნება. შეშინებული და დაუცველი ბავშვი მეგობრების გაჩენისა და კუბებისაგან ციხესიმაგრეების შენების ინტერესს ნაკლებად გამოიჩენს. ბავშვი, რომელიც გრძნობს, რომ არ უყვართ, დამოუკიდებელი და თავდაჯერებული ვერ იქნება. ფაქტობრივად, ძალიან პატარა ასაკის ბავშვი ყველაფერს აკეთებს თავისი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. არა აქვს მნიშვნელობა, რამდენად გამაღიზიანებელი ან უკულტურო მოეჩვენებათ მისი ქცევა უფროსებს, რადგან მას ჯერ კიდევ არა აქვს განვითარებული იმპულსების დათრგუნვის უნარი. მხოლოდ

ძირითადი ემოციური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შემდეგ ხდებიან ბავშვები უფრო მშვიდები, ურთიერთობის მოყვარულები და გულმოდგინენი.

ბავშვებში დისფუნქციური ქცევის განმეორების ფარული მიზეზი დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილებებია. კარგად რომ მოიქცნენ, ბავშვებს უნდა ჰქონდეთ საკუთარი თავის ძლიერი რწმენა.

ბავშვებში საკუთარი თავის „დაფასების“ აღქმა იმ „დაფასების“ გრძნობას ასახავს, რასაც მისთვის მნიშვნელოვანი ადამიანი გრძნობს მის მიმართ (Coopersmith, 1967; Randy, Hoover & Kindsvatter, 1997; Roberts, 1997). თუ მშობლები და აღმზრდელები მიიჩნევენ, რომ ბავშვი საყვარელი, ნიჭიერი და ღირსეულია, მაშინ იგი, სავარაუდოდ, საკუთარ თავში დარწმუნებული იქნება. ბავშვებს საკუთარი თავის რწმენა დაბადებიდან უვითარდებათ, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა მზრუნველი აღმზრდელები მათ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებენ; როცა ისინი გრძნობენ, რომ დაცულები და საყვარლები არიან და როცა მათ მუდამ პატივისცემით ეპყრობიან (დასჯის დროსაც კი).

ხშირად უფროსებსაც ახასიათებთ ისეთი არასათანადო ქცევა, რის გამოსწორებასაც ბავშვებში ცდილობენ. სიტყვიერი შეურაცხყოფა, ყვირილი, სარკაზმი, დაცინვა და ხელის კვრა – უფროსებისთვის დამახასიათებელი ცუდი ქცევებია.

ბავშვებთან, რომლებსაც ცუდი ქცევა ჩვევად ექცათ, წარმატების გასაღები უფროსის დაჟინებული მცდელობაა, ბავშვის საქციელი მისთვის უფრო მისაღებ დონეზე აიყვანოს და არა ის, რომ უფლება მისცეს ბავშვს, უფროსი თავად დაიყვანოს მოუმწიფებელ და შეუფერებელ ურთიერთობამდე, რაზეც რჩევის მიცემა ადვილია, მაგრამ პრაქტიკაში გატარება – რთული.

კონფლიქტის გადაწყვეტა[19]

პირველი ნაბიჯი – ყურადღებით მოუსმინეთ, რომ გაიგოთ, რას გრძნობს ბავშვი.

მასწავლებელი: „მანო, იმიტომ გაბრაზდი, რომ ანამ შენს საქანელას ხელი ჰკრა?“

მანო: „დიახ, საქანელას ხელს ჰკრავს და თავს არ მანებებს“.

მეორე ნაბიჯი – იფიქრეთ და აფიქრეთ ბავშვები პრობლემის შესაძლო გადაჭრის გზებზე.

მასწავლებელი: „რა შეგიძლია გააკეთო სიტუაციის გამოსასწორებლად?“

მანო: „ გავექცევი“.

მესამე ნაბიჯი – შეაფასეთ მიღებული გადაწყვეტილების მოსალოდნელი შედეგები.

მასწავლებელი: „როგორ ფიქრობ, ეს გიშველის?“

მანო: „არა მგონია, გამომედევნება“.

მასწავლებელი: „ჰმ... იქნებ ჰკითხო ანას, რატომ გაწუხებს?“

მეოთხე ნაბიჯი – ამოარჩიეთ საუკეთესო გადაწყვეტილება.

მანო: „ვკითხავ, მაგრამ რომ არ მომისმინოს?“

მასწავლებელი: „გინდა, შენთან ერთად წამოვიდე?“

მანო: „დიახ“.

მეხუთე ნაბიჯი – განახორციელეთ გადაწყვეტილება.

მანო: „რატომ მექცევი ასე ცუდად და რატომ მაბრაზებ?“

ანა: „იმიტომ, რომ არ მეთამაშები. სულ ქანაობ, მე კი აღარ მინდა ქანაობა“.

მანო: „მე არ მინდა სილაში თამაში“.

ანა: „მაშინ, მოდი, ვითამაშოთ, ვითომ დინოზავრები ვართ ჯუნგლებში“.

მანო: „კარგი, შეიძლება ამჯერადაც ტირანოზავრი რექსი ვიყო?“

ანა: „რა თქმა უნდა, მე ვიქნები მფრინავი დინოზავრი ბასრი კლანჭებით, კარგი?“

მეექვსე ნაბიჯი – შეაფასეთ, რამდენად მისაღებია გადაწყვეტილება.

19 წიგნიდან: პოზიტიური გაძღოლა. დარლა ფერის მილერი. 2004

მასწავლებელი: „მანო და ანა, მიხარია, რომ ერთად თამაშობთ. უნდა იამაყოთ, რომ თქვენ თვითონ შეძელით ურთიერთობის მოგვარება."

აღსანიშნავია, რომ მასწავლებელმა ფრთხილად უხელმძღვანელა მანოსა და ანას შორის წარმოქმნილი კონფლიქტის მოგვარებას და პრობლემა ბავშვების ნაცვლად თვითონ არ გადაჭრა. გოგონებმა არა მარტო თავად იპოვეს შერიგების გზა, არამედ კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების გამოცდილება მიიღეს და პრაქტიკაში გამოსცადეს კონფლიქტის გადაჭრის შესაბამისი უნარ-ჩვევები.

სენსორული საჭიროებები[20]

იმისათვის, რომ ბავშვმა შეძლოს სწავლა (ლაპარაკი და თამაში), გამოიყენოს თავისი პოტენციალის მაქსიმუმი, შემცირდეს რთული ქცევის გამოვლინებები, საჭიროა დავეხმაროთ ისეთი პრობლემების გადაჭრაში (თუ ბავშვს ამგვარი პრობლემები ახასიათებს), როგორიც არის „სენსორული გადაწვა", ზემგრძნობელობა ან ქვემგრძნობელობა (უფრო ხშირად გამოხატულია აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვებში, თუმცა არა მხოლოდ მათთან).

მხედველობა	შეხება
სმენა	მოძრაობის შეგრძნება
გემო	წონასწორობის შეგრძნება
სუნი	

„სენსორული გადაწვა" ხდება, როდესაც ტვინი ვერ ახერხებს ყველა შემომავალი შეგრძნების დახარისხებას.

ბავშვი შეიძლება ზემგრძნობიარე იყოს რაიმე შეგრძნების მიმართ, ანუ ამ შეგრძნების ოდნავი გაღიზიანებაც საკმარისია, რომ მან დისკომფორტი იგრძნოს. ამ დროს ის თავს არიდებს სტიმულაციას, გამოხატავს შიშს ან შფოთს.

ზოგიერთი შეგრძნების მიმართი კი შეიძლება ქვემგრძნობიარე იყოს, ანუ მას სჭირდება ძალიან ბევრი სტიმული, რომ მასზე რეაგირება მოახდინოს. ამ დროს ბავშვი დაუინტერესებელი ჩანს, უჭირს თქვენთვის ყურადღების მოქცევა. როდესაც ბევრი გამღიზიანებელია, ენერგიულად და უკეთესად გრძნობს თავს, ეძებს სტიმულებს, რომ კარგად იგრძნოს თავი.

ბავშვი შეიძლება ერთდროულად ზემგრძნობიარე და ქვემგრძნობიარე იყოს სხვადასხვა შეგრძნების მიმართ. მის დასახმარებლად გაერკვიეთ მის საჭიროებებში:

მოძრაობა/წონასწორობა

ბავშვი ქვემგრძნობიარეა მოძრაობის მიმართ. ის ავლენს მოძრაობის საჭიროებას...

- სირბილით/რწევით/ბზრიალით
- ავეჯზე ძრომიალით
- ჯდომისას- მოუსვენრობით
- სხვა : ----------

რამდენიმე შემოთავაზება:

- სცადე ისეთი თამაშები, როგორიცაა დაჭერობანა და გასწრობანა
- ხშირად ითამაშოს ეზოს აღჭურვილობით, როგორიცაა საქანელა, სასრიალო და აიწონა-დაიწონა

ბავშვი ზემგრძნობიარეა მოძრაობის მიმართ. ავლენს, რომ მისთვის მოძრაობა არაკომფორტულია...

- ესკალატორზე, აიწონაზე, საქანელაზე ან სასრიალოზე ყოფნისას
- რეაგირებს ძირს გაწოლით

20 წიგნიდან: More then Words, ჰანენის პროგრამა

- o არ მოსწონს მოძრავი თამაშები (ფეხბურთი, კალათბურთი ან ყირამალები)
- o სხვა : ----------

რამდენიმე შემოთავაზება:

- ♦ სცადე, ასწავლე სამაგიდო აქტივობები, რომლის დროსაც წყნარად ჯდომას შეძლებს.
- ♦ დარწმუნდი, რომ ჯდომისას ბავშვის ფეხები იატაკს ებჯინება.

შეხება

ბავშვი ქვემგრძნობიარეა შეხებაზე და ავლენს მის საჭიროებას...

- o უყვარს მაგრად ჩახუტება
- o დაჟინებით ითხოვს, ეცვას მოტკეცილი ტანსაცმელი
- o მოსწონს ხრაშუნა, საღეჭი საკვები
- o ეყრდნობა სხვა ადამიანებს
- o ღეჭავს თავის ტანსაცმელს
- o მოსწონს ძრომიალი ავეჯსა და ადამიანებზე
- o სხვა: ----------

რამდენიმე შემოთავაზება:

- ♦ მაგრად ჩამოართვი ხელი და დღის განმავლობაში მრავალჯერ უთხარი: დაარტყი ხელი!
- ♦ წაუკითხე შეეხე-და-შეიგრძენი წიგნები.
- ♦ მხოლოდ შეხებით გამოიცნოს რა ნივთია.
- ♦ ითამაშეთ ისეთი თამაშები, როგორიცაა გათვლები, ხელის ხელზე დადება, ანუ სადაც ხელის ხელზე დარტყმაა საჭირო.
- ♦ მიეცი საშუალება დღეში რამდენჯერმე დაარტყას კრივის ტომარას.
- ♦ მოიმარაგე პატარა ზომის სათამაშოები: ბურთები, პატარა მანქანები ან ფიგურები . ბავშვს საშუალება მიეცი, სათამაშო მუჭში მოიქციოს და ხელი მაგრად მოუჭიროს.

ბავშვი ავლენს, რომ ზემგრძნობიარეა შეხებაზე...

- o არ მოსწონს ზოგიერთი ტანსაცმლის შეგრძნება/ტექსტურა
- o არ მოსწონს ქუდის და ხელთათმანის ჩაცმა
- o არ მოსწონს თმის დაბანა ან შეჭრა
- o არ მოსწონს სხვებთან ახლოს ჯდომა ან დგომა
- o არ უნდა, რომ თითების საღებავით ხატოს ან ძერწოს
- o სხვა : ----------

რამდენიმე შემოთავაზება:

- ♦ შეურჩიე ფარფატა/განიერი ტანისამოსი და თითებიანი ხელთათმანის მაგივრად შესთავაზე ერთიანი ხელთათმანი. მიეცი საშუალება, ხატოს ფუნჯით ან ძერწოს ხელსაწყოთი.

სმენა

ბავშვი ქვემგრძნობიარეა ხმაზე...

- o ყოველთვის არ პასუხობს მისი სახელის დაძახებაზე
- o თითქოს არ ესმის რას ამბობენ სხვა ადამიანები
- o მოსწონს კონკრეტული მუსიკა და ხმები
- o შუა საუბრიდან ვარდება
- o სხვა: ----------

რამდენიმე შემოთავაზება:

- ♦ გააცოცხლე შენი ხმა საუბრისას, დაეხმარე ბავშვს, ყურადღება მიაქციოს შენს ნათქვამს
- ♦ წაიმღერე ბავშვის ყურადღების მისაქცევად

ბავშვი ზემგრძნობიარეა ხმაურზე....

- o ღიზიანდება ხმაურიან ოთახში ყოფნისას
- o ესმის ყველაზე სუსტი ხმები
- o უნდა მშვიდად, ტკბილად ვესაუბრო (განსაკუთრებით თუ გაღიზიანებულია)
- o არ უნდა რომ ბევრი ვილაპარაკო (განსაკუთრებით თუ გაღიზიანებულია)
- o ღიზიანდება ხმაურზე
- o ყურებზე იფარებს ხელებს, როდესაც კონკრეტული ტიპის ხმა ესმის
- o სხვა : ----------

რამდენიმე შემოთავაზება:

- ♦ ისაუბრე ტკბილად და შეინარჩუნე სიმშვიდე
- ♦ ისაუბრე მოკლე და მარტივი წინადადებების გამოყენებით და არ თქვა ბევრი რამ ერთ-ბაშად
- ♦ იქონიე ყურის სარჭები ხმაურიანი ოთახებისთვის

მხედველობა

ბავშვი ქვემგრძნობიარეა იმის მიმართ, რასაც ხედავს...

- o მოსწონს გასართობი გადაცემები, სადაც კითხვები ვიზუალურად ჩანს
- o მოსწონს ნივთების ჩამწკრივება
- o მოსწონს მოძრავი ნივთების ყურება (მაგალითად ბზრიალა კარები, ფენი)
- o უყვარს თავისი სათამაშოების ყურება, როდესაც თვითონ ძირს წევს
- o სხვა : ----------

რამდენიმე შემოთავაზება:

- ♦ „ინადირეთ“ დამალულ სათამაშოებზე ფანრით
- ♦ მისწერეთ პატარა ჩანაწერები ბავშვს. ჩაუდეთ ჩანთაში ან დაუდეთ ბალიშზე.
- ♦ უყურეთ ვიდეოებს ერთად

ბავშვი ზემგრძნობიარეა იმის მიმართ, რასაც ხედავს...

- o ცდილობს ჩააბნელოს ოთახი
- o არ მოსწონს წიგნებში ნაბეჭდის ყურება
- o თვალებზე იფარებს მზეში
- o სხვა : ----------

რამდენიმე შემოთავაზება:

- ♦ გქონდეს მომარაგებული მზის სათვალეები
- ♦ დაუკელით განათებას

მოტორული დაგეგმარება

ბავშვს შეიძლება აქვს მოტორული დაგეგმარების პრობლემა, თუ ის აკეთებს ამ ჩამონათვა-ლიდან რომელიმეს:

- ⊳ ეჯახება რაღაცეებს და ადამიანებს
- ⊳ მოუხერხებელი ჩანს
- ⊳ თამაშობს სათამაშოებით ერთგვარად

- ⊳ დადის უცნაურად
- ⊳ ერთხელ ითამაშებს რაიმეთი და შემდეგ თავს ანებებს

შემოთავაზებები:

- ⊳ შეეხე ბავშვს, რომ ფიზიკურად შეახსენო, საით მიდის და რას აკეთებს
- ⊳ დაამზადე ვიზუალური მინიშნებები. მაგალითად, თუ ბავშვი სასრიალოზე მხოლოდ ერთხელ ჩამოსრიალდება, სცადე, დაამზადე ნაფეხურები, რომელიც სასრიალოს ბოლოდან სასრიალოს პირველ საფეხურამდე მივა.

შესაბამისად, ყოველთვის ყურადღებით იყავით ბავშვის ინდივიდუალური მახასიათებლების მიმართ და ყოველ აქტივობასთან მიმართებაში დასვით კითხვები, თუ როგორ რეაგირებს და არეგულირებს შემდეგი შეგრძნებების აღქმას. ზემგრძნობიარეა თუ ქვემგრძნობიარე? მოსწონს თუ თავს არიდებს გამოცდილებებს, რომელიც შემდეგ შეგრძნებებს უკავშირდება.

- შეხება
- ხმა
- ვიზუალური
- ყნოსვა
- გემო
- მოძრაობა

ბავშვის უნარი გადაანაწილოს ყურადღება საგანსა და ადამიანზე

იმისათვის, რომ ბავშვი იყოს ჩართული, ამყარებდეს კომუნიკაციას და იჩენდეს კომუნიკაციის ინიციატივას, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია, გვესმოდეს შეუძლია თუ არა ბავშვს ყურადღების გადანაწილება საგანსა და ადამიანს შორის. მაგალითად, როდესაც ბავშვი დაკავებულია რაიმე საგნით - ატრიალებს მანქანის ბორბალს, აკაკუნებს ფანქრით ფურცელზე, უყურებს მზის ათინათებს ოთახში და ა.შ. თუ ამ დროს უფროსი დაელაპარაკება ან მიანიშნებს იმავე საგანზე, შეძლებს ყურადღების ადამიანზე გადატანას ისე, რომ თან საგნის მიმართ ინტერესი შეინარჩუნოს? ყურადღების გაზიარება საგანსა და ადამიანს შორის, რასაც ბავშვების უმრავლესობა თავისთავად და ბუნებრივად სწავლობს ადრეული ასაკიდან, პრობლემური და სირთულის შემცველია ზოგიერთი ბავშვისათვის (განსაკუთრებით დამახასიათებელია აუტიზმის მქონე ბავშვებისათვის). არადა, ეს უნარი გადამწყვეტია სხვებთან კომუნიკაციის დასამყარებლად. შესაბამისად, საბაზისოა ყველა სხვა უნარისა და ქცევისათვის.

ყურადღების გადანაწილების სწავლება შესაძლებელია მხოლოდ იმაზე დაკვირვებით, თუ რა აქტივობა, საგანი მოსწონს და აინტერესებს ბავშვს, რის მიმართაა პოზიტიურად განწყობილი და შემდეგ ამ აქტივობაში შევეწყობით. სანამ შეწყობის სტრატეგიას დაგეგმავთ, არ დაგავიწყდეთ გაიაზროთ ბავშვის სენსორული პროფილი, როგორი ხმით დაველაპარაკოთ? რა რეაქცია ექნება შეხებაზე? და სტრატეგია შესაბამისად დაგეგმეთ. შეწყობის მთავარი პრინციპია, ბავშვთან ერთად, მის პარალელურად აკეთოთ ის, რაც მას მოსწონს და როგორც კი ბავშვი ყურადღებას თქვენზე გადმოიტანს, რაიმე პოზიტიური უკუკავშირი მისცეთ: გაუღიმოთ, რაიმე პოზიტიური უთხრათ და ა.შ. თუ მაგალითად, ბავშვი რაიმეს აგორებს, თქვენც იგივე გააკეთეთ. თუ ბავშვი მიგანიშნებთ, რომ კიდევ გააგოროთ, გააგორეთ, დაელოდეთ მის რეაქციას, რომ ისევ განიშნოთ, უნდა თუ არა, რომ კიდევ გაიმეოროთ. ბავშვთან კომუნიკაციის ამ გზით დამყარება იმის საფუძველია, რომ ნელ-ნელა უფრო მეტი აქტივობის აზრს ისწავლის, გაიგებს, გაუჩნდება ინტერესი და პოზიტიური ემოციური კავშირი, გამოიჩენს კომუნიკაციის ინიციატივას და შეძლებს აქტივობების შესრულებას და ადაპტაციას.

<u>დააკვირდით ბავშვის საპასუხო რეაქციებს:</u>

1. რეგულაცია: შეუძლია თუ არა იყოს მშვიდად და ყურადღებით, თუ თვითრეგულაციის პრობლემები აქვს? რა აქტივობები ეხმარება მას თვითრეგულაციაში და რა უშლის ხელს და იწვევს საპირისპირო რეაქციებს.

2. ჩართულობა: ვისთან აქვს ბავშვს პოზიტიური, უსაფრთხო და ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობა?

3. მიზანმიმართული კომუნიკაცია: რამდენად რთულია თქვენთვის, მშობლებისთვის იმის გაგება, თუ რა უნდა (სურვილის სიგნალი), შეუძლია თუ არა ყურადღების გადანაწილება? რამდენად რთულია ბავშვთან კომუნიკაციის სიმბოლოებით შენარჩუნება, ჟესტებით ან სიტყვებით პრობლემის ერთად გადაჭრა.

სტრესის დროს რისი ჩვენების ტენდენცია აქვს ბავშვს?

- გებრძვის? (აგრესია, დესტრუქციული ოპოზიციური ქცევა)
- რეგულირებული რეაქცია?
- გაქცევის ტენდენცია? (თვითიზოლაცია, ჩაკეტვა).

გაიაზრეთ, რა შეიძლება იყოს სტრესის გამომწვევი მიზეზები?

საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენეთ ქცევაზე დაკვირვებისა და შეფასების კითხვარი (იხ. ქვემოთ).

დანართი

ბავშვის რთული ქცევის განხილვის ფორმა[21]

ბავშვის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, დიაგნოზი (*არსებობის შემთხვევაში*)

შემთხვევაზე პასუხისმგებელი პირი

შემთხვევის განხილვის მიზეზი

რთული ქცევის აღწერა და ანალიზი

აღწერეთ განსახილველი ქცევა ან ქცევათა ჯაჭვი

როდის გამოვლინდა ქცევა პირველად:

ქცევა იწყება: თანდათანობით ___ უეცრად ____

თუ რთული ქცევა თანდათანობით იწყება და მწვავდება, როდის გადაიქცევა ის პრობლემად?

სიხშირე (რა სიხშირით ვლინდება ქცევა?) _____

ხანგრძლივობა (რამდენ ხანს გრძელდება ქცევა) _____

ინტენსივობა (რამდენად ძლიერია) _____

რა შემთხვევებში, ადგილებში, სიტუაციაში ვლინდება ქცევა? ის ვლინდება სახლში, საბავშვო ბაღში, სკოლაში, საზოგადოებაში?

რა შემთხვევებში, ადგილებში, სიტუაციაში არ ვლინდება ქცევა ან იშვიათად ვლინდება? (აღწერეთ დეტალურად)

21 მოწოდებულია „პირველი ნაბიჯი - საქართველოს“ მიერ

ვისთან ერთად ვლინდება ქცევა? (*დაასახელეთ კონკრეტული ადამიანი /ები და აღწერეთ თითოეულის ქმედება, ქცევაზე რეაგირების ფორმები. საჭიროების შემთხვევაში ჩაატარეთ მათთან დამატებითი ინტერვიუ და / ან დააკვირდით ბავშვთან ურთიერთქმედებას*)

ვისთან ერთად არ ვლინდება ქცევა, უფრო იშვიათად ვლინდება ან ნაკლები ინტენსივობით? (*დაასახელეთ კონკრეტული ადამიანი /ები და აღწერეთ თითოეულის ქმედება, ქცევაზე რეაგირების ფორმები. საჭიროების შემთხვევაში ჩაატარეთ მათთან დამატებითი ინტერვიუ და / ან დააკვირდით ბავშვთან ურთიერთქმედებას*)

დღის, კვირის, თვის რომელ მონაკვეთში ვლინდება ქცევა? ხომ არ ახასიათებს რაიმე სახის ციკლურობა? თუ კი, დააკონკრეტეთ

როდის არ ვლინდება ქცევა საერთოდ?

ჩვეულებრივ, რა ხდება უშუალოდ ქცევის გამოვლენის წინ? კერძოდ, რა ჩანს ამ ქცევის "ჩამრთველი"/გამომწვევი? (ადამიანები, საგნები, ხმები, კრიტიკა)

რა შემთხვევაში წყდება ქცევა ან იკლებს სიხშირე/ხანგრძივობა/ინტენსიობა?

ბოლოს როდესაც გამოვლინდა ქცევა, რა მოიმოქმედეს გარშემომყოფებმა? როგორ იმოქმედა ამ ქმედებამ ქცევაზე?

ჩვეულებრივ, რა რეაქციებს ავლენენ მშობლები/მასწავლებლები, თანატოლები ან სხვა ადამიანები ქცევის გამოვლენის შემთხვევაში? რას აკეთებენ ისინი?

რა მეთოდები იყო გამოყენებული ამ ქცევის სამართავად წარსულში და როგორ იმუშავა ამ მეთოდებმა?

რა ამსუბუქებს ქცევას / სიტუაციას?

ქცევის ცვალებადობა

ხომ არ არის შესაძლებელი, რომ ქცევა ვლინდებოდეს რაიმე სახის ფიზიკური დისკომფორტის გამო? (მაგ: თავის, მუცლის, კბილის, ყურის ტკივილი ან სხვა)

ხომ არ არის შესაძლებელი, რომ ქცევა გამოწვეული იყოს დეპრივაციის გამო (რაიმეს ნაკლებობა, მაგ: ძილის ნაკლებობა, წყურვილი, შიმშილი, ყურადღება, მნიშვნელოვანი ადამიანი)

ხომ არ შეიძლება ქცევა გამოწვეული იყოს მედიკამენტის გვერდითი მოქმედებით? (მაგ: მოთენთილია, ხშირად წყურია, აგზნებულია. შემდგომი გადამოწმებისთვის ჩაიწერეთ ყველა მედიკამენტი, რასაც იღებს ბავშვი)

ხომ არ აძლევს ქცევა ბავშვს ყურადღების მიპყრობის საშუალებას? თუ კი, რა სახის ყურადღებას იღებს ის ჩვეულებრივ (*მაგ: უფროსები უბრაზდებიან, ცდილობენ გადაუტანონ ყურადღება, რომ აღარ იტიროს, უსრულებენ სურვილს, გაყავთ სხვა ოთახში და ა.შ. აღწერეთ ნებისმიერი ქმედება, რასაც ახორციელებს გარემოში მყოფი ადამიანი / ადამიანები*)

ხომ არ აძლევს ქცევა ბავშვს კონკრეტულ სიტუაციაზე თავის არიდების საშუალებას? (*მაგ: როდესაც სთხოვენ რაიმე მოქმედების განხორციელებას, იწყებს წრეზე სირბილს და ყვირილს, შედეგად „ვერ იგებს“ მითითებას*)

ხომ არ ახდენს ბავშვი ამ ქცევის საშუალებით თვითსტიმულირებას, ემოციურ რეგულირებას, ხომ არ არის ეს რაიმეს თქმის/გამოხატვის/კომუნიკაციის საშუალება?

შეიძლება თუ არა ქცევა რაიმე უნარის დეფიციტით იყოს გამოწვეული?

შეჯამება

შეაჯამეთ კითხვარის შედეგად მიღებული ინფორმაცია, კერძოდ, შეიმუშავეთ ჰიპოთეზა, თუ რა ჩანს ქცევის გამომწვევი წინაპირობა, რა განამტკიცებს მას, რა გარემოებები / ადამიანები ამცირებს ქცევის გამოვლენას ან / და ზემოქმედებს ქცევაზე.

სამოქმედო გეგმა

აღწერეთ, თუ რა ქმედებები უნდა განხორციელდეს შემუშავებული ჰიპოთეზის გადასამოწმებლად და დამტკიცების შემთხვევაში, რა არის შემდეგი ნაბიჯები.

შემთხვევის განმეორებითი განხილვის თარიღი და მონაწილე პირები:

შემთხვევაზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა:

სხვა მონაწილე სპეციალისტების ხელმოწერები:

სახელი, გვარი	დისციპლინა	ხელმოწერა	თარიღი

ხშირად დასმული კითხვები:

ვინ არის პასუხისმგებელი ბავშვის ჯგუფში ჩართულობაზე?

ამ კითხვაზე ზოგადი პასუხი ასეთია: ყველა ბავშვის ჩართულობასა და კეთილდღეობაზე პასუხისმგებელია ბაღში მომუშავე ყველა ადამიანი. ბაღის დირექტორი უნდა უზრუნველყოფდეს, რომ ბაგა-ბაღის ინკლუზიური ხედვა და პროცედურები მთელმა გუნდმა ერთად შეიმუშაოს და ამ დოკუმენტში მითითებულ ნორმებს ყველა ერთნაირად იცავდეს. ამ დოკუმენტის შემუშავების ტექნიკური მხარდაჭერა - შეხვედრების ორგანიზება, ჩანაწერების, თანამშრომელთა ხედვისა და მოსაზრებების შეკრება, ამ ხედვისა და მოსაზრებების საფუძველზე ინკლუზიის პოლიტიკის სამუშაო ვერსიის შექმნა, დირექტორის დავალებით, შესაძლოა სპეციალური განათლების პედაგოგს დაევალოს. დოკუმენტის საბოლოო ვერსიას ბაგა-ბაღის დირექტორი ამტკიცებს და როგორც ზემოთ აღინიშნა, იგი ადევნებს თვალყურს, რომ პროცედურაში მითითებული ნორმები შესრულდეს. როდესაც ეს დოკუმენტი ბაღის თანამშრომლების აქტიური ჩართულობითა და შეთანხმებითაა შემუშავებული, თანამშრომელთა უფლებები და მოვალეობები ამ მიმართულებით ნათელია და ყველა თანამშრომლობს ერთმანეთთან და მშობლებთან იმისათვის, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესები იყოს დაცული.

ხშირად ბაღში მომუშავე ადამიანები განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვის ჯგუფის რუტინასა და აქტივობებში ჩართვაზე პასუხისმგებლობას ბაღში მომუშავე სპეციალური განათლების პედაგოგს და/ან ფსიქოლოგს აკისრებენ. ცხადია, ამ ორ პოზიციაზე მომუშავე ადამიანის როლი დიდია იმაში, რომ ბავშვის ჯგუფში ჩართვა წარმატებით მოხდეს, თუმცა ამ პროცესის მთავარი წარმმართველი და მთავარი პასუხისმგებელი პირი მაინც აღმზრდელ-პედაგოგია, ანუ ის უფროსი, ვინც ბავშვებთან ყველაზე მეტ დროს ატარებს, ვინც გეგმავს და უძღვება ყოველდღიურ აქტივობებსა და რუტინას. მნიშვნელოვანია, ამ პროცესში არც აღმზრდელის როლი დაგვავიწყდეს, რადგან მათაც მნიშვნელოვანი ფუნქციების შესრულება შეუძლიათ ბავშვების ცხოვრებაში.

აღმზრდელ-პედაგოგის დაკვირვებისა და შეფასებების გარეშე, მისი მოსაზრებების გარეშე, თუ როგორ შეიძლება ბავშვი აქტივობებში ჩავრთოთ, და რაც მთავარია, მისი ძალისხმევის გარეშე სპეციალური განათლების პედაგოგი, ფსიქოლოგი ან ლოგოპედი ვერაფერს გახდება.

სპეციალური განათლების პედაგოგის, ფსიქოლოგის და ლოგოპედის როლი მნიშვნელოვანია, რომ აღმზრდელ-პედაგოგს დაეხმარონ ბავშვზე დაკვირვებისა და მისი შეფასების პროცესში (და არა აღმზრდელ-პედაგოგის ნაცვლად განახორციელონ ეს საქმე), დაეხმარონ და კონსულტირება გაუწიონ მშობლებთან ურთიერთობის პროცესში, აღმზრდელისა და მშობლის ჩართულობით განისაზღვროს ბავშვის ჩართულობის ხელშემწყობი კონკრეტული მიზნების და მიზნების მიღწევის სტრატეგიები. მიზნების მიღწევაში მთავარი პასუხისმგებლობა აღმზრდელ-პედაგოგსა და აღმზრდელს აკისრია, თუმცა ბაღში მომუშავე სპეციალური განათლების პედაგოგი, ფსიქოლოგი და ლოგოპედი, გეგმის მიხედვით შემუშავებული გრაფიკის შესაბამისად, შესაძლოა, აღმზრდელ-პედაგოგებსა და აღმზრდელებს ამ სტრატეგიების განხროციელებაში ეხმარებოდნენ.

ვინ უნდა იყოს ბავშვის ინდივიდუალური გეგმის შექმნისა და მისი განხორციელების კოორდინატორი?

ხშირ შემთხვევაში, როდესაც საქმე გვაქვს განსაკუთრებული საჭიროებების იმგვარ შემთხვევასთან, როგორიცაა განვითარების ეტაპების დაყოვნება ან შეფერხება, რაიმე სახის დიაგნოზი – დაუნის სინდრომი, ცერებრული დამბლა, აუტიზმი ან სხვა, ინდივიდუალური გეგმის შექმნისა და მისი განხორციელების კოორდინატორის ფუნქცია უმჯობესია სპეციალური განათლების პედაგოგმა იკისროს. ცხადია, არ არის აუცილებელი, ბავშვს რაიმე სახის დადასტურებული (ოფიციალური) დიაგნოზი ჰქონდეს იმისათვის, რომ მუშაობაში სპეც. პედაგოგი ჩაერთოს. ოღონდ კოორდინატორობა ყველა ფუნქციის საკუთარ თავზე აღებას არ ნიშნავს. გეგმაში მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული, ვის რა მოვალეობები აკისრია. პირველ რიგში – აღმზრდელ-პედაგოგის როლი, შემდეგ – თავად სპეციალური პედაგოგის როლი. კონკრეტული ბავშვის საჭიროებიდან გამომდინარე, შესაძლოა განისაზღვროს ფსიქოლოგისა და ლოგოპედის როლიც.

როდესაც საქმე გვაქვს სოციალურ-ემოციურ სირთულეებთან, პროცესების კოორდინატორობის ფუნქცია უმჯობესია ფსიქოლოგმა იტვირთოს. ცხადია, ამ შემთხვევაშიც ბავშვთან მუშაობის პროცესში და/ან მისთვის ინდივიდუალური გეგმის შექმნის პროცესში (თუ ამ გეგმის შექმნის საჭიროება არსებობს) განსაზღვრული უნდა იყოს აღმზრდელ-პედაგოგისა და აღმზრდელის მნიშვნელოვანი როლი.

თუ სახეზეა მხოლოდ სპეციფიკური ენობრივი დარღვევა და/ან არტიკულაციის პრობლემები, ამ შემთხვევაში კოორდინატორის ფუნქცია შესაძლოა ბაღში მომუშავე ლოგოპედმა იკისროს, ყველა სხვა ჩართულ მხარესთან – აღმზრდელ-პედაგოგი, სპეციალური განათლების პედაგოგი, ფსიქოლოგი, მშობელი – აქტიური თანამშრომლობით.

უნდა გაყავდეთ თუ არა ბავშვი- ინდივიდუალური სესიის ჩასატარებლად- რესურს ოთახში?

ყველა მიზანი და აქტივობა, რომელიც ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებითაა დაგეგმილი, გულისხმობს ბავშვის **აქტიურ, ფუნქციურ ჩართულობას** თანატოლებთან ერთად. შესაბამისად, მსჯელობა იმის შესახებ, უნდა გავიყვანოთ თუ არა ბავშვი ჯგუფიდან, უნდა პასუხობდეს კითხვას, რამდენად შეუწყობს ეს ხელს მისი კომუნიკაციური და ინტეგრაციული უნარების განვითარებას.

არსებობს წარმატებული შემთხვევები, როდესაც ბაგა-ბაღის აღმზრდელ-პედაგოგი, ბაღში მომუშავე სხვა სპეციალისტების დახმარებით, ბავშვის აქტივობებში ჩართვასა და მის ინდივიდუალურ მიზნებზე მუშაობას ბავშვის ჯგუფიდან გაყვანის გარეშე ახერხებს.

მეორე მხრივ, ზოგიერთი სპეციალური განათლების პედაგოგი, ფსიქოლოგი ან ლოგოპედი მიმართავს შემდეგი ტიპის პრაქტიკას: ისინი რესურს ოთახში, ეზოში ან რაიმე სხვა სივრცეში გადიან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთან და კიდევ რამდენიმე თანატოლ ჯგუფელთან ერთად და გარკვეულ აქტივობებს მცირე ჯგუფებში გეგმავენ. თუ ეს აქტივობები სახალისოა, მიზნად ისახავს ბავშვებს შორის კომუნიკაციის ხელშეწყობას და გსმ

ბავშვის სხვადასხვა ფუნქციური უნარების განვითარებას, მაშინ ეს აქტივობებიც ისეთივე სასარგებლო შეიძლება იყოს, როგორც ჯგუფის შიგნით კარგად დაგეგმილი და კარგად შესრულებული აქტივობა.

ზოგჯერ,როცა სპეციალისტი ბავშვთან გაზიარებული ყურადღების ჩამოყალიბების უნარებზე მუშაობს, შესაძლოა ინდივიდუალურ აქტივობებსაც ჰქონდეს უპირატესობა. მთავარია, ამგვარი აქტივობების საბოლოო მიზანი ბავშვის ჩართულობა და ინტეგრაციის ხელშეწყობა იყოს.

დროდადრო, ზოგიერთი ბავშვისათვის, განსაკუთრებით აუტიზმის მქონე ბავშვისათვის, გარემოდან მომავალი სტიმულების – ხმაური, ბავშვები და უფროსები, მრავალი ნივთი, სხვადასხვაგვარი სუნები – ხანგრძლივი დახარისხება ძალიან დამღლელი იყოს და დროდადრო მათ მყუდრო ოთახში დასვენება, ძალების მოკრება და/ან ერთ უფროსთან მშვიდად თამაში ერჩიოთ.

ყველა ბავშვი განსხვავებულია და ჩვენ მათ საჭიროებებს განსხვავებულად უნდა ვუპასუხოთ. მთავარია გვახსოვდეს, რა არის კონკრეტული ბავშვის საუკეთესო ინტერესი.

მშობლებს უნდა ავუხსნათ, რომ ბავშვის ნებისმიერი უნარის განვითარება - იქნება ეს ერთ აქტივობაზე კონცენტრირების უნარი, ლექსიკის გამრავალფეროვნება, კომუნიკაციის დამყარება თუ სხვა, პირველ რიგში მისი სოციალიზაციისა და ინტეგრაციის ფუნქციის გაუმჯობესებას, ანუ ბუნებრივ გარემოში თანატოლებთან ურთიერთობის დამყარების, თამაშისა და ამგვარად სამყაროს შემეცნების მიზანს უნდა ემსახურებოდეს. მშობლებს უნდა ავუხსნათ ისიც, რომ ბავშვები სხვადასხვა უნარებს უფროსის მიერ გაშუალებული იმგვარი აქტივობების მეშვეობით უკეთ იძენენ, რომელშიც სხვა ბავშვებიც არიან ჩართულები. მაგალითისათვის ავიღოთ რამდენიმე ფუნქციური მიზანი: 1) ლუკა, ორ-სამ თანატოლთან ერთად, მშვიდად და ჯერის დაცვით თამაშობს კუბურებით, დღეში 2-ჯერ 5-7 წუთის განმავლობაში, მიზანი მიიღწევა 2 თვეში. 2) ლუკა, კვირაში სამჯერ, 2 მორიგე თანატოლთან ერთად აღმზრდელს სადილისათვის სუფრის გაწყობაში ეხმარება, აწყობს თეფშებსა და ჭიქებს. მიზანი მიიღწევა 1 თვეში 3) ლუკა, აღმზრდელს მიანიშნებს ტუალეტის საჭიროების შესახებ, დღეში ერთხელ მაინც. მიზანი მიიღწევა 3 თვეში. ყველა ამ მიზნის მიღწევაში ბავშვის სხვადასხვა უნარების განვითარების ხელშეწყობა თავისთავადაა ნაგულისხმები. ლუკას ჭირდება ჯერის-დაცვის, გაზიარების, კომუნიკაციის, ნატიფი და მსხვილი მოტორული უნარების გაუმჯობესება ან დაუფლება ამ ტიპის აქტივობების განსახორციელებლად. ყველა ეს უნარი კი უკეთ ბუნებრივ და მხარდაჭერით აღსავსე გარემოში მიიღწევა. თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე, ამ და სხვა მიზნებზე მუშაობა ხანდახან მცირე ჯგუფებში, უფრო მყუდრო გარემოში ანდა ინდივიდუალურად მიმდინარეობს. მთავარია ყველას ახსოვდეს: ის კი არ არის მნიშვნელოვანი, რამდენი სესია ჩაუტარდა ბავშვს, არამედ ის, თუ რამდენად მიაღწია მან დასახულ მიზანს.

რა დრო უნდა გაატაროს განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვმა ბაღში და ესაჭიროება თუ არა მას პერსონალური ასისტენტი?

ამ შეკითხვებზე პასუხიც ისეთივე ინდივიდუალურია, როგორიც ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებები.

შეკითხვის პირველ ნაწილზე პასუხის გაცემისას უნდა ამოვიდეთ დებულებიდან, რომ ზოგადად ყველა განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვს თუ შშმ ბავშვს აქვს ზუსტად იგივე უფლებები, რაც ყველა დანარჩენ ბავშვს. შესაბამისად, მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ბავშვი შეზღუდული შესაძლებლობებისაა, ბაღში გასატარებელი დროის საათებს ვერ შევუზღუდავთ. თუმცა, მეორე მხრივ, არსებობენ ბავშვები, რომელთათვისაც მათი ფიზიკური და პერცეპტული მდგომარეობიდან გამომდინარე, ბაგა-ბაღში 9 საათიდან 6 საათამდე ყოფნა ძალიან რთულია და არც შეესაბამება მათ საუკეთესო ინტერესებს. ზოგიერთი ბავშვისთვის, ბაღთან შეგუების პროცესი შესაძლოა გახანგრძლივებული იყოს და პირველი თვეები ბაღში მხოლოდ 2 ან 3 საათი დაჰყოს და ბაღში ყოფნის საათები ეტაპობრივად გაიზარდოს. ზოგიერთი განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვისათვის კი, შესაძლოა, ბაღში მთელი დღის გატარება არავითარ სირთულესთან არ იყოს დაკავშირებული.

როდესაც ბაღი და მშობელი ბავშვის ბაღში ყოფნის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით იღებს გადაწყვეტილებას, შეთანხმების ამოსავალი ბავშვის საუკეთესო ინტერესი უნდა იყოს.

ამ საკითხზე მშობელთან შეთანხმებას ბევრად უფრო ადვილად მიაღწევთ, თუ ის დარწმუნებელი იქნება, რომ თქვენი მამოძრავებელი ინტერესი ბავშვის ინტერესებს ემთხვევა.

ზოგიერთ ბავშვს, რომელიც ადრეული ჩარევის ან სხვადასხვა სარეაბილიტაციო პროგრამებშია ჩართული, კვირის მანძილზე სესიებზე სიარულიც უწევს. ბაღი მზად უნდა იყოს, ეს ვითარება გაითვალისწინოს და ბავშვს ბაღში სიარულის ინდივიდუალური გრაფიკი შეურჩიოს.

კომპეტენტური აღმზრდელ-პედაგოგისა და ბაღში მომუშავე სხვა პროფესიონალების პირობებში, შესაბამისად დაგეგმილ გარემოში, განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვების დიდ უმრავლესობას ინდივიდუალური ასისტენტი არ ესაჭიროება. გამონაკლის შემთხვევაში, ინდივიდუალური ასისტენტის თაობაზე მსჯელობაში ჩართული უნდა იყოს მშობელი, ბაღის მთელი გუნდი (დირექტორი, აღმზრდელ-პედაგოგი, აღმზრდელი, ფსიქოლოგი, სპეც.პედაგაგოგი, ლოგოპედი), ბავშთან მომუშავე გარე სპეციალისტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს წარმომადგენელი (საჭიროების შემთხვევაში). ამ შემთხვევაშიც საბოლოო გადაწყვეტილება დასაბუთებულ მოსაზრებებსა და ბავშვის საუკეთესო ინტერესებს უნდა ემყარებოდეს.

როგორ უნდა ვუპასუხოთ მშობელს, რომელიც ჩივის, რომ რომელიმე ბავშვის ჯგუფში ყოფნა სხვა ბავშვებისათვის პრობლემების შემქმნელია?

ასეთ დროს მშობელთან ურთიერთობისას ორი რამ უნდა გვახსოვდეს: ა) ერთი მხრივ, ყველა ბავშვს აქვს უფლება იმყოფებოდეს ბაღში, მისი ეს უფლება მრავალი საერთაშორისო და ადგილობრივი კანონმდებლობითაა გამყარებული და ბავშვისთვის ამ უფლების შეზღუდვა ვისიმე მოთხოვნის საფუძველზე დაუშვებელია; ბ) მეორე მხრივ, ყველა მშობელს აქვს უფლება – და ეს მისი ბუნებრივი მდგომარეობაცაა – ზრუნავდეს საკუთარი შვილის უსაფრთხოებასა და ემოციურ კეთილდღეობაზე და ამის შესახებ შეკითხვებს სვამდეს. შესაბამისად: თუ მშობელი წუხს, რომ რომელიმე რთული ქცევის ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის ჯგუფში ყოფნის გამო მისი შვილი უსაფრთხოდ ვერ იქნება, ითრგუნება ანდა მის ქცევებს გადაიღებს, თქვენი პასუხი, ერთი მხრივ, იმის მყარ ცოდნას უნდა ეფუძნებოდეს, რომ ბაგა-ბაღის სივრცე ყველა ბავშვისთვისაა და მეორე მხრივ, თქვენს პასუხში უნდა ჩანდეს, რომ გესმით მშობლის ზრუნვის მნიშვნელობა მისი შვილის უსაფრთხოებაზე. აუცილებელია, მშობელს დარწმუნებით უთხრათ, რომ თქვენც და ბაღის ყველა თანამშრომელი გამუდმებით ზრუნავს ყველა ბავშვის უსაფრთხოებაზე, იმაზე, რომ ერთმანეთთან თამაშისას არავინ არაფერი დაიზიანოს და არავინ არაფერი იტკინოს და რომ ეს ყველა ბავშვს ერთნაირად ეხება.

მშობელს აუხსენით ისიც, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ყველა ბავშვისათვის პატარა ასაკიდანვე ესმოდეთ, რას ნიშნავს მრავალფეროვნება და განსაკუთრებული საჭიროებები. რამდენად მნიშვნელოვანია, ამ ასაკში უვითარდებოდეთ ემპათიის, სხვაზე ზრუნვის და სხვისი გათვალისწინების უნარები. აუხსენით მშობლებს, რომ სწორედ ეს უნარებია, რაც მათ მომავალში უფრო გახსნილ, სტრესებისადმი უკეთ გამკლავებისაკენ მიდრეკილ და ტოლერანტულ ადამიანებად აქცევს.

ესაუბრეთ მშობლებს, რომ არცერთი სინდრომი ან მდგომარეობა გადამდები არ არის. აუხსენით ისიც, რომ თუ ჩვეულებრივი განვითარების ბავშვი განსაკუთრებული საჭიროების მქონე თანატოლის რომელიმე ქცევას იმეორებს, ეს მხოლოდ ერთი ან რამდენიმე დღე შეიძლება გაგრძელდეს. ამ ქცევით მათი შვილი ინტერესს ავლენს, ცდილობს გაიგოს და შეიმეცნოს. და რომ ეს ბავშვთან მრავალფეროვნების თემაზე საუბრის დაწყების კარგი საწინდარი შეიძლება იყოს და არა შეშფოთების მიზეზი.

ბავშვის განვითარების ცხრილი ორიდან- ხუთ წლამდე

<u>განვითარების ცხრილი 24-დან – 36 თვემდე</u>

<u>ბავშვის სახელი/გვარი:</u>

<u>დაბადების თარიღი:</u>

<u>მშობელი ან მეურვე:</u>

ეტაპები ***დაკვირვების თარიღი***

<u>მსხვილი მოტორიკა</u>

- კარგად ხოხავს (24-30) ----------
- დამოუკიდებლად ჩადის კიბეზე, ფეხის მონაცვლეობის გარეშე (26-28)----------
- კიბეზე ადის ფეხის მონაცვლეობით და დახმარებით (24_30) ----------
- ბურთის დასარტყამად ფეხს სწევს (24-30) ----------
- ადვილად დარბის (24-26) ----------
- ატარებს სამთვლიან ველოსიპედს (24-30) ----------
- დახრისას არ ვარდება (24-30)----------

<u>ნატიფი მოტორიკა</u>

- ხატავს ვერტიკალურ, ჰორიზონტალურ და წრიულ ხაზებს (30-36) ----------
- ფურცლავს წიგნს (24-30) ----------
- აშენებს კოშკს 6-ზე მეტი კუბურით (24-30) ----------
- იჭერს ფანქარს, თითქოს უნდა დახატოს/დაწეროს(30-26)----------
- ხსნის და კრავს შესაკრავებს (24-30) ----------
- ატრიალებს სახელურებს (24-30) ----------

<u>ენა/მეტყველება</u>

- უყურებს, უთითებს დასახელებულ საგანს და სურათს (26-32----------
- ფრუსტრირებულია, როდესაც სხვები ვერ უგებენ (28-36)----------
- ესმის მიმართების აღმნიშვნელი სიტყვები (ზე, ში, ქვეშ) (28-36) _____
- შეუძლია სახელის, ასაკისა და სქესის დასახელება (30-26) _____
- იყენებს ნაცვალსახელებს (მე, შენ, ჩვენ, თქვენ) (24-30)----------
- ესმის წინადადებების უმეტესობა (24-40)----------
- იყენებს სიტყვებს სურვილისა და საჭიროებების გამოსახატავად (30-36)----------
- იცის მარტივი სიმღერები და რიტმები (30-36) ----------
- უცხოებს ესმით მისი საუბარი (30-36) ----------

შემეცნება

- მექანიკურ სათამაშოებს რთავს (30-36) ----------
- წიგნში დახატულ საგანსა და არსებულ საგანს შორის ამყარებს კავშირს (24-30)---------
- თამაშობს ვითომ-ვითომ თამაშებს სათამაშოებით, ცხოველებით; ეთამაშება

სხვა ადამიანებს (24-36) ----------

- ახარისხებს ნივთებს ფერების მიხედვით (30-36)----------
- აწყობს 3-4 ნაწილიან თავსატეხს (24-36)----------
- ესმის რას ნიშნავს „ორი“ (26-32)----------
- უსმენს ამბებს (24-36)----------
- იცის სხეულის ნაწილები (24-36)----------

თვით-მოვლა

- დახმარებით იხდის შარვალს (24-36)----------
- ეხმარება უფროსს დალაგებაში, საგნების დახარისხებაში (24-36) ----------
- იდებს საკვებს დამოუკიდებლად, ცოტა მიშხეფებით (30-36)----------

სოციალურ-ემოციური

- იყენებს სიტყვას „ჩემია“ (24-36)----------
- ამბობს „არა“-ს, მაგრამ აკეთებს რასაც ეუბნებიან (24-36)----------
- გამოხატავს მრავალ ემოციას (24-36)----------
- ადვილად ეგუება ცვლილებებს რუტინაში (24-36) ----------
- ემორჩილება მარტივ წესებს (30-36)----------
- შედარებით მარტივად შეუძლია მშობლებთან განშორება (36) ----------

24-დან – 36 თვემდე ყურადღება მისაქცევია. თუ:

- ხშირად ეცემა და უჭირს კიბეზე ასვლა
- ძალიან გაუგებრად მეტყველებს
- არ შეუძლია 4 ან მეტი კუბურით კოშკის აგება
- უჭირს პატარა საგნებით მანიპულირება
- 3 წლის ასაკში უჭირს წრის დახატვის მიბაძვა
- არ შეუძლია მოკლე წინადადებებით კომუნიკაციის დამყარება
- არ ერთვება „ვითომ-ვითომ“ თამაშში
- არ შეუძლია დამოუკიდბლად კოვზის ან ჭიქის გამოყენება
- უჭირს მარტივი ინსტრუქციების გაგება
- სხვა ბავშვებით ნაკლებად ინტერესდება
- ძალიან უჭირს მშობლებთან განშორება

კომენტარი

განვითარების ცხრილი 3-დან – 4 წლამდე

ბავშვის სახელი/გვარი:

დაბადების თარიღი:

მშობელი ან მეურვე:

ეტაპები ***დაკვირვების თარიღი***

მსხვილი მოტორიკა

- დგას და ხტის ცალ ფეხზე 5 წმ----------
- ადის-ჩადის კიბეებზე დახმარების გარეშე----------
- ფეხს ურტყამს ბურთს----------
- ისვრის ბურთს მაღლა----------
- უფრო ხშირ შემთხვევებში იჭერს ბურთს----------
- შეუძლია უკუსვლით სიარული----------
- თამაშობს „აჩუ-აჩუ “თამაშებს----------

ნატიფი მოტორიკა

იხატავს ფორმებს
ხატავს ადამიანს 2-4 სხეულის ნაწილით
იყენებს მაკრატელს
ხატავს წრეებს და ოთხკუთხედებს
იხატავს ასოებს

ენა/მეტყველება

- ესმის რას ნიშნავს „იგივე“ და „სხვა“ ----------
- იყენებს მარტივ გრამატიკულ წესებს ----------
- 5-6 სიტყვიანი წინადადებებით საუბრობს ----------
- სვამს შეკითხვებს ----------
- უცხოებისთვის გასაგებად საუბრობს ----------
- ყვება ამბებს ----------

შემეცნება

- სწორად ასახელებს ზოგიერთ ფერს ----------
- ესმის დათვლის მნიშვნელობა, შესაძლოა ასახელებდეს რამდენიმე რიცხვს ----------
- თანდათან იწყებს დროის აღქმას ----------
- ესმის სიტყვების იგივე/სხვა მნიშვნელობა ----------
- იყენებს წარმოსახვას თამაშისას ----------
- ესმის მოდალობა/კაუზალობა (მე შემიძლია გავაკეთო>>) ----------

<u>თვით-მოვლა</u>

- კოვზით დამოუკიდებლად მიირთმევს მიშხეფ-მოშხეფების გარეშე ----------
- იბანს და იმშრალებს ხელებსა და სახეს ----------
- შეუძლია სახლში მარტივი საქმის გაკეთება (მაგ.სუფრის გაწყობაში დახმარება)_____
- შეუძლია მარტივი ტანსაცმლის ჩაცმა, დახმარება სჭირდება ელვა შესაკრავის ან ღილების ----------
- შეკვრაში ----------
- შეუძლია დაივარცხნოს თმა ----------

<u>სოციალურ-ემოციური</u>

- სურს ახალი გამოცდილებების მიღება ----------
- ეთამაშება სხვა ბავშვებს ----------
- თამაშობს სახლობანას ----------
- მეტი ინიციატივით თამაშობს წარმოსახვით თამაშებს ----------
- არ სცდება თემას საუბრისას ----------
- უფრო დამოუკიდებელია ----------
- თამაშობს მარტივ წესებიან თამაშებს ----------
- უზიარებს სათამაშოებს სხვა ბავშვებს ----------
- ხშირად ვერ არჩევს ფანტაზიასა და რეალობას ----------
- შესაძლოა ყავდეს წარმოსახვითი მეგობრები ან მონსტრები ----------

<u>3-4 წლის ასაკში ყურადღება უნდა მივაქციოთ, თუ:</u>

- o არ შეუძლია ადგილზე ხტომა
- o არ შეუძლია სამთვლიანი ველოსიპედის ტარება
- o არ შეუძლია ფანქრის დაჭერა ცერა და საჩვენებელი თითებით
- o უჭირს ყლაპვა
- o არ შეუძლია წრის დახატვა
- o არ შეუძია 4 კუბურის ერთმანეთზე დაწყობა
- o ისევ ტირის, როდესაც მშობლები მიდიან
- o არ გამოხატავს ინტერესს ინტერაქტიული თამაშებისადმი
- o სხვა ბავშვებს იგნორირებას უკეთებს
- o არ პასუხობს ადამიანებს, თუ ოჯახის წევრები არ არიან
- o არ ერთვება წარმოსახვით თამაშებში
- o წინააღმდეგობას უწევს დაძინებისას, ჩაცმისას, საპირფარეშოში გასვლისას
- o როდესაც გაბრაზემულია, თვითკონტროლის გარეშე გადის გარეთ
- o არ იყენებს 3 სიტყვაზე მეტ სიტყვიან წინადადებებს
- o არ იყენებს ადეკვატურად სიტყვებს „მე“ და „შენ“

კომენტარი

განვითარების ცხრილი 4-დან – 5 წლამდე

ბავშვის სახელი/გვარი:

დაბადების თარიღი:

მშობელი ან მეურვე:

ეტაპები ***დაკვირვების თარიღი***

მსხვილი მოტორიკა

- დგას ცალ ფეხზე 10 ან მეტი წამის განმავლობაში ----------
- ხტება,აკეთებს ყირამალას ----------
- ცოცავს, სრიალებს ----------
- შეუძლია გადახტომა ----------

ნატიფი მოტორიკა

- იხატავს სამკუთხედს და სხვა გეომეტრიულ ფიგურებს ----------
- ხატავს ადამიანს, უხატავს სხეულს ----------
- იხატავს ზოგიერთ ასო-ბგერას ----------
- იხდის და იცვამს დახმარების გარეშე ----------

ენა/მეტყველება

- იმეორებს გარკვეულ მონაკვეთებს გაგონილი ზღაპრებიდან, ამბებიდან ----------
- იყენებს ხუთ ან უფრო მეტსიტყვიან წინადადებებს ----------
- იყენებს მომავალ დროს ----------
- ყვება უფრო გრძელ ამბებს ----------
- ამბობს სახელს და მისამართს ----------

შემეცნება

- შეუძლია 10-ზე მეტი ნივთის დათვლა ----------
- სწორად ასახელებს მინიმუმ 4 ფერს ----------
- ჩართულია აქტივობაში მცირე ჯგუფებთან 5-10 წუთის განმავლობაში ----------
- უკეთ აღიქვამს დროს ----------
- ესმის იმ ნივთების მნიშვნელობა, რასაც ყოველდღიურად ხვდება სახლში (საჭმელი, ავეჯი, ფული და ა.შ.) ----------

თვით-მოვლა

- შეუძლია დანისა და ჩანგლის დამოუკიდებლად გამოყენება ----------

- კვებისას პირი დახურული აქვს ----------
- შეხსენების შემდეგ, დამოუკიდებლად მიდის საპირფარეშოში ----------
- იხდის დამოუკიდებლად, შესაძლოა გაიხნას ელვა შესაკრავიც და ღილებიც ----------

<u>სოციალურ-ემოციური</u>

<u>4-5 წლამდე ყურადღება უნდა მივაქციოთ თუ:</u>

- გამოავლენს აგრესიულ, სახიფათო, არასასურველ ქცევას
- არ შეუძლია მშობლებთან განშორება
- არ შეუძლია 5 წუთზე მეტხანს ერთი აქტივობით დაკავება
- გამოხატავს მცირე ინტერსს სხვა ბავშვებთან თამაშისას
- არ ეკონტაქტება სხვა ადამიანებს
- იშვიათად თამაშობს წარმოსახვით თამაშებს
- უფრო ხშირად მოწყენილი და სევდიანია
- ერიდება უცხო უფროსებთან ან ბავშვებთან თამაშს
- არ გამოხატავს ბევრ ემოციას
- უჭირს დაძინება, ჭამა და საპირფარეშოს გამოყენება
- უფრო ხშირად პასიურია
- არ ესმის მიმართების აღმნიშვნელი სიტყვების მნიშვნელობა (დადე მაგიდა-ზე, აიღე ბურთი, რომელიც მაგიდის ქვეშ არის)
- არ ესმის ორსაფეხურიანი ინსტრუქცია (აიღე სათამაშო და დადე მაგიდაზე)
- არ შეუძლია საკუთარი სახელისა და გვარის დასახელება
- ვერ იყენებს წარსულ დროსა და მრავლობით რიცხვს
- არ შეუძლია 6 ან 8 კუბურისაგან კოშკის აშენება
- ფანქარს მუჭში იჭერს
- უჭირს ტანსაცმლის გახდა
- არ შეუძლია კბილის გახეხვა ან ხელების დაბანა და გაშრობა

კომენტარი